




ქართული
ხელნაწერი
მემკვიდრეობა



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა

V-XIX სს.





კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



საზოგადოება ივერიისა

წიგნი მომზადდა და დაიბეჭდა „საზოგადოება ივერიისას“
ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით

შეადგინეს:

მაია კარანაძე, მაია მაჭავარიანა,
თამარ ოთხმეზურმა, ნინო შავთარიამ,
დალი ჩიტუნაშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ

რედაქტორი: ზაალ აბაშიძე

დიზაინი: ბემა პაპსაშვილი

ფოტო: დიმიტრი ბურბანიძე, მირიან კილაძე

პროექტის კოორდინატორი: გვანცა დელიძი, მიხეილ წარეთელი

გამოსახულება ყდაზე: ღვთისმშობლის ლოცვა სიონში; ფსალმუნი. XVII ს.

გამოსახულება სატიტულო ფურცელზე: წმინდა მამაი; გაზაფხული. XII ს.

წიგნში გამოქვეყნებული ფოტოებისა და განმარტებითი
ტექსტების რაიმე ფორმით (ელექტრონული, ბეჭდური)
გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საავტორო უფლების
მფლობელის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.
ყველა უფლება დაცულია.

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თბილისი 2025

ISBN 978-9941-8-7201-3

სარჩევი

წინათქმა „საზოგადოება ივერიისაგან“	07
წარდგინება რედაქტორისაგან	11
შესავალი	13
I ქართული ანბანი	21
II კალიგრაფიკული ნიმუშები	25
III ბიბლიის წიგნები	33
IV ლიტურგიკული ხელნაწერები	79
V კრებულები	111
VI სეკულარული ხელნაწერები	135
VII დოკუმენტები	169
VIII ხელნაწერი წიგნის ყდა	181
ბიბლიოგრაფია	203



წინათქმა

კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის უმთავრესი საგანძურია, რომელიც ჩვენი ხალხის ეროვნულ ღირებულებებსა და თვითმყოფადობას ასახავს. ამ საგანძურის მნიშვნელოვან ნაწილს ხელნაწერთა კოლექცია წარმოადგენს, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ენასა და ეპოქაში შექმნილი უნიკალური ნიმუშები. მათი ინტერდისციპლინარული კვლევა არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისთვის, არამედ მსოფლიო მეცნიერებისთვისაც მნიშვნელოვანია.

ეს ხელნაწერები ჩვენი ხალხის წიგნიერების ხანგრძლივი ისტორიის გამოხატულებაა. ენა და წიგნიერება არ არის მხოლოდ კომუნიკაციის, ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემის ინსტრუმენტები. ისინი კერძო ადამიანებსა და ერებს საშუალებას აძლევს წარმატებით განახორციელონ მათში ბუნებრივად ჩანერგილი მისწრაფებები, კერძოდ, გააცნობიერონ საკუთარი იდენტობა და შეიმუშაონ მსოფლმხედველობა, რაც უპირველეს ყოვლისა ფასეულობების გათავისებასა და მათ იერარქიზაციას, ანუ ფასეულობით განათლებას გულისხმობს.



ქართველები იმ უიშვიათეს ერებს შორის არიან, რომლებიც ქრისტიანობას საკუთარი დამწერლობით შეეგებნენ. ჩვენი დამწერლობა დაახლოებით ორ ათასწლეულს ითვლის და, აქედან გამომდინარე, ანბანითა და წიგნიერებით აღჭურვილი ქართველი კაცი ამდენად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიქრობდა საკუთარ იდენტობაზე,

ხვეწდა მსოფლმხედველობას და, განათლების პროცესში, უზიარებდა მას სხვებს. ეს პროცესი, როგორც ქართველების, ასევე მსგავსი ხალხების ისტორიაში, განსაკუთრებით გაამდიდრა და გააღრმავა ქრისტიანობის გავრცელებამ. ქრისტიანობამ წიგნიერებასა და ცხოვრებისეული საზრისის ძიების პროცესს უპრეცედენტო ბიძგი მისცა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ამის თვალსაჩინო დასტურია უძველესი ქართულენოვანი ხელნაწერები, რომელთა გამოცემას „საზოგადოება ივერიისას“ მხარდაჭერით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მოჰკიდა ხელი.

„საზოგადოება ივერიისა“ აერთიანებს ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საზოგადოების სიძლიერე ცოდნისა და რწმენის ერთიანობის პრინციპს ეფუძნება და ფიქრობენ, რომ ეროვნული თვითმყოფადობის საფუძვლების ძიება ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, რაც თანამედროვე რეალობაში რწმენისა და ცოდნის, რელიგიისა და მეცნიერების თანაშემოქმედებით მიიღწევა. ეს ნაშრომიც ამ მიზანს ემსახურება.

ჩვენი გვსურს, ხელი შევეწყოთ ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და უმაღლესი თანამედროვე სტანდარტებით კვლევას. ვფიქრობთ, რომ წიგნი მკითხველებს თვალნათლივ დაანახებს ჩვენი საგანძურის როგორც საკრალურ, ისე მეცნიერულ მნიშვნელობას.

საზოგადოება ივერიისა





წარდგინება


საუკუნეების განმავლობაში საქართველოში შეიქმნა თვითმყოფადი კულტურა და ხელოვნება, რომლის უნიკალური ძეგლები მსოფლიო ქრისტიანული საგანძურის განუყოფელი ნაწილი და მშვენიერებაა. ამ ძეგლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობას. ეს მემკვიდრეობა ასახავს ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიას, ქართველი ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ხანგრძლივ გზას, მხატვრული თუ მსოფლმხედველობრივი აზროვნების ჩამოყალიბების ეტაპებს, გარე სამყაროსთან ქართველთა კულტურულ ურთიერთობებს.

ქართული წერილობითი მემკვიდრეობა, რომელიც ორიგინალური მწერლობის ძეგლებთან ერთად სხვადასხვა ენიდან ნათარგმნ თხზულებებსაც მოიცავს, გამოირჩევა სიძველითა და მრავალფეროვნებით. მასში წარმოდგენილია ქრისტიანული მწერლობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგები, როგორებიცაა ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, ლიტურგიკა, დოგმატიკა, ასკეტიკა, ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა და სხვ. ხელნაწერმა მემკვიდრეობამ, ასევე, შემოგვინახა მხატვრული ლიტერატურის თუ საისტორიო მწერლობის არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომლებიც დღეს მსოფლიო ლიტერატურის შედევრად არის აღიარებული. ქართული ხელნაწერი წიგნები და ისტორიული დოკუმენტები დღეისათვის დაცულია როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ – საბერძნეთში, სომხეთში, ისრაელში, რუსეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, პოლონეთში, ვატიკანში, საფრანგეთში და სხვ. ცხადია, ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობა საქართველოშია დაცული – თბილისში, ქუთაისში, მესტიაში, ახალციხეში და სხვა რეგიონების ბიბლიოთეკებსა თუ მუზეუმებში.



ქართული ხელნაწერი წიგნებისა და დოკუმენტების ყველაზე დიდი კოლექცია დაცულია საქართველოს უმსხვილეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (2007 წლამდე – ხელნაწერთა ინსტიტუტი), რომელიც 1958 წელს შეიქმნა ცნობილი მეცნიერის, ილია აბულაძის, თაოსნობით. აქ ბინა დაიდო ყველა იმ ხელნაწერმა, რომლებიც მანამდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იყო დაცული. თავის მხრივ, ეს ხელნაწერები, რომლებმაც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, აღმოჩენის და შექმნა-შეგროვების შემდეგ, თავი მოიყარეს სამი დაწესებულების (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების – ამჟამად S ფონდი, საეკლესიო მუზეუმის – ამჟამად A ფონდი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების – ამჟამად H ფონდი) საცავებში, მუზეუმს გადაეცა 1929 წელს. ცხადია, რომ 1958 წლის შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი ივსებოდა და დღესაც მდიდრდება (ამჟამად Q ფონდი) ახალი ხელნაწერი წიგნებით, ისტორიული დოკუმენტებითა და პირადი არქივებით.

ეს ალბომი წარმოადგენს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ათასობით ხელნაწერსა და დოკუმენტს შორის კალიგრაფიით, მხატვრობით, ყდების მოჭედილობით გამორჩეულ და განსაკუთრებით საინტერესო ნიმუშებს.

ზაალ აბაშიძე



შესავალი



ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან. 326 წელს ქართლის მოქცევისა და პირველი ქრისტიანული სალოცავების აგების პარალელურად დაიწყო ზრუნვა ქრისტიანული მოძღვრებისა და ღვთისმსახურების უმნიშვნელოვანესი წიგნების თარგმანსა და გადაწერაზე. მართალია, ბიბლიური წიგნებისა და ქრისტიანული მწერლობის ძეგლების V-VII საუკუნეებში შესრულებულმა ქართულმა თარგმანებმა მხოლოდ პალიმფსესტების – ანუ პირველადი ნაწერის გადარეცხვის შედეგად ხელმეორედ დაწერილი ტყავის ცალკეული ფურცლების სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ სწორედ ეს ფრაგმენტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს სამწერლობო გამოცდილებაზე. ამასთანავე, V-VI საუკუნეების ქართული წერილობითი მემკვიდრეობის უტყუარი საბუთები შემორჩენილია ქართლის რეგიონის ეკლესიებსა და ქვაჯვრებზე ასომთავრული ანბანით გამოკვეთილი საამშენებლო თუ სავედრებელი წარწერების სახით (ბოლნისის სიონისა და „ლაშაში გორის“, მცხეთის ჯვრის, უკანგორის, ურბნისის სიონის წარწერები და სხვ.).

ქართლში არაბთა სახალიფოს გაბატონების შემდგომ, VIII-X საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა ცენტრმა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ტაო-კლარჯეთის სამთავროში (ამჟამინდელი თურქეთის ართვინისა და ერზურუმის პროვინციები) გადაინაცვლა. აქ ჩამოყალიბდა ქართული ხელნაწერი წიგნის უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ცენტრები: შატბერდი, ოშკი, ხანძთა, ოპიზა, წყაროსთავი, ტბეთი, პარხალი, ანჩა, ბანა. ზოგადად, ამ მონასტერთა სკრიპტორიუმები იქცა უცხოეთში დაარსებული ქართული სამონასტრო ცენტრების უმთავრეს მასაზრდოებელ სივრცედ.

ქართული ხელნაწერი წიგნი მხოლოდ საქართველოში არ შექმნილა. უკვე ადრეული პერიოდიდან ბიბლიის წიგნები, საღვთისმსახურო ანუ



დავათის სტალა
ადრეული ქართული წარწერა
VI საუკუნე

მეფე დავით III დიდი (966-1001)
ბარელიეფი ოშკის მონასტრიდან,
ტაო-კლარჯეთი

ლიტურგიკული კრებულები და ქრისტიანული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის თხზულებები ითარგმნებოდა და მრავლდებოდა ისტორიულ პალესტინაში, უმეტესად იერუსალიმის მახლობლად მდებარე საბაწმინდის მონასტერში. ქრისტიანული აღმოსავლეთის ამ რეგიონებში ქართველთა აქტიური პოზიციის უტყუარი დოკუმენტები შემოგვინახა როგორც პალესტინის ქართულმა წარწერებმა, ასევე საბა განწმენდილის მონასტრის ტიპიკონმა, რომლის თანახმადაც ამ უძველეს მონასტერში დამკვიდრებულ არაბებთან ბერებს, მათ შორის ქართველებს, ჰქონდათ უფლება, თავიანთ ენებზე საკუთარ სენაკებში ღვთის სადიდებლად ეგალობათ ფსალმუნი, წაეკითხათ სახარება და საქმე მოეცულთა. გარდა სამონასტრო ცხოვრებაში აქტიური ჩართვისა, ამავე ეპოქაში დაიწყო ქართველთა დიდი პილიგრიმული მოძრაობა წმინდა მიწისაკენ. იბერთა სამეფო ტახტის შთამომავალი მურვანოსი (411-491 წწ.), ბერად აღკვეცის შემდგომ პეტრე იბერად წოდებული, წმინდა მიწას ეწვია V საუკუნის შუა ხანებში. განსწავლულობითა და ღვაწლით გამოჩენილი პეტრე იბერი შემდგომ მაიუმის ეპისკოპოსი გახდა. მისი „ცხოვრების“ ქართული ვერსიის მიხედვით, ქრისტიანული აღმოსავლეთის ეს გამოჩენილი მოღვაწე იუდას უდაბნოში ქართული მონასტრის აგების ინიციატორი იყო. იერუსალიმსა და მის შემოგარენში მოღვაწე ქართველებთან არის დაკავშირებული ძველი და ახალი აღთქმის უძველესი თარგმანების, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის საკანონმდებლო წიგნის – ტიპიკონის, იერუსალიმური ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი კრებულების – იერუსალიმური ლექციონარის, საგალობელთა კრებულის, იადგარის, ქრისტიანული მწერლობის სხვადასხვა ჟანრის თხზულებათა კრებულის, მრავალთავისა და სხვათა შექმნა. ისტორიული პალესტინის მულტიკულტურულ გარემოში თარგმნილმა და გადაწერილმა ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს წმინდა წერილის, ქრისტიანული ღვთისმსახურებისა და, ზოგადად, რელიგიური აზროვნების ადრეული პერიოდის ამსახველი ტექსტები. წმინდა



მიწაზე მოღვაწე ქართველთა დამსახურებას უნდა მიგვანიშნებდეს ის ფაქტიც, რომ იბერია ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ სანდო მოკავშირედ აღიქმებოდა.

წმინდა მიწაზე ქართველი ბერ-მონაზვნები მოღვაწეობდნენ იერუსალიმის მახლობლად განლაგებულ საბაწმინდის, პალავრის (იმავე წმ. ხარიტონის ლავრის), გოლგოთა – უფლის საფლავის, ადღვომის, გეთსიმანიის, იერუსალიმთან მდებარე ბასილის, თეოდორეს, სამოელის, ნიკოლოზის მამათა მონასტრებსა და დერტავის, დერთუფასა და კაპპათას დედათა მონასტრებში. XI საუკუნის



მეფე დავით IV აღმაშენებელი (1073-1125)
ფრესკა გელათის საკათედრო ტაძრიდან

რიაზე: წმ. იოანე ღვთისმეტყველისა და წმ. გიორგის სახელობისა). ქართულ ისტორიულ წყაროებში მოთხრობილია იმ უზარმაზარი შესაწირის შესახებ, რომელსაც გასცემდნენ დავით აღმაშენებელი (1073-1125 წწ.) და თამარ მეფე (1160-1213 წწ.) სინის ქართული საძმოსათვის. სინის მთა ქართველთა მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა, სადაც ლოცვაც კი აღევლინებოდა „ქართლის მშვედობისა, საზღუართა გამაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობისა დამტკიცებისათვის“. წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში ამჟამადაც დაცული 200-ზე მეტი ქართული ხელნაწერი წიგნი და ფრაგმენტი ქრისტიანობის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრში ქართველთა მყარი პოზიციის დასტურს წარმოადგენს.

X საუკუნიდან ქართულმა ბერძნულმწიგნობამ დაიწყო ინტენსიური საქმიანობა როგორც კონსტანტინოპოლის (რომანას, მანგანას, ტრინდაფლივის), ისე ქართველთა მიერ დაარსებულ ივირონის (აიგო 980-984 წწ. ათონის მთაზე), ღალიის ღვთისმშობლისა (კვიპროსზე) და პეტრიწონის (1083 წელს ბულგარეთში ააგო გრიგოლ ბაკურიანის ძემ) მონასტრებში.

ივირონში მოღვაწე მამების – ექთვიმე (955-1028 წწ.) და გიორგი (1009-1065 წწ.) მთაწმინდელთა საქმიანობისათვის ძირითადი და წამყვანი ვახდა ქრისტიანული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების თარგმნა უშუალოდ ბერძნული დედნებიდან და არა სხვაენოვანი (არაბული, სირიული, სომხური) წყაროებიდან, როგორც ხდებოდა X საუკუნემდე ქართულ მთარგმნელობით სივრცეში. მთაწმინდელეთან არის დაკავშირებული ფართო საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედება, მოწინავე ბიზანტიური ცოდნისა და სასულიერო მწერლობის ჟანრობრივი მრავალფეროვნების შემოტანა ქართულ მწერლობაში. მთარგმნელობითი მოღვაწეობის სრულყოფისათვის ათონის ქართველთა მოღვაწეებმა დახვეწეს მთარგმნელობითი პრინციპები და მთარგმნელობითი ენა. ივირონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული

60-იანი წლებიდან იერუსალიმში დაარსდა ქართველთა მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, ჯვრის მონასტერი.

IX საუკუნეში საბაწმინდის მონასტრის მუსლიმ არაბთაგან შევიწროების გამო ქართველთა ბერებმა ნაწილობრივ გადაინაცვლეს სინის მთაზე, სადაც X საუკუნეში მათ სამწიგნობრო საქმიანობით დაკავებული ძლიერი ქართული კომუნა ჩამოაყალიბეს, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი იყო X საუკუნის მოღვაწე იოანე-ზოსიმე. მემატია-ნეთა ცნობებისა და ზოგი ხელნაწერის მინაწერების მიხედვით, სინის მთაზე ქართული ეკლესიები აშენდა (მაგ. წმ. ეკატერინეს მონასტრის ტერიტო-

თამარ მეფე (1184-1213)
და მეფე გიორგი III (1156-1184)
ფრესკა ვარძიის მონასტრიდან



სკოლის მოღვაწეთა სამწერლობო მიზანი აღმოსავლური – იერუსალიმური ტრადიციიდან ბიზანტიურ ტრადიციებზე გადასვლაშიც აისახა.

X საუკუნის მეორე ნახევარში ანტიოქიის არაბთაგან გათავისუფლების შემდგომ ქართველი მწიგნობარი ბერების ყურადღება მიიპყრო მდ. ორონტის აუზში შავ მთაზე (ამჟამად თურქეთის ჰათაის რეგიონი) მდებარე სვიმეონწმინდის, კალიპოსის, კასტანას, ეზრას, თუალთას, ლერწმისხევისა და ბარლაამწმინდის მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ძლიერი თეოლოგიური სკოლა, რომლის გამორჩეული წარმომადგენლები იყვნენ ეფრემ მცირე (XI საუკუნის მეორე ნახევარი) და არსენ იყალთოელი (1050-1127 წწ.). ელინოფილიზმი – ახალი ინტელექტუალური მიმდინარეობა აისახა ქართველ მოღვაწეთა სხვადასხვა საქმიანობაში. გარდა ახალი – სიტყვასიტყვითი თარგმანის კონცეფციის ჩამოყალიბებისა, ამ მიმდინარეობამ დიდი როლი შეასრულა ახალი სათარგმნი ლიტერატურული რეპერტუარის ჩამოყალიბებასა და შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერის ფორმირებაში. შავი მთის მამებმა მნიშვნელოვანი სიახლეები შემოიტანეს ხელნაწერი კრებულების აგებასა და ორგანიზებაში, რაც, სხვათა შორის, მოიცავდა ტექსტების არსებობზე განმარტებითი ხასიათის შენიშვნებისა და ანოტაციების, ასევე ვრცელი მთარგმნელისეული წინასიტყვაობებისა და ანდერძების დართვას.

XI-XII საუკუნეების საქართველოში ხელნაწერი წიგნის გადაწერისა და ტექსტთა კომენტირების საქმეს საგანგებო ყურადღება დაეთმო გელათის სამწიგნობრო სკოლაში. დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი იქცა ქართველთა განათლების უდიდეს კერად, რომელიც შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში იხსენიება როგორც „მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა“.

გვიანი შუა საუკუნეებიდან დაწყებული, საქართველოს პოლიტიკური კავშირების საფუძველზე, ქართული ხელნაწერი წიგნი ორიენტაციას იღებს ევროპული და, ამასთანავე, სპარსულ-ირანული

საბუნებისმეტყველო ცოდნის, ასევე, საერო მხატვრული ლიტერატურის ქართულ სივრცეში შემოტანისკენ. საერო მწერლობის ამსახველ ხელნაწერთა მოხატულობაში ჩნდება ისპაჰანური სამხატვრო სკოლის გავლენის ამსახველი ტენდენციები. ეს მხატვრული ტენდენციები ნათლად ჩანს XII საუკუნეში შექმნილ ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული საერო პოემის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე მდიდრულად გაფორმებულ ხელნაწერში.


XVIII საუკუნეში, საქართველოს სამეფო კარის წარმომადგენელთა რუსეთში იძულებითი ცხოვრების პირობებში, ქართველი მწიგნობრები ეცნობიან და იზიარებენ სლავური სასულიერო წიგნების გამოცდილებას. ამასთანავე, ითარგმნება და იწერება კათოლიკური აღმსარებლობის წიგნები. ქართველი მკითხველი რუსული სივრცის გავლით ეცნობა ევროპულ ლიტერატურას.

ქართული ხელნაწერის შექმნა და გადაწერა XIX საუკუნემდე გავრცელდა ქართული ბეჭდვითი საქმის პარალელურად, რომელიც დაიწყო 1626 წელს რომში, იტალიაში დაბეჭდილი ქართული ანბანით ლოცვებითურთ და ქართულ-იტალიური ლექსიკონით. საქართველოში პირველი სტამბა დაარსდა თბილისში 1708-1709 წლებში მეფე ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) ინიციატივით.




THE LOCATION
OF THE SCRIPTORIUMS
OF GEORGIAN MANUSCRIPTS
(V-XV CC.)



Georgia is shown on the map
within its modern borders




ქართული ანბანი



თავი I

როდის შეიქმნა ქართული ანბანი, რამ მისცა ბიძგი ამ ფაქტს – ეს კითხვები დიდი ხნის განმავლობაში აღელვებდა ქართულ საზოგადოებას, რადგან სწორედ ქართული ანბანი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის უმთავრეს საყრდენს. ქართულმა დამწერლობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართველთა გაერთიანებისა და ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში. შემთხვევითი არ არის პოლიტიკური ფორმულა, რომელიც ჩამოყალიბდა X საუკუნის საქართველოში: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების...“ („ცხორება გრიგოლ ხანცთელისა“).

ქართული დამწერლობის წარმოშობის თარიღთან დაკავშირებით ცნობები საისტორიო წყაროებშიც მოგვეპოვება. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში ქართული დამწერლობის შექმნას უკავშირებს ძვ. წ. აღ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე იბერიის, იმავე ქართლის მეფეს, ფარნავაზ I-ს. „მეფეთა ცხოვრებაში“ ნათქვამია: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართლისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. თუკი გავითვალისწინებთ ეპოქას, რომელმაც შემოგვინახა ეს ცნობა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული ეს ჩანაწერი მიზნად ისახავს სამწერლობო საქმიანობის, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის ერთ-ერთი საყრდენის, იდეის საზღვარს. საყურადღებოა, რომ სწორედ ქართლის ტერიტორიაზე, კერძოდ, არმაზისხევში, აღმოჩენილი ქვაზე ნაკვეთი უძველესი წარწერა – სერაფიტას ეპიტაფია, რომელშიც ფარნავაზ მეფეცაა მოხსენებული, შესრულებულია ორი ანბანით – ბერძნულითა და არამეულის სახეცვლილი ვერსიით, რომელსაც არმაზულს უწოდებენ. წარწერა თარიღდება ჩვ. წ. აღ. 150 წლით. არმაზისხეში აღმოჩენილია ჩვ. წ. აღ. 75 წლით დათა-



სარაფიტას ეპიტაფია
ბერძნულ-არამეული ეპიტაფია
არმაზიდან. ჩვ. წ. აღ. 150 წ.

რიღებული რომის იმპერატორის, ვესპასიანეს (39-81 წწ.) სტელა, რომელშიც საუბარია იმპერატორის მიერ არმაზის კედლის გამაგრების ფაქტზე. ბერძნული და არამეული წარწერები გვხვდება საყოფაცხოვრებო ნივთებზე – დოქებზე, საბუკავებზე. დღემდე აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით, უშუალოდ ქართული ანბანით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები მხოლოდ V საუკუნიდან დასტურდება.

ქართულია ანბანი უნივერსალური სისტემაა, მასში გრაფიკა (ასოთა) რაოდენობა შეესაბამება ფონემათა (სამეტყველო ბგერათა) რაოდენობას. ანბანმა გრაფიკული განვითარების სამი საფეხური განვლო: მრგვლოვანი ანუ ასომთავრული (იგივე მთავრული), ქართული ანბანის ამ სახეობით არის შესრულებული V-X საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერები; IX საუკუნიდან ასომთავრულის პარალელურად ვითარდება ნუსხური ანბანი. უნდა აღინიშნოს, რომ ის თავდაპირველად გამოიყენება ასომთავრულით გადაწერილი ხელნაწერების ბოლოს დართულ ერთგვარ საინფორმაციო ტექსტებში, ანუ ანდერძებსა და

მინაწერებში, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას ამა თუ იმ წიგნის შექმნის გარემოს, მიზანსა და შემქმნელ პირთა შესახებ. თავის მხრივ, ნუსხურით გადაწერილ ხელნაწერებში თხზულებათა სათაურები და სააქცენტო მონაკვეთების გამომყოფი ასოები ნაწერია მთავრულით, რომლებიც ერთგვარ დეკორატიულ ფუნქციასაც ასრულებს.

XI საუკუნიდან ამ ორი გრაფიკული ფორმის პარალელურად ვითარდება ე. წ. მხედრული ანბანი, რომელსაც თავდაპირველად ვხვდებით ისტორიულ დოკუმენტებსა და ხელნაწერებზე არსებულ საერო პირთა მინაწერებში. ამჟამად მხედრული ანბანი წარმოადგენს ქართული ანბანის საყოველთაოდ დადგენილ უმთავრეს გრაფიკულ ფორმას. ამასთანავე, დამწერლობის სამივე სახეობა დღესაც აქტიურად გამოიყენება საქართველოს ეკლესიაში. 2016 წელს იუნესკომ ქართული დამწერლობის სამივე გრაფიკული სახეობა შეიტანა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.




უძველესი ქართული წარწერა / ბარელიეფი ბოლნისის სიონის ტაძრიდან V ს.

Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ
Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ
Ⴝ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴚ	Ⴛ

ქართული ანბანი / ასომთავრული, ნუსხური, მხედრული

ჲნი სიძნობისა დაჲსი :- :- :-
ჲნი ჴიფიქროსი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-



ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-

კალიგრაფიკა

ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-



ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-

ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-

ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-

ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-
ჲნი დაჲსი :- :- :-



თავი II

ქართული ტექსტების ყველაზე ადრეული ნიმუშები დაცულია სხვადასხვა ხელნაწერის პალიმფსესტური ფურცლების ქვედა ფენაზე.


ქართული პალიმფსესტების ყველაზე დიდი კოლექცია – თითქმის 5000 ფურცელი – დღეს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში ინახება. თუმცა, ცენტრის გარდა, ქართული პალიმფსესტები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმსა და სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (მესტია, სვანეთი), სვანეთის სოფელ ლახამულას ეკლესიაში.

ქართული პალიმფსესტების დიდი რაოდენობა ინახება ასევე უცხოეთის საცავებში: სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტრის კოლექციაში, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების ფონდში, ივირონის ქართული ხელნაწერების კოლექციაში, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში და სხვ.


ქართული პალიმფსესტები სამეცნიერო წრეების ყურადღების ცენტრში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოექცა, მას შემდეგ, რაც ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელს, ივანე ჯავახიშვილს, საშუალება მიეცა შეესწავლა ოქსფორდის უნივერსიტეტში დაცული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ფოტოპირი. მოგვიანებით, 1929-1932 წლებში, კემბრიჯის უნივერსიტეტში დაცული ქართულ-ებრაული პალიმფსესტური ფურცლები შეისწავლეს ქართული საენათმეცნიერო სკოლის დამფუძნებელმა, აკაკი შანიძემ და ამერიკელმა ორიენტალისტმა რობერტ ბლეიკმა. ხელნაწერები დათარიღდა V-VII საუკუნეებით ეპიგრაფიკული მასალის ანალიზით. V-VII საუკუნეებით დათარიღებული ქვაზე კვეთილი წარწერების მსგავსად, პალიმფსესტურ ფურცლებზე არსებული ტექსტების ბ, ვ, ყ გრაფემები თავშეკრული იყო. ამგვარი გრაფიკული თავისებურება ქართული მთავრული ანბანისთვის მხოლოდ VII საუკუნემდე იყო დამახასიათებელი. გარდა ამისა, ტექსტების დათარიღება გაამყარა

მათში არსებულმა ენობრივ-გრამატიკულმა ნორმებმა, რომელსაც „ხანმეტობა“ და „ჰაემეტობა“ ეწოდა და რომელიც გულისხმობდა V-VII საუკუნეებში „ხ“, ხოლო VIII საუკუნეებში „ჰ“ პრეფიქსების გამოყენებას ზმნის პირთა და ზედსართავთა ხარისხის ფორმების წარმოებისათვის. ნათელი გახდა, რომ ოქსფორდისა და კემბრიჯის პალიმფსესტების სახით შეცნეობის წინაშე იყო ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი. ამ აღმოჩენას მოჰყვა ქართულ ხელნაწერთა კოლექციების რევიზია და დაიწყო ინტენსიური მუშაობა ქართულ პალიმფსესტებზე. გაირკვა, რომ პალიმფსესტების ერთი ნაწილი „ხანმეტი“ იყო. სულ მალე პალიმფსესტების კვლევისას აღმოჩნდა „ჰაემეტი“ იერუსალიმური ლექციონარი. ხანმეტ ტექსტებთან შედარებით ჰაემეტმა ტექსტებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწია.

XX საუკუნის 60-იან წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) სამეცნიერო ხელმძღვანელის ილია აბულაძის ინიციატივით, პალიმფსესტური ხელნაწერების გამოვლენის მიზნით გადაისინჯა ინსტიტუტში დაცულ ქართულ ხელნაწერთა ყველა კოლექცია, შედგა პალიმფსესტების შემცველი ხელნაწერების ნუსხა, 2017 წელს კი გამოიცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში დაცული პალიმფსესტების კატალოგი. პალიმფსესტთა ერთი ნაწილის ქვედა ფენა თარიღდება V-VIII საუკუნეებით, ანუ იმ პერიოდით, როდესაც ქართული საეკლესიო პრაქტიკა მჭიდროდ თანამშრომლობდა და ვითარდებოდა ქრისტიანული აღმოსავლეთის, კერძოდ, ისტორიული პალესტინის მულტიკულტურულ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის პირობებში. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე კი აღმოსავლური ქრისტიანობის ცენტრმა კონსტანტინოპოლში გადაინაცვლა და, შესაბამისად, ქართულმა ხელნაწერმა ტრადიციამ ყურადღება მიმართა საღვთისმსახურო პრაქტიკის კანონიზაციის იმ ტენდენციებისა და მოთხოვნებისკენ, რომლებიც ახლა უკვე ბიზანტიის იმპერიის ცენტრმა დააკანონა. ამ ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმგვარი ქართული პალიმფსესტები, რომელთა ქვედა ფენაც X-XI სს-ით თარიღდება. ამ პერიოდის პალიმფსესტთა შეფასებისათვის უნდა გავისინოთ ის ფაქტი, რომ მეორად საწერ მასალად სამონასტრო სკრიპტორიუმებში იყენებდნენ მხოლოდ საეკლესიო-სამონასტრო პრაქტიკისათვის იმ ეპოქაში არააქტუალურ კრებულებს.



ქართული პალიმფსესტების შესწავლა სცილდება მხოლოდ ქართული დამწერლობისა და ზოგადად წერილობითი კულტურის კვლევის ფარგლებს, ვინაიდან ამ ტექსტების სახით ჩვენამდე მოაღწია ბიბლიის, ქრისტიანული ლიტურგიის, ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის უძველეს ვერსიათა ქართულმა თარგმანებმა, რომელთა ბერძნული თუ სხვაენოვანი ორიგინალებიც დაკარგულია. ამდენად, მათ ქრისტიანული აღმოსავლეთის წერილობითი კულტურის კვლევისათვის საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებათ.



ესაიას წინასწარმეტყველება. მარკოზის სახარება

ქვედა ფენა: 58 ფ.; 420 x 230 მმ.; ასომთავრული; ყავისფერი, წითელი და აგურისფერი მელანი. A-844; VI-VII, XI სს.

XI ს-ში შექმნილი ხელნაწერი, რომელიც 212 ეტრატის ფურცლისაგან შედგება, თითქმის სრულად პალიმფსესტია. პალიმფსესტის ქვედა ფენაზე გადაწერილია ესაიას წინასწარმეტყველებისა და სახარების VI-VII საუკუნეების ხანმეტი ტექსტები. პალიმფსესტის ქვედა ფენა ნაწერია მსხვილი ასომთავრულით, ყავისფერი, წითელი და აგურისფერი მელნით. მელანთა განსხვავებული შეფერილობა ადასტურებს, რომ XI საუკუნის ხელნაწერისათვის გამოყენებული იყო სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტები.

კრებულის ზედა, XI საუკუნის ტექსტი ნაწერია ნუსხურით. ის შეიცავს სახარებიდან გამოკრებილ იმ მუხლებს, რომლებიც ამ პერიოდში იკითხებოდა დიდმარხვის პირველ შვიდეულში. ხელნაწერი განკუთვნილი იყო სვეტის მონასტრისთვის, რომელიც მდებარეობდა ტაო-კლარჯეთში, კერძოდ, დღევანდელი ართვინის (თურქეთი) მახლობლად.

ესაიას წინასწარმეტყველების ხანმეტი ტექსტი წარმოადგენს IV საუკუნეში შედგენილი ლუკიანესული რედაქციის ბიბლიის ქართულ თარგმანს. საინტერესოა, რომ ამ რედაქციის ბიბლიის ბერძნული ხელნაწერები მხოლოდ X საუკუნიდან გვხვდება. ამდენად, ესაიას წინასწარმეტყველების ქართული პალიმფსესტი, რომელიც ხელნაწერის 58 ფურცელს მოიცავს, წარმოადგენს ბიბლიის ამ წიგნის უძველეს ვერსიას, რომელსაც წმინდა წერილის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.



ჰაემეტი ლექციონარი

51 ფ.; ეტრატი; 170x140 მმ. (რესტავრირებული); ქვედა ფენა: ასომთავრული; ყავისფერი მელანი, წითელი მელანი (საზედაო ასომთავრული)
H-1329; VIII, XIII-XIV სს.

ამ პალიმფსესტის ქვედა ფენაზე მთავრულით დაწერილი ტექსტი წარმოადგენს ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი უძველესი ეტაპის – ჰაემეტობის – ამსახველ ლექციონარს. თარიღდება VIII საუკუნით. ამ ენობრივი ნორმის ამსახველი ტექსტები დღეს მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ჰაემეტი ლექციონარი შემონახულია ორი ხელნაწერით – H-1329-ითა და Q-333-ით. ეს ლიტურგიული კრებული შეიცავს საკითხავებს მხოლოდ სახარებიდან; ის იერუსალიმური ლექციონარის განვითარების უადრეს ეტაპს ასახავს. პალიმფსესტის ზედა ფენაზე გადაწერილია XI საუკუნეში ჩამოყალიბებული საღვთისმსახურო კრებული პარაკლიტონი (8 ხმაზე გაწყობილი სადა დღეების (ორშაბათი-შაბათი) საგალობელთა კრებული). ხელნაწერის ზედა ფენის ტექსტი XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. ის, რომ აღნიშნულ პერიოდში საწერ ფურცლებად გამოყენებული იყო უძველესი იერუსალიმური საღვთისმსახურო კრებულის ფურცლები, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადრეული ტრადიციის კრებულების სამონასტრო-საეკლესიო პრაქტიკიდან ამოღების ფაქტს.

ჰანმეტის სახარება. ფსალმუნი


13 ფ.; ეტრატი; 320x260 მმ.; ასომთავრული; ქვედა ფენა: ასომთავრული; წითელი მელანი
H-999; V, XIII-XIV სს.



იერუსალიმური ლექციონარი

4 ფ.; ეტრატი; 250x250 მმ.; ქვედა ფენა: ასომთავრული; შავი და წითელი მელანი; ნახატებისათვის გამოყენებულია წითელი, მწვანე და ყავისფერი მელანი.
H-2065; X ს., XV-XVI სს.

შედგება ეტრატის ოთხი პალიმფესტური ფურცლისაგან და წარმოადგენს ორი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტს. ქვედა ფენა თარიღდება X საუკუნით. ის წარმოადგენს იერუსალიმური ღვთისმსახურების უმთავრესი წიგნის – ლექციონარის – ფრაგმენტებს: დაბადების 41:32-45 მუხლებს, რომლებიც იკითხებოდა 4 სექტემბერს; მეორე ნაწილი მოიცავს იოანეს სახარების (20:25), დანიელ წინასწარმეტყველის (12: 1-3) და საქმე მოციქულთას (1: 15-21) მუხლებს. ტექსტი ნაწერია ყავისფერი და წითელი მელნით. XV-XVI საუკუნეებში ძველი ხელნაწერების ფრაგმენტები გამოუყენებიათ კედლის მხატვრობის ტრაფარეტების შესაქმნელად. ტრაფარეტზე გამოსახული არიან ღვთისმშობელი, წმიდა იოანე ნათლისმცემელი და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები.



ეტრატის 954 ფურცელს, ნაკლულია, დაკარგულია რიცხვთას, II სჯულისა, ისუ ნავეს, მაკაბელთა სამი წიგნი და ფსალმუნი. თშკის ბიბლია გადაიწერა ათონის მთის ქართული მონასტრისათვის და ივირონის დაარსებისთანავე მისი წიგნსაცავის ერთ-ერთ პირველ წიგნად იქცა. ამჟამად დაცულია ივირონის მონასტრის კოლექციაში, ათონის მთაზე. თშკის ბიბლიის შემდგომ ძველი აღთქმის სრული კრებული მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში გადაიწერა და ცნობილია მცხეთური ბიბლიის სახელწოდებით. მისი შემდგენელია სულხან-საბა ორბელიანი. გარდა ამ სრული კრებულებისა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ძველი აღთქმის XII-XVII საუკუნეების არასრული და სხვადასხვა შედგენილობის 10 ხელნაწერი (A-1108, Q-1152, A-570, H-885, A-646, H-1207, A-179, H-885, A-179, A-244), რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გელათის სამწერლობო სკოლაში გადაწერილი კატენებიანი ბიბლია ანუ ბიბლია, რომელსაც ძირითადი ტექსტის არშიებზე განმარტებები აქვს დართული.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნთაგან ცალკე კოდექსებად გადაწერილია ფსალმუნი და სახარება, მათი ყველაზე ადრეული ერთეულები IX-X საუკუნეებიდან გვხვდება. ბიბლიის წიგნებიდან სწორედ ფსალმუნისა და სახარების ხელნაწერები გვხვდება ყველაზე დიდი რაოდენობით. ქართული თარგმანები ასახავენ ბერძნული ტექსტების განვითარების ყველა ეტაპს – ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული უძველესი რედაქციებიდან მოყოლებული, კონსტანტინოპოლური ეპოქის რედაქციების ჩათვლით. სახარების IX-X საუკუნეების ქართული ხელნაწერები მიუთითებენ, რომ თვით კონსტანტინოპოლური პერიოდის ბერ-

ძნული ტექსტის ჩამოყალიბებამდე სახარების ადრექრისტიანული ტექსტიც არ იყო ერთგვაროვანი და მან რამდენიმე არსებითი სწორება განიცადა, რაც აისახა სახარების ქართულ ტექსტებში. ასეთივე ვითარება შეინიშნება ფსალმუნის ქართულ თარგმანებშიც.

როდესაც ვვხებით ფსალმუნისა და სახარების ქართულ ხელნაწერებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ შორის გამოიყოფა როგორც სამონასტრო-პრაქტიკული დანიშნულების სადად გადაწერილი, ასევე მდიდრულად შემკული და საგანგებო საწერ მასალაზე გადაწერილი ხელნაწერები. ქართული ხელნაწერი სახარებებისა და ფსალმუნის როგორც ტექსტი, ასევე მხატვრულ-დეკორატიული სისტემა მეტად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს შუა საუკუნეების ბიზანტიური წიგნის ისტორიის შესწავლისათვის. ფსალმუნისა და სახარების სრული წიგნების პარალელურად გადაწერილია მთელი წლის საეკლესიო კალენდარზე გაწყობილი სახარების, ფსალმუნისა თუ საქმე მოციქულთას ცალკეულ მუხლთა შემცველი კრებულები. ამ სახის წიგნები გადაწერილია სადად, ყოველგვარი დეკორის გარეშე და წარმოადგენს სამრევლო-სამონასტრო მსახურების წიგნებს.

ახალი აღთქმის წიგნებიდან ყველაზე გვიან – X საუკუნის ბოლოს – ითარგმნა გამოცხადების ტექსტი. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ამ წიგნის კანონიკურობაზე აღმოსავლურ ქრისტიანული სამყარო დიდი ხნის განმავლობაში ბჭობდა. ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული ხელნაწერი წიგნი ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ისტორიის კვლევისათვის ბევრ საგულისხმო მასალას გვაწვდის.



მცხეთური დავითნი

261 ფ.; ეტრატი; 198x160 მმ.; ასომთავრული; ყავისფერი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. A-38; 904 წ.

ფსალმუნის სრული ტექსტის შემცველი ერთ-ერთი ადრეული ხელნაწერი (904 წელი), შეიცავს ფსალმუნის ქართული თარგმანის თავისებურ რედაქციას და მნიშვნელოვანია ფსალმუნის ქართულად თარგმნის ისტორიისათვის.

ხელნაწერი მდიდრულადაა დეკორირებული, დასაწყისში გვხვდება ფერადი (ლურჯი, ყვითელი, მწვანე) მელნით შესრულებული წნული ჯვარი, ბოლოში ერთვის კამარები. ერთ-ერთ გვერდზე, პასქალური ცხრილების ქვემოთ, წარმოდგენილია სტილიზებული არაბული ციფრები, რაც მათი ქართულ ხელნაწერში დადასტურების ადრეული შემთხვევაა.

ხელნაწერში დაცულია კომპილაციური თხზულება „ჟამთა და წელიწადთა, მცხრალისათვის და ნაკისა...“, რომელშიც წარმოდგენილია ადდგომის გამოანგარიშების სისტემა და ქრონოლოგიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ქართულ სამეცნიერო წრეებში დავითნის დათარიღების სამი სხვადასხვა ვერსია არსებობს – 904, 974 და 1016 წლები, რომლებიც სწორედ ამ თხზულების ანალიზის საფუძველზეა მიღებული.



ჯრუჭის I სახარება

297 ფ.; ეტრატი; 385x300 მმ.; ასომთავრული, შავი და ყავისფერი მელანი, სათურები და სახედაო ასოები წითელი მელნით. H-1660; 936-940 წწ.

ქართულ სახარებათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული წიგნი გადაწერილია საქართველოს ისტორიულ მხარეში, ტაო-კლარჯეთში მდებარე შატბერდის მონასტერში. მონასტერი აიგო IX საუკუნეში ტაო-კლარჯეთის მეფე ბაგრატ I კუროპალატის (826-876 წწ.) ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით. IX-XI საუკუნეებში შატბერდი იქცა ქართული მწიგნობრობის უდიდეს კერად. მან განსაკუთრებული როლი შეასრულა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებასა და სამწიგნობრო საქმიანობაში. შატბერდს უწოდებდნენ „დიდებულ ლავრას“. სწორედ ამ მონასტერში 936 წელს გადაიწერა ჯრუჭის პირველი სახარება. გვიანი შუა საუკუნეებიდან სახარება ზემო იმერეთში, ჯრუჭის მონასტერში ინახებოდა. სწორედ აქედან მიიღო მან სახელწოდებაც. ვინაიდან ამავე მონასტერში დაცული იყო XII საუკუნის მეორე, მდიდრულად მოხატული სახარება, 936 წელს გადაწერილ ამ წიგნს ეწოდა ჯრუჭის პირველი სახარება.


ამჟამად წიგნი შეიცავს 297 ფურცელს. თავნაკლულია. დაკარგულია სახარების ტრადიციული დასაწყისის – ევსები კესარიელის კარპიანესადმი წერილის – პირველი ნაწილი. ანდერძის თანახმად (291r-v), სახარების დამკვეთია გრიგოლ მირდატის ძე, ხოლო გადამწერი – შატბერდელი მღვდელი გაბრიელი, რომელსაც წერის პროცესში ეხმარებოდა ამავე მონასტრის მსახური ორი პირი – ვინმე გაბრიელი და გეორგი. სახარების დასაწყისში, საწინამძღვრე ჯვარის გამოსახულებაში, ნუსხურით შესრულებული მინაწერიდან ვიგებთ, რომ შატბერდში გადაწერილი ეს სახარება XVI საუკუნეში ხორასანში ტყვეობიდან გამოუსყიდია მღვდელ იოვანე არწისშვილს. ჯრუჭის მონასტერში





სახარების მოხვედრის ისტორია უცნობია. 1920 წელს ქართული კულტურული მემკვიდრეობის თავმოყრისა და დაცვის მიზნით ექვთიმე თაყაიშვილმა სახარება შეიტანა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ფონდში (ამჟამად ხეც H ფონდი.).

ჯრუჭის I სახარების ტექსტი არის სახარების ადრეული ქართული თარგმანი, რომელსაც მკვლევრები ბიბლიის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად აღიარებენ. გარდა ტექსტის სიძველისა, ჯრუჭის I სახარება გამოირჩევა მხატვრული თავისებურებითაც. ის ერთ-ერთ ადრეულსტრიქტულ წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება. 940 წელს, გადაწერიდან 4 წლის შემდეგ, წიგნი შეიმკო 15 მხატვრულ-დეკორატიული გამოსახულებით. სახარების სატიტულო გვერდზე (1v) წარმოდგენილია კვადრატში ჩახატული ტოლფერდა ანუ კვადრიფოლიუმის ფორმის საწინამძღვრე ჯვარი. ჯვრის გამოსახულების თავზე იკითხება „კამარათა მწერალ“ თევდორეს მთავრულით შესრულებული სავედრებელი წარწერა. ტერმინი „კამარა“ X საუკუნეში ეწოდებოდა არა მინიატურათა მხატვრულ კამარისებურ მოჩარჩოვებას, არამედ სახარების კანონებს (შუა საუკუნეებში დადგენილი წესის შესაბამისად, სვეტებად წარმოდგენილია ოთხივე სახარების მუხლთა შესატყვისობების ცხრილი). ამდენად, თევდორე დეკორირებულ თაღოვან კამარებში სახარების კანონთა ჩამწერი პირია. საწინამძღვრე ჯვრის გამოსახულებას მოსდევს 8 გვერდზე (2r-5v) განაწილებული დეკორირებული კამარები, ანუ სახარების 8 კანონი. ყოველი სახარების (მათე, მარკოზ, ლუკა, იო-



ანე) დასაწყისში გადაშლილი წიგნის ორ მომიჯნავე გვერდზე წარმოდგენილია განსხვავებული ფოთლოვანი დეკორით შემკულ თაღოვან მოჩარჩოებაში ჩახატული წყვილი მინიატურა, რომელთაგან ერთზე ფეხზე მდგომი მახარებლისა და მეორეზე სახარებისეული კურნების სცენებია გამოსახული. მინიატურები ასე წყვილდება: მარკოზ მახარებელთან – ბრმის განკურნებისა (92v-93r), ეშმაკულის განკურნებისა – ლუკა მახარებელთან (143v-144r), განრღვეულის ანუ დამბლადაცემულის განკურნებისა – იოანე მახარებელთან (228v-229r). გამონაკლისს წარმოადგენს მათეს თავის სახარების მხატვრული შემკულობა; აქ მათე მახარებლის მინიატურასთან დაწყვილებულია ჩვილედი დვთისმშობლის ხატი (6v-7r). ჩვილედი, ანუ დვთისმშობლის ყრმით გამოსახულება იშვიათი მოვლენაა შუა საუკუნეების სახარებების მოხატულობაში. სახარებას ერთვის საკითხავთა საძიებელი.

XVI საუკუნეში სახარების საქართველოში ჩამოტანისა და ჯრუჭის მონასტერში მოხვედრის შემდგომ წიგნი პირველად რესტავრირდა. გაუფერულებული ტექსტი გაცხოველდა შავი მელნით. დამლილი წიგნი ხელახლა აიკინდა და ჩაისვა ყდაში. ხელახალი აკინძვის დროს დავიწროვდა წიგნის ზედა არშია.


როგორც კაცობრიობის წერილობითი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუში, ჯრუჭის I სახარება 2006 წელს გამოფენილი იყო ვაშინგტონის სმიტსონის მუზეუმში (აშშ) ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში სხვადასხვა ენაზე გადაწერილ ბიბლიის წიგნთა შორის.



წყაროსთავის სახარება

216 ფ.; 290x190 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, სათურები და საზედაო ასოები ნაწერია წითელი მელნით.
A-98; X ს-ის ბოლო

წყაროსთავის სახარება X საუკუნის მნიშვნელოვან ძეგლადაა მიჩნეული. სახარების რედაქცია ძველ ოპიზურ ვერსიას მისდევს. შემორჩენილი ანდერძი მხოლოდ გადამწერთა სახელებს გვიჩვენებს: გაბრიელს (76v, 110r) და თეოდორეს (3r). ანდერძიდან არ ჩანს გადაწერის ადგილი და ზუსტი დრო; ტრადიცია ხელნაწერის გადაწერის ადგილად კლარჯეთში არსებულ წყაროსთავის დვთისმშობლის სახელობის მონასტრის სკრიპტორიუმს მიიჩნევს. თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც. საქმე ისაა, რომ იმ ხანის საქართველოში რამდენიმე წყაროსთავი არსებობდა, რაც გადაწერის ადგილთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას ბადებს. ხელნაწერის თარიღი – X საუკუნის ბოლო – პალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური და სტილისტური ანალიზის საფუძველზე დადგენილი. კოდექსი 1074 წელს ხელმეორედ ვინმე იოვანეს შეუმოსავს (4v). ხელნაწერში, ადრექრისტიანული ტრადიციის შესაბამისად, მინიატურები სახარების დასაწყისშია თავმოყრილი. მახარებელთა შეწყვილებული პორტრეტები – მათე-მარკოზი (3v) და ლუკა-იოანე (4r) წინ უსწრებს კამარათა სერიას (5r-8v). მახარებელთა აღმოსავლური ტიპაჟები, გადიდებული თავებითა და მეტყველი დიდი თავლებით, მათი გულუბრყვილო სახეები, მარტივი გრაფიული ნახატი, სხეულის მოდელირება თხელი პარალელური ხაზებით ექსპრესიულობით გამოირჩევა. ეტრატის ბუნებრივ ფონზე წარმოდგენილი ილუსტრაციები აღმოსავლეთ ქრისტიანული ხელოვნებისათვის სახასიათო ფერთა გამით ხასიათდება. კამარებს დაკარგული აქვს არქიტექტურული აღქმა და მთლიანად სიბრტყესაა მინდობილი. მხატვრის გაუწაფავ ხელს ხაზს უსვამს კამარათა დეკორში ჩართული, სქემატურად შესრულებული ფრინველთა, ცხოველთა და ზღაპრული არსებათა გამოსახულებები.







პალესტინის სახარება

243 ფ.; ეტრატი; 220×165 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. H-1741; 1048 წ.

სამეცნიერო საზოგადოებაში პალესტინის სახარების სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერი შეიცავს სახარების წინარეათონური რედაქციის ტექსტს. ხელნაწერი გადაწერილია 1048 წელს იერუსალიმში, გეთსიმანიაში, მცხეთელი ბერის, მიქაელ მწირის მიერ. ხელნაწერის მომგებელია პალავრელი ხუცესი სტეფანე, რომელიც ანდერძში „მცხეთის შვილად“ იხსენიება.

სახარებას ერთვის საკითხავთა ორი სხვადასხვა ტიპის საძიებელი. პირველი, რომელიც მიქაელის ხელით არის შესრულებული, ანდერძის თანახმად, „ბერძნული წესის“ მიხედვით არის შექმნილი და ადრექრისტიანული, ანუ საბაწმინდური წარმომავლობისაა. მეორე საძიებელი, რომელიც XIV საუკუნეში უნდა იყოს ხელნაწერისათვის დართული, კონსტანტინოპოლური ტრადიციისაა და მთლიანად პალიმფსესტურია. ეს ფურცლები სვანეთში უნდა დაემატებინათ სახარებისთვის, რადგან ხელნაწერში შემონახულია XIV საუკუნის მხედრულით შესრულებული „დაწერილები“ ანუ მოსახსენებლები, რომელთა ავტორები ლატალის, იენამის, ლაბსყალდისა და ზემო სვანეთის სხვა თემების მაცხოვრებლები არიან.

სახარების თანადროულ გაფორმებას წარმოადგენს ტექსტის დასაწყისში, თავფურცელზე ჩართული ჯვრის გამოსახულება და მოგვიანო, XV-XVI საუკუნეების მწვანე, ნარინჯისფერი და ყვითელი მელნით შესრულებული მათე მახარებლის გამოსახულება (1v) და კამარა (2r).

ალავერდის სახარება

324 ფ.; ეტრატი + 4 ქაღალდის ფურცელი; 240x190 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, საზედაო ასოებსა და მოხატულობაში გამოყენებულია ოქრომელანი, წითელი და ლურჯი მელანი. A-484; 1054 წ.

საგანგებო დაკვეთით მაღალი ხარისხის ეტრატიზე კალიგრაფიული ნუსხურით გადაწერილი ხელნაწერი. გარდა სახარებისა, შეიცავს ადრექრისტიანულ მწერლობაში მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატთან დაკავშირებულ აპოკრიფს „ავგაროზის ეპისტოლე“. შედგება ეტრატის 324 და ქაღალდის 4 ფურცლისგან. ქაღალდის ფურცლები დამატებულია გვიან, სავარაუდოდ, XVII საუკუნეში ხელნაწერის დაკარგული პირვანდელი ყდის ნაცვლად ახალი ყდის დამზადების დროს. წიგნი გადაწერილია ისტორიული ქალაქის, ანტიოქიის მახლობლად მდებარე კალიპოსის მამათა მონასტერში (ამჟამად თურქეთის ჰათაის პროვინცია). მომგებელი ანუ დამფინანსებელია სვმეონ მღვდელი, გადამწერები – გიორგი და იოვანე დვალი. სახარების ტექსტი XI საუკუნიდან ბიზანტიურ სივრცეში დაკანონებულ რედაქციაზე მუშაობის პირველ საფეხურს ასახავს.

წიგნი მდიდრულადაა შემკული. სახარების ტექსტს უძღვის დეკორირებულ კამარებში ჩასმული „ევსებიოსის წერილი კარპიანესადმი“ (1v-2r), 14 კამარა ანუ კანონი (2v-9r) და საწინამძღვრე ჯვარი (9v). თითოეულ სახარებას უძღვის მათე (14v), მარკოზ (101v), ლუკა (156v) და იოვანე (243v) მახარებელთა გამოსახულებები. ტექსტის დასაწყისი გაფორმებულია თავსამკაულითა და დეკორირებული საზედაო ასოებით. მოხატულობისათვის გამოყენებულია ლურჯი, წითელი, ოხრას ფერის საღებავები, გამოსახულების ფონის შესავსებად გამოყენებულია ფურცლოვანი ოქრო. „ავგაროზის ეპისტოლის“ მთავრულით გადაწერილი ტექსტი შემკულია ექვსი სიუჟეტური მინიატურითა და ფერადოვანი საზედაო ასოებით. აპოკრიფის მხატვრულ შემკულობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ამსახველი მინიატურა.

წიგნს ერთვის სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ შედგენილი სამი ანდერძი და არაერთი მინაწერი, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან დოკუმენტებს წარმოა-



დგენენ. პირველი, ვრცელი თეოლოგიური შესავლის მქონე ანდერძი შედგენილია წიგნის მომგებელ სვმეონის მიერ (311v-314r). ანდერძში დასახელებული არიან კალიპოსში მოღვაწე ქართველი ღვთისმსახურები. ხელნაწერს არ ახლავს თარიღი. მისი გადაწერის დრო – 1054 წელი – დადგენილია ამ ანდერძში დასახელებული ფაქტის, ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში ყოფნის საფუძველზე. მეორე ანდერძი შედგენილია 1059 წელს კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ IV ბაღვაშის დატყვევების შემდგომ მისი ძის, ივანე პროედროსის მიერ. ანდერძის თანახმად, ბაგრატ IV-ის წყალობისა და კაცხის მამულის მიღების შემდგომ მან ეს ხელნაწერი და დიდი განძი შესწირა კაცხის მონასტერს (314v-316r). ამ ანდერძის მიხედვით, წიგნი XI საუკუნეში ჩასმული იყო ერთიან მოოქრულ ქედურ ყდაში. XVI საუკუნეში კაცხიდან გატანილი წიგნი გამოუსყიდია და ხანძრის წმ. გიორგის მონასტრისთვის შეუწირავს ვინმე გიორგის (1r). XVII საუკუნეში შაჰ აბასის მიერ ქართლ-კახეთის აოხრებისა და ქეთევან დედოფლის წამების შემდგომ ტაო-კლარჯეთიდან გამოტანილი ეს წიგნი სპარსთაგან დარბეულ ალავერდის მონასტერში გადასატანად ლევან II დადიანის შეწევნით გეგუთში შეუძენია ალავერდელ ამბა ზებედეს. გაძარცვული სახარების ახალ ყდაში ჩასმა ოდიშის მთავრის ხელშეწყობით მისსავე სახელოსნოებში უნდა მომხდარიყო.





მარტვილის სახარება

186 ფ.; ეტრათი; 230x190 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი; წითელი, ყვითელი და მწვანე მელანი გამოყენებულია საზედაო ასოების გაფორმებაში. S-391; XI ს.

ხელნაწერი გადაიწერა ჭყონდიდში იოანე მესვეტის (ჭყონდიდელის) მიერ; ხელნაწერის მომხატველია არსენ ეშმას ძე, მომგებელი – ივანე ფარჯანიანი.

წიგნი სამი სხვადასხვა ხელნაწერის გაერთიანებას წარმოადგენს. პირველი ხელნაწერიდან შემორჩა მხოლოდ ადრეული სახარებებისათვის დამახასიათებელი ფეხზე მდგომი მახარებლების – მათესა და ლუკას – მინიატურები, მინიატურების ფურცლები ხელნაწერთან შედარებით მცირე ზომისაა. მეორე ნაწილი მოიცავს 1r-140v ასომთავრულით ნაწერ ფურცლებს, ტექსტი ადრეიზანტიური რედაქციის სახარებებს განეკუთვნება. მესამე ნაწილი, რომელიც 141r-186v ფურცლებზეა გადაწერილი, ნუსხურადაა ნაწერი, მდიდრულად გაფორმებულია საზედაო ასოებით. სწორედ ამ ნაწილის მომხატველია არსენ ეშმას ძე. საზედაო ასოების შესრულების მანერა გრაფიკულია, ხშირად გვხვდება მწვანე, ყვითელი, ყავისფერი შეფერილობა. ნაკლები ხელნაწერები ერთ წიგნად გაერთიანებული და მევსებულია ივანე ფარჯანიანის დაკვეთით. ფარჯანიანები ადრეულ შუა საუკუნეებში სვანეთში, იფარის თემში მოღვაწე ცნობილი საგვარეულო სახლია. 1031 წელს ივანე ფარჯანიანის მამის, ვახტანგის დაკვეთით მარტვილის სახარების გადაწერ იოვანე ჭყონდიდელს გადაუწერია ფარჯანიანებისათვის წმინდა გიორგისა და წმიდა თეოდორეს ცხოვრებების შემცველი ხელნაწერი (Q-240), ამავე საგვარეული სახლმა შესწირა იფარის თემს მოვერცხლილი ჯვარიც. მარტვილის სახარება პირადი ბიბლიოთეკების არსებობის დამადასტურებელი საინტერესო ნიმუშია.





გელათის კატენებიანი ბიბლია

302 ფ.; ქაღალდი; 370×276 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები წითელი მელნით. A-1108; XII ს.

ძველი ადრეული არასრული კრებული ფურცლების არშიებზე განმარტებების, ანუ კატენების თანხლებით. იწყება ლევიტელთა VII თავიდან, შეიცავს რიცხვას, მეორე სჯულისა, ისუ ნავეს, მსაჯულთა და წინასწარმეტყველთა წიგნებს. ბიბლიის ტექსტი გადაწერილია ფურცლის ცენტრალურ ნაწილზე, არშიებზე მიჰყვება ეკლესიის ცნობილი მამების – კირილე ალექსანდრიელის, თეოდორიტი კვირელის, აპოლინარის, ორიგენეს, ევსევი კესარიელის, სევეროს ანტიოქიელის, იოანე ოქროპირის, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის, ბასილი კესარიელისა და სხვათა განმარტებები. მკვლევართა აზრით, კატენებიანი ბიბლია უნდა შედგინათ XII საუკუნეში. ხელნაწერი თარიღდება XII საუკუნით. ტექსტს ერთვის პირობით ნიშანთა სისტემა. გადაწერილია თავისებულ გადამწერი ნუსხური ხელწერით.



გელათის სახარება

293 ფ.; ეტრატი; 260×188 მმ.; ნუსხური, ასომთავრული, ყავისფერი მელანი; წითელი, ლურჯი, ღვინისფერი და ოქრომელანი გამოყენებულია მოხატულობაში. G-908; XII ს.

გელათის სახარებას ქართულ მოხატულ ხელნაწერთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია. ხელნაწერის სახელწოდება, გელათის სახარება, მისი ბოლოდროინდელი დაცულობის ადგილიდან დამკვიდრდა, სადაც ხელნაწერი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩანს. გელათის სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა. ხელნაწერის შექმნის ადგილი უცნობია. გადანუსხვის და შემკობის მიახლოებითი თარიღი XII საუკუნე, რაც დადგენილია სახარების ტექსტის, კალიგრაფიული ხელისა და მინიატურათა შესწავლის საფუძველზე. სახარების კვლევის, მისი გაფორმების მხატვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ხელნაწერის შექმნის ადგილად რამდენიმე ქართული სამწერლობო კერა ივარაუდება: ათონის ივერთა მონასტერი, კონსტანტინოპოლის დღეისათვის უცნობი



ქართულ-ბერძნული სკრიპტორიუმი და შავი მთის ერთ-ერთი ქართული მონასტერი.

სახარების ტექსტს უძველეს ევსებიოსის წერილი კარპიანესადმი, რომელიც ორ სვეტად არის დაწერილი და ოთხი გვერდი უკავია. ეტრატის ფურცელზე თავსამაჟულისა და ტექსტის განაწილების ანალოგიურ პრინციპს იმეორებს თითოეული სახარების წინ წამდვარებული თავების ნუსხა. სახარებას ერთვის 10 მინიატურით შემკული „ავგაროზის ეპისტოლე“ (287r-292r).

სახარების ერთ სვეტად ნაწერი ტექსტი მასში ჩართული მინიატურებითა და საზედაო ასოებითაა გამრავალფეროვნებული. გადაწერისას ტექსტის მარჯვენა მხარეს, მათთვის სპეციალურად დატოვებულ არეზე, მინიატურათა დართვის ერთიანი პრინციპი



ყოველთვის მკაცრად დაცული. ხელნაწერში კამარათა 14-გვერდიან სერიას მოსდევს „დეისუსის“ სამფიგურიანი კომპოზიცია (11r). სახარების ყოველი თავის დასაწყისში დართულია მახარებელთა მინიატურები (მათე – 15v, მარკოზ – 91v, ლუკა – 144r, იოანე – 223v).

საზედაო ასოები დახვეწილობით, ოქროს ზომიერი გამოყენებით, ფერადოვნებით და ხაზის მოქნილობით ხასიათდება. შესაბამის ადგილას ჩართული მინიატურები სახარების ტექსტის ვიზუალური თხრობის გაშლას, მისი სრული დასურათების ტრადიციას ასახავს. მათეს სახარება 75 კომპოზიციას, მარკოზის – 62, ლუკას – 71, ხოლო იოანეს – 43 სიუჟეტურ სცენას შეიცავს (სულ 251 მინიატურაა). გელათის ტექსტში ჩართული მინიატურები თანამიმდევრულად ასახავენ ახალი აღთქმის მნიშვნელოვან სიუჟეტებს. ტექსტიდან ისინი მარტივი წითელი ფერის ხაზით შექმნილი ჩარჩოთი გამოიყოფიან. დასტურდება მინიატურების რამდენიმე ციკლი, მაგალითად, იესო ქრისტეს ცხოვრების ამსახველი, რომელიც აერთიანებს ქრისტეს ბავშვობის ილუსტრაციებს, ძირითადი დღესასწაულებისა და მოვლენების ამსახველ სიუჟეტებს, ასევე ვნებისა და აღდგომის შემდგომ სცენებს. გელათის ხელნაწერის დასურათებაში დიდი ადგილი ეთმობა განკურნებათა სცენებს და ქრისტეს სასწაულების ამსახველ მინიატურებს. ხელნაწერში ცალკე ციკლად შეიძლება გამოიყოს იოანე ნათლისმცემლის თემისადმი მიძღვნილი სიუჟეტები. სახარების დასურათებაში რამდენიმე (სავარაუდოდ, 4) სხვადასხვა დონის მხატვრის ხელი გამოიყოფა.

გელათის სახარება ქართული მინიატურული მხატვრობის განსაკუთრებული ნიმუშია. ქართული და ბიზანტიური კულტურული ურთიერთობებისა და ტრადიციების ფონზე შექმნილი საზეიმო ხელნაწერის გაფორმება ასახავს XII საუკუნის ქართული წიგნის ხელოვნების მაღალ მხატვრულ დონეს, მასში ჩადებულ კომპლექსურ ეპოქის (1081-1118) მოწინავე იდეურ, იკონოგრაფიულ და სტილურ ტენდენციებს, კულტურული გარემოს გავლენას, მხატვრის ოსტატობას და დამკვეთის დახვეწილ გემოვნებას.







ჯრუჭის II სახარება

278 ფ.; ეტრავტი; 245x186 მმ.; ნუსხური, ასომთავრული. მუქი ყავისფერი მელანი, მოხატულობასა და საზედაო ასოებში გამოყენებულია წითელი, ლურჯი, მწვანე, თეთრი და ოქრომელანი. H-1667; XII-XIII სს.

ჯრუჭის II სახარების სახელით ცნობილი XII-XIII საუკუნეების ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილმა 1919 წელს ჯრუჭის მონასტრიდან ჩამოიტანა. სახარების გიორგი მთაწმინდლისეული ტექსტის შემცველი ხელნაწერი მასში ჩართული მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებული მინიატურების სიმრავლითაა გამორჩეული. ის სახარებების იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც სახარების ტექსტის სრული გაფორმების სისტემას გვთავაზობს. ხელნაწერში 334 მინიატურაა ჩართული.


ხელნაწერის გადაწერისა და მხატვრულად შემკობის ადგილი უცნობია. მას არ ახლავს თანადროული კოლოფონები. გასული საუკუნის შუახანებში გამოვლინდა ერთ-ერთი გადაწერის, მიქაელის სახელი: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და დაიცავ“ (f.180v). მისი სახელი ერთ-ერთ მინიატურაში, მაცხოვრის სავარძლის ორნამენტულ გაფორმებაში იყო ჩართული.





მიქაელივე მოიხრება მინიატურების ოთხი მხატვრიდან ერთ-ერთად. ხელნაწერში სცენების შერჩევას უპირატესობა ენიჭება ქრისტოლოგიურ თემას, ვნებათა ციკლს, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ისტორიას, იგავებს, მეორედ მოსვლასა და ხსნასთან დაკავშირებულ სიმბოლურ კომპოზიციებს. განსაკუთრებული უპირატესობა მაინც იგავებსა და ქრისტეს ქადაგებებს ენიჭება. სატიტულო კომპოზიციად „ვედრება“, (6r) გელათის სახარების მსგავსად, ჯრუჭი II სახარებაშიც ჩნდება. მისი კამარათა დეკორიც ტრადიციას მისდევს და ოქროს სიუხვით, დახვეწილი და ნაზი ფერადოვანი შეხამებით გამოირჩევა. კამარათა გვერდით სახარებაში სახასიათო საზედაო ასოების გაფორმების თავისებურება: ფრინველთა, ცხოველთა და სხვადასხვა ფანტასტიკური არსებებით შედგენილი ინიციალები შთამბეჭდავია. ერთი შეხედვით, მინიატურათა ფერადოვანი ფენა თითქოს თხელია და ამიტომ თვალმისაცემია კონტურული ნახატისა და ფორმების ხაზობრივი რიტმი; ამ რიტმის დინამიკას მისდევს ემოციურად გამომსახველი, სწორად აგებული, პროპორციული ფიგურების მოძრაობაც. ემოციურობა, პლასტიურობა, სივრცელობა ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტებია ხელნაწერის დასურათებაში.

ჯრუჭის II სახარების დამსურათებელი ინდივიდუალური მხატვრული ხედვის გამჟღავნების მიზნით ტექსტში მინიატურათა ჩართვის მკაცრად განსაზღვრულ წესს არ მისდევენ. ინტენსიური ფერადოვნება, არქიტექტურისა და პეიზაჟური ელემენტებით გამდიდრებული, მეტწილად მრავალფეროვანი კომპოზიციები ექსპრესიულობითა და ემოციურობითაა გამორჩეული. განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს ტექსტისა და მინიატურის მიმართება – ტექსტში შეჭრილი, კომპოზიციის კიდესთან გამოსახული, მოჩარჩოებად აღქმული, პლასტიური და დახვეწილი სილუეტის პეიზაჟური ელემენტები ორგანულად ესიტყვება ნუსხური ტექსტის არქიტექტონიკას. დასურათებისათვის სახასიათო კომპოზიციათა არსებობა გაგრძელდება; მეტიც, სრულებით განუმეორებელი დინამიკის შემომტანია კილიდან შემოჭრილი, გვერდის ცენტრისაკენ მიმართული სიუჟეტური პერსონაჟები (განსაკუთრებით იქ, სადაც წარმოდგენილია იერუსალიმის დაცემისა (64r) და ჯვარდმის (75v) კომპოზიციები). ჯრუჭის მინიატურათა ყოველ კომპონენტში გამოხატულია განსაკუთრებული რიტმულობა, რომელიც ამ ხელნაწერ წიგნს გამოარჩევს სახვითი ხელოვნების სხვა ნიმუშებისაგან.





ბიჭვინთის სახარება

230 ფ.; ეტრატის; 310x230 მმ.; ნუსხური, ასომთავრული;
ყავისფერი და წითელი მელანი.
H-2120; XII-XIII სს.

ბიჭვინთის სახარება მისი ბოლოდროინდელი დაცულობის ადგილის მიხედვითაა სახელდებული. ხელნაწერი XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიაში იყო დაცული. ხელნაწერმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. კოდექსში მისი გადაწერის ადგილის, მომგებლისა თუ გამწერის ვინაობის მიმანიშნებელი ანდერძი არ შემორჩენილა. წარწერა ხელნაწერს ახლავს ვერცხლით მოჭედილი ყდის ზედა და ქვედა მხარეს, ჯვარცმისა და აღდგომის (ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის) სცენების ქვეშ. წარწერის თანახმად, ხელნაწერის ყდა სოლომონ შერვაშიძესა და მის ვაჟს, არზაყანს, ფრიელსა და ლიპარიტ დადიანზე გამარჯვების ნიშნად მოუჭედავთ და ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავთ. ტექსტის დასაწყისში ჩართული მხედრული წარწერა საუსტან და სავარებ შერვაშიძეების სახელებსაც გვამცნობს (1r).


ხელნაწერში მხოლოდ ორი მინიატურაა შემორჩენილი – მარკოზისა (52v) და ლუკა (103v) მახარებლების პორტრეტები. ისინი ოქროს ფონზე, კამარის თაღოვან მოჩარჩოებაში წერის პროცესში არიან გამოსახულნი. მარკოზ მახარებლის კამარის ზედახსნის ორთავიანი ფრთებგამოღლილი, სავარაუდოდ, არწივის გამოსახულება დაასრულებს, ხოლო წმ. ლუკასთან კი სცენა გველეშაპის ხახიდან ამოზრდილ მცენარეზე შემომჯდარი მამლის კომპოზიციით იტვირთება და მინიატურას სიმბოლურ ხასიათს სძენს. მამალი ხომ ახალი დღის, ახალი მრწამსის მიმანიშნებლად მოიჭრება. მახარებელთა პროპორციები დარღვეულია. მათთვის სახასიათოა ოდნავ გადიდებული მარჯვენა ხელის მტევანი. ბიჭვინთის ხელნაწერის მახარებელთა სახეები განსხვავდება თანადროული, XII-XIII საუკუნეების დახვეწილი, ფაქიზად მოდელირებული სახეებისაგან.

კამაროვანი მოჩარჩოების შეფერილობა თეთრ-შერეული ლურჯისა და ვარდისფრის მონაცვლეობით იგება. იმავე პრინციპით სრულდება მათი ერთფეროვანი სამოსიც, რაც ერთგვარ მქრქალ ელფერს ანიჭებს სცენებს.

ბიჭვინთის სახარების მახარებელთა ფიგურები თვალსაჩინო ნიმუშია XII-XIII საუკუნეების საერთო ბიზანტიური გავლენების ფონზე, ფიგურათა სიბრტყობრივ ნახატსა და რამდენადმე ჭრელ, აკვარელისებურ შეფერილობაში გამჟღავნებული ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების არსებობისა.

მახარებელთა გარდა, სახარება ორნამენტულ თავსამაულისაგან შეიცავს, რომელიც ოსტატობის დონით საგრძნობლად განსხვავდება ფიგურატიული გამოსახულებებისაგან. წნული ორნამენტის თავსამაული სცილდება ჩარჩოს საზღვრებს და სახარების ტექსტში იჭრება. იგი ერწყმის ინიციალს და მასთან ერთად ერთ მთლიანობას ქმნის. ორნამენტში ფერადოვნება შეზღუდულია; ნახატი სინფრითაა დაფერილი და ცისფერი ტონით დამუშავებული. ამ შემთხვევაში ბიჭვინთის მხატვარი სპილოსძვლისფერ ეტრატს ფერის მნიშვნელობით იყენებს, რაც XII-XIII საუკუნეების სახასიათო ნიშანია. სავარაუდოა, რომ ილუსტრაციები გადამწერის შესრულებულია.





ვანის სახარება

274 ფ.; ეტრატი; 290×210 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; მოხატულობაში გამოყენებულია ოქრომელანი, ყავისფერი და წითელი მელანი. A-1335; XII-XIII სს.

XII-XIII საუკუნეების ქართულ დასურათებულ ხელნაწერებში გამორჩეულია კონსტანტინოპოლის შემოგარენში, რომანას მონასტერში გადაწერილი და მოხატული ვანის სახარება. სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა.

ვანის სახარება ქართულ ტრადიციაში იმ იშვიათ გამონაკლისს წამოადგენს, რომელშიც შემორჩენილია არა მხოლოდ გადაწერის ადგილი და გადაწერის სახელი, არამედ მხატვრისაც. ხელნაწერის ანდერძი – „ესე სახარებაჲ მე, ი[ოვან]ე უღირსმან საპყარმან და მლოცველმან წ[ის] დედუფლის თამარისამან, ვიოფლე წერით ქალაქსა შინა კონსტანტინოპოლის“, – გადამწერსა და გადაწერის ადგილს გვამცნობს (272v). გადამწერი იმასაც გვიმჟღავნებს, რომ სახარება მან რომანას მონასტერში, ათონის წმინდა მთიდან ჩამოტანილი ნუსხიდან გადაწერა „...ბერ ზაქარია მი-რაჲ-ვიდა მთასა წმიდასა, ძიება ყო გიორგის მიერ აღწერილისა წ[მიდი]ისა მის სახარებისათს და პოა დიდსა წიგნის საცავსა შინა და აღივსო სიხარულითა და მიერ გადმოეწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს, და აღმო-რაჲ-ვიდა რომანას, მე ჰელ-ვყავ, ცოდვილმან იოანე, აღწერად, რამეთუ აღრითგან სწყუროდა სულსა ჩემსა მოგებად წმიდისა სახარებისა“ (266v).

ხელნაწერის ბოლოს გადამწერის ანდერძთან ერთად მხატვარ მიქაელ კორესელის ბერძნულენოვანი კოლოფონიც გვხვდება: „ოქროთი მოიწერა ეს წიგნი მიქაელ ოქრომწერლის კორესელის მიერ“ (272v).


ხელნაწერის დეკორის ძირითადი ელემენტები – ყულფიანი კამარები, თავსამაული, საზედაო ასოები – მაღალი მხატვრული ოსტატობითაა შესრულებული. კამარათა გაფორმებაში ჩართული ფიგურები



თვეთა სიმბოლურ გამოსახულებებს წარმოადგენენ: მარტი – აბჯროსანი მეომარი შუბითა და ფარით; აპრილი – ახალგაზრდა კაცი მხრებზე მოგდებული ბატკნით, მაისი – ფიგურა ყვავილების თაიგულით; ივნისი – ცელით ხელში მკის; ივლისი – მოსავალს ანიავეს; აგვისტო – სასმისიდან სვამს; სექტემბერი – გოდრით მოსავალს იღებს; ოქტომბერი მიმინოთი მონადირეა, ნოემბერი – ბარავს; დეკემბერი – თესავს; იანვარი – ტაბლას უზის, ხოლო თებერვალი – ბეწვისქურქიანი მოხუცი ცეცხლთან თბება. აღნიშნული გამოსახულებები კამარათა ბაზისად და მოჩარჩოების სვეტების მზიდ ფიგურებად გვევლინებიან.

კამარებისა და თავსართების თავზე უხვად ჩნდება სხვადასხვა ეგზოტიკური ცხოველისა და ფრინველის გამოსახულებები; ქალაქური ცხოვრებიდან აღებული ცალკეული სიუჟეტები (დათვი და მისი მომთვინიერებელი, ლომისა და კაცის შერკინება, ზოგიერთი მოსაზრებით, სამსონი და ლომი, წყლის დამტარებელი აქლემიანი კაცი) კარგად შეითვისა კამარათა დეკორმა.

XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე სახარებათა დასურათებაში მინიატურათა რაოდენობა საგრძნობლად მცირდება და ვანის სახარების მხატვარი ამ სისტემის



თავისებურ გადაჯრებას გვთავაზობს. სახარების დასაწყისში ევსებოსისა და კარპიანეს შეწყვილებული ფიგურებია, ისინი ვანის ოთხთვისათვის სახასიათო კამარის ფონზე ბალდახინის ქვეშ არიან გამოსახულები (1v). სახარების ტექსტის დასაწყისში კი მხატვარი წარმოგვიდგენს „ქრისტეს მახარებელთა გარემოცვაში“ (8v).

სახარებისეული სიუჟეტები მახარებელთა გამოსახულებებთანაა შეწყვილებული და თაღვან მოჩარჩობაში ჩაწერილი: მათე მახარებელთან – „შობა“ (9v), მარკოზ მახარებელთან – „ნათლისღება“ (81v), ლუკა მახარებელთან – „ხარება“ (131v), ხოლო იოანე მახარებელთან – „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“ (210v). უდავოა, რომ ვანის სახარების ოსტატი ბერძნული მინიატურული მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებიდან იღებდა შთაგონებას და კონსტანტინოპოლის წამყვანი სკრიპტორიუმების მხატვრულ ტრადიციებს იზიარებს. ფიგურათა ფერწერული ძერწვა, მდიდარი ფერადოვანი გამა, ოქროს განსაკუთრებული დატვირთვა, ორნამენტული დეკორის მრავალფეროვნება, ოქროს ასისტების გამოყენება ეპოქისათვის სახასიათო დეკორატიული ტენდენციების გაძლიერებაზე მიგვანიშნებს.

როგორც ჩანს, ხელნაწერს თანადროული ვერცხლის მოჭედილი ბუდე უნდა ჰქონოდა (ჯვარცმის, ჯოჯოხეთის წარმოტყვევნისა და მახარებელთა გამოსახულებებით). ხელნაწერის დასაცავად XVII საუკუნეში ჩიჯავაძეებს ახალი ბუდე გაუკეთებიათ. დღეს ორივე დაკარგულია.

ვანის სახარების რამდენიმე ასლი არსებობს. ერთი მესტიის მუზეუმში დაცული ლაბსყალდის სახარებაა (XII-XIII სს.), მეორე კი სომხეთში, მატენადარანის საგანძურში დაცული XIII საუკუნეში ტაო-კლარჯეთში გადაწერილი ქართული სახარებაა (ცნობილია ართვინის ან ეჩმიადინის სახარების სახელით).

ხელნაწერი ვანის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში ინახებოდა. ხელნაწერზე დართული 1776 წლის მინაწერი გვამცნობს, რომ აფხაზეთის კათალიკოსსა და სოლომონ მეფის ძმას, იოსებს, გამოუხსნია სახარება და საჩინოს ვანის ეკლესიისათვის თავიდან შეუწირავს (273v). უფრო ადრე კი სახარება შორათის ეკლესიისათვის პატრონ ნათიას, საკუთარი და მეუღლის სულის, შალვა არტანუჯელის შვილის, ბექას მოსახსენებლად მიუძღვნია (274r).





მოქვის სახარება

329 ფ.; ეტრათი; 300×123,5 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ღია ყავისფერი მელანი; მხატვრობაში გამოყენებულია ოქრომელნის, წითელი და ლურჯი მელნის ნარევი. Q-902; 1300 წ.



მოქვის სახარება XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ქართული კალიგრაფიული ხელოვნებისა და მინიატურული მხატვრობის გამორჩეული ნიმუშია. ხელნაწერი 1300 წელს (325v-326r), სავარაუდოდ, მოქვის მონასტრის სკრიპტორიუმში მოქველი მთავარეპისკოპოსის, დანიელის (328r) დაკვეთით ბერ ეფრემს (103r, 325r) გადაუწერია. ეფრემი ასევე ითვლება ხელნაწერის მომხატველად. სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა. ხელნაწერის უნიკალური მხატვრული სახე ტექსტში ჩართული მინიატურებითა და გაფორმების სახასიათო დეტალებით განისაზღვრება. მოხატულობაში გამჟღავნებული სიახლეებისაკენ სწრაფვა და ეპოქის მოწინავე მხატვრული ტენდენციების ასახვა მოქვის სახარების მოხატულობის საეტაპო მნიშვნელობას განაპირობებს. ხელნაწერი XIII-XIV საუკუნეებისათვის უჩვეულო მინიატურების სიუხვითაც გამოირჩევა. მის განსაკუთრებულ მხატვრულ თავისებურებას კი ფურცლოვან ოქროზე შესრულებული მინიატურები წარმოადგენს; კოდექსის ვიზუალურ სახეს 155 სიუჟეტური მინიატურა, 10 კამარა, 4 მახარებლის პორტრეტი და 530-მდე საზედაო ასო წარმოაჩენს. მოქვის სახარების გაფორმებაში ჩნდება როგორც მთლიან გვერდზე წარმოდგენილი კომპოზიციები (ქრისტეს გენეალოგია – 14r, სულიწმიდის მოფენა, ღვთისმშობლის მიძინება – 327v, ჩვილელი ღვთისმშობლის წინაშე მუხლმოყრილი დანიელი მთავარეპისკოპოსი – 328r), ისე ტექსტში ჩართული სცენები. სახარებაში ქრისტეს ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ციკლი გამოიყოფა. ხელნაწერის დასურათებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა განკურნებათა სცენებსა და ქრისტეს სასწაულების დამადასტურებელ მინიატურებს.

მოქვის სახარების გაფორმებაში ჩართულ სცენათა იკონოგრაფიული რედაქციები ეპოქის მოწინავე მიდ-

წევებით საზრდოობს. მასში თანაბრად გაჯერებულია პალეოლოგოსური (1261-1453) იკონოგრაფიისათვის ნიშნული ადრეული, აღმოსავლეთ-ქრისტიანული და ბიზანტიური მხატვრული სახისმეტყველებითი აზროვნება. მოქვის სახარება, ალავერდის სახარებასთან (A-484) ერთად, ქართულ ტრადიციაში დაცული ის იშვიათი გამონაკლისია, რომელშიც მახარებლებს მათი შთამაგონებელი ფიგურები ახლავს: მარკოზ მახარებელს – პეტრე მოციქული, ლუკა მახარებელს – ღვთისმშობელი, იოანე მახარებელს კი ღვთაებრივი სხივი. მოქვის სახარების ბოლო მინიატურა ჩვილელი ღვთისმშობლის წინ მუხლმოყრილ, ვედრების ქესტით მისკენ მიმართულ მოქველ მთავარეპისკოპოსს, დანიელს წარმოგვიდგენს. მომგებლის თუ შემკვეთის პორტრეტის გამოსახვა, განსხვავებით ქართული კედლის მხატვრობისაგან, მინიატურულ მხატვრობაში აქამდე არ გვხვდება. ჩვილელი ღვთისმშობლის ამგვარი იკონოგრაფია ოდიგიტრიის ტიპის მრავალფეროვანი სახეებიდან ერთ-ერთს 'ΗΘΕΑ ΕΛΠΙΣ (ქმშმარიტი იმედი) განეკუთვნება.

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მოხატული მოქვის სახარება იკონოგრაფიული, კოლორისტული და მხატვრულ-სტილური ძიებებით, ადრეპალეოლოგოსური სახისმეტყველებითი ტენდენციებითა და მისი ესთეტიკური ფასეულობებითაა გამსჭვალული. მინიატურათა მდიდრული ფერადოვანი ნიუანსები და ფერადოვანი ფაქტურის სიღრმე წინარეერენესანსულ მხატვრულ ასოციაციებს იძენს. მოქვის სახარების მინიატურული მხატვრობა ქართული და, შეიძლება ითქვას, ბიზანტიური ადრეპალეოლოგოსური ხანის წიგნის მხატვრობის უნიკალური ძეგლია, რომელმაც საფუძველი დაუდო ამ სტილის განვითარებას და, ზოგადად, განსაზღვრა XIV საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ხასიათი.

ფსალმუნი

168 ფ.; ეტრათი; 100×750 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათაურებსა და საზედაო ასოებში გამოყენებულია ოქრომელანი. A-351; 1494 წ.

ფსალმუნი სამცხის ათაბაგთა კარის სკრიპტორიუმიდან გამოსული ხელნაწერია, რომელიც, სავარაუდოდ, ჯაყელებმა პირადი მოხმარებისათვის გადააწერინეს. ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა. ფსალმუნი იმ ხელნაწერების ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევრის ათაბაგთა კარის მულტიკულტურულ გარემოში შეიქმნა. ხელნაწერის გადამწერი იმ დროის გამოჩენილი მოღვაწე, მწიგნობარი, ხელოვანი, ათაბაგთა დიდი ნდობით აღჭურვილი პირი არის ამბროსე, ხოლო დამკვეთი – მზეჭაბუკი, ყვარყვარე დიდის შვილი. ხელნაწერი 1494 წელს შეიქმნა. მზეჭაბუკთან ერთად ხელნაწერის ანდერძში ვხვდებით მისი დედის, დედისიმედის, და ძმების, ქაიხოსროსა და ბაადურის სახელებსაც.

ხელნაწერი სრულიად გამორჩეულია თავისი მინიატურული ზომითა და ოქროს უხვი გამოყენებით. მასში ერთადერთი ილუსტრაციაა ჩართული ლირაზე დამკვრელი ბიბლიური მეფე დავითის სახით (2r). შეიძლება ითქვას, რომ ის იმეორებს მანამდეც და შემდეგ ეპოქებში გავრცელებული მეფე-წინასწარმეტყველის იკონოგრაფიას. აქ ისიცაა სახასიათო, რომ წარწერა მინიატურაზე ბერძნულად არის წარმოდგენილი. მსუბუქი, კლასიკური კონსტრუქციის ნაგებობის ფონზე მეფე ღვთაებრივი შთაგონებით შეპყრობილი ფსალმუნთა გალობისას წარმოგვიდგება. ოქროს ფონი, ზოგადად, ოქროს დეტალების სიუხვე, კალიგრაფიული ნახატიტ შესრულებული წინასწარმეტყველის გამოსახულება, პროპორციულობა, წერის დახვეწილი მანერა ოსტატის გაწაფულ ხელს ავლენს. ეპოქის სახასიათო დეტალია გადაფრიალებული ფარდა-ველუმი, რომელიც მკვეთრ წითელ აქცენტად გამოიყოფა მეფის ბალიშთან და წაღებთან ერთად. საერთო ფერადოვნება დახვეწილობით გამოირჩევა. ათაბაგთა ფსალმუნის დავით წინასწარმეტყველის



გამოსახულება ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო მინიატურული მხატვრობის ნიმუშია.

ოქროს სიუხვე თავს იჩენს ტექსტშიც. ფსალმუნთა დასახელებები და ცალკეულ ხაზთა დასაწყისები გამორჩეულად ოქრომელნით იწერება.

მოგვიანებით ხელნაწერი აგარიანებს ჩავარდნიათ ხელში და როსტომ ჭავჭავაძეს გამოუხსნია (165v). 1855 წლიდან ათაბაგთა კუთვნილი ფსალმუნი ქვათახვის მონასტრის ბიბლიოთეკის საკუთრებაა (23r, 167v).



ფსალმუნი

288 ფ.; ქაღალდი; 230x175 მმ.; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი. H-75; XVI ს.

ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში შემორჩენილი უხვად ილუსტრირებული დავითნი „თეთროსნის ფსალმუნის“ სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერია. ფსალმუნი გადაწერილია ათაბაგის ასულის თამარისა და მისი ძის ქაიხოსრო I გურიელის (1641-1660 წლებში დასავლეთ საქართველოს გურიის სამთავროს მეთაური) დაკვეთით: „ადიდე... დედოფალი ათაბაგის ქალი ბატონი თამარ და ძე მისი გურიელი ბატონი ქაიხოსროდ ორთავე შინა ცხოვრებას... რომელმან ინებად აღწერად წმიდად ესე საულ დავითი და შემკობად ამისს“ (ფ. 262). ხელნაწერი თეთროსნის მონასტრის წინამძღვარს გერმანოზს გადაუწერია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქაიხოსრო I გურიელის მოღვაწეობა 1641-1660 წლებზე მოდის. მისი სახელი, ქაიხოსრო კი სამცხელი ათაბაგების, ჯაყელების გვარში ტრადიციულად გავრცელებული სახელდების ერთგვარ პატივისცემად უნდა მივიჩნიოთ. ხელნაწერი, სავარაუდოდ, XVI საუკუნის ბოლოსკენაა გადაწერილი და მასში ჩართული 55 მინიატურა ტექსტშია განაწილებული. მინიატურები ტექსტთან შედარებით უფრო აღრეულია. ისინი უკვე კარგად ჩამოყალიბებულ სქემას მისდევენ, თუმცა აქ უფრო მეტი სიხისტე ჩანს. ჯრუჭის ფსალმუნისგან განსხვავებით, თვალმისაცემია კოლორიტის გაღიაება. მიუხედავად ლოკალური თითქოსდა სქელი ლაქებისა (კვლავ ინტენსიური წითელი დომინირებს ფონად), ზოგიერთი მინიატურა აკვარელის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს. ჯრუჭისთვის სახასიათო ერთგვარ ფერწერულობას თეთროსნის ფსალმუნში ხაზგასმული ხაზობრიობა ენაცვლება. საერო ხელოვნების გავლენა ჩანს ბატალურ სცენებსა და ძველ ადრეკლასიკულ ილუსტრაციებში. განსაკუთრებული გამომსახველობით გამოირჩევა ცალკეული ფრინველებისა (მაგ.: ბუ – 93r) თუ ცხოველების ფიგურები.



ჯრუჭის ფსალმუნი

236 ფ.; ქაღალდი; 250x175 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი და წითელი მელანი. H-1665; XVII ს.

ქართულ ფსალმუნთა დასურათებული ხელნაწერებიდან საუკეთესოთა შორისაა ჯრუჭის ფსალმუნი. ფსალმუნის ტექსტი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისაა. ხელნაწერი ინახებოდა ჯრუჭის მონასტერში, საიდანაც 1919 წელს ჩამოიტანა ექვთიმე თაყაიშვილმა. ფსალმუნთა ამ კრებულის ტექსტი XVII საუკუნეში ზილიხან ბატონიშვილის დაკვეთით გადაწერიათ, მასზე დართული მინიატურები კი უფრო აღრეული ხანის ხელნაწერიდან ჩანს ამოღებული. აღსანიშნავია ისიც, რომ მინიატურები ტექსტის ბოლოს არის თავმოყრილი (171r-236v) (ხშირად დარღვეულია თანამიმდევრობაც). სიუჟეტური მინიატურების სიმრავლე (132 მინიატურა), შესრულების მანერა, გამოკვეთილი მხატვრული ტრადიციების არსებობა თვალნათლივ



მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფსალმუნის ტექსტის დასურათება არ იყო უცხო ქართული მხატვრობისათვის.

ჯრუჭის ფსალმუნის ერთ-ერთ მინიატურაზე არსებული მინაწერმა და მისმა ინტერპრეტაციებმა მინიატურათა დათარიღების შესახებ სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მინიატურები შესრულებულია დედოფალთ-დედოფალი, რუსუდან მეფის ასულის თამარის, იკონიის სულთნის ყიას-ედ-დინ ქეი-ხოსრო II-ის (1236-1245) მეუღლის, გურჯი ხათუნის დაკვეთით და XIII საუკუნით უნდა დათარიღდეს (მ. ამირანაშვილი), ნაწილი კი ხელნაწერის მინიატურებს XV საუკუნით ათარიღებს (ლ. შერვაშიძე, რ. შერვლინგი, ი. სონდულაშვილი, ე. მაჭავარიანი და სხვ.).




ხელნაწერზე დართული სიუჟეტური კომპოზიციები რამდენიმე ციკლად შეიძლება დაიყოს: ძველი ადრექრისტიანული სიუჟეტები, რომლებშიც დეტალურადაა გადმოცემული ბიბლიური ისტორია: დავითის ისტორია, მისი ბრძოლები, უთანხმოება აბესალომთან, ებრაელების ისტორია დავითის შემდეგ; ასევე იოსებისა და მისი ძმების ისტორია, ივდიითის ამბავი, ებრაელების გამოსვლა ეგვიპტიდან; ცალკე ფურცლებზე წარმოდგენიან ბიბლიური მამები და წინასწარმეტყველები: მელქისედეკი, ესაია, სოფონია, ეზეკიელი, ანგია და სხვ. ხელნაწერში უხვადაა მოცემული თავად დავითის გამოსახულებები, სადაც დავითი წარმოდგენილია მუხლმოყრილი მლოცველის, მავადრებლის, მგლოვიარის პოზებში, ხშირად გრავნილით ხელშიც. ფსალმუნის კომპოზიციები ბატალური სცენების სიმრავლითაც გამოირჩევიან.


ცალკე ციკლად შეიძლება გამოვყოს სიმბოლური და ალეგორიული ხასიათის სიუჟეტები და ახალი ადრექრისტიანული თემატიკაზე შექმნილი საზეიმო მინიატურები.







მინიატურათა განხილვისას ნათელია, რომ ფსალმუნის მოხატვაზე ერთდროულად იმუშავა სრულიად განსხვავებული ხელწერის მქონე ორმა მხატვარმა.

წითელი ფონები, კომპოზიციათა თაღოვანი მოჩარჩოება, სამოსის, არქიტექტურული თუ ყოფითი დეტალების ზუსტი გადმოცემა იმდროინდელი საერო ცხოვრების რეალიებზე მიგვანიშნებს. თუ ახალი ადრექრისტიანული დღესასწაულების ასახვისას მკაცრადაა დაცული იკონოგრაფიული კანონი და მხატვრული ტრადიცია, ბიბლიური სიუჟეტების წარმოდგენისას თავს იჩენს საერო ხელოვნების ტენდენციების გაძლიერება. ბატალური სცენების გამოსახვისას კი თვალნათელი სიბრტყობრიობა, მოცულობიანი ფორმების უგულბელებოფა, ორნამენტული სტილიზაცია, სამოსისა და სამხედრო აღჭურვილობის ცალკეული დეტალების გადმოცემა ისლამური ხელოვნების ანარეკლზე მიგვანიშნებს. საფიქრებელია, რომ ფსალმუნის მინიატურები შესრულებულია უფრო მოგვიანებით, XIII საუკუნის შემდგომ ეპოქაში.





ლიტურგიკული ხელნაწერები



თაზო IV

ქართულ ენაზე ღვთისმსახურების 1700-წლიანი ისტორია ქართლის გაქრისტიანებით იწყება და დღევანდელ დღემდე მოდის. საუკუნეთა განმავლობაში მან განვითარების რამდენიმე პერიოდი გაიარა: უძველესია V-X საუკუნეების ღვთისმსახურება, რომელიც იერუსალიმურ ტრადიციას მიჰყვება. ამ პერიოდის ამსახველი ქართული ლიტურგიკული კრებულები იერუსალიმური ღვთისმსახურების შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. X საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ქართული საეკლესიო ღვთისმსახურების გადასვლა კონსტანტინოპოლურ წესზე, რაც განპირობებული იყო როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციით, ისე საეკლესიო ცხოვრების განახლებისა და განვითარების სურვილით. ეს პროცესი კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონსტანტინოპოლის გავლენის ზრდასთან.

ღვთისმსახურების იერუსალიმური წესის ამსახველი კრებულები

იერუსალიმური ლექციონარი – იერუსალიმური ლიტურგიის სამაგიდო წიგნია იერუსალიმური ლექციონარი, რომელიც ღვთისმსახურების სრულ წელს მოიცავს. მასში შედის საკითხავები წმინდა წერილიდან და ცალკეული ჰიმნოგრაფიული კანონები. თავის მხრივ, ქართული ლექციონარი ასახავს ამ უძველესი ლიტურგიკული წიგნის განვითარების ყველა ეტაპს – ლექციონარის ერთ-ერთი უძველესი ტექსტი, ხანმეტი ლექციონარი (რომლის შემცველი ხელნაწერი დღეს გრაცის უნივერსიტეტშია დაცული), სომხურ და ალბანურ ლექციონარებთან ერთად (V საუკუნე), იერუსალიმური ლექციონარის განვითარების ადრეულ ეტაპს (VII საუკუნე) გვიჩვენებს. X საუკუნის ზოგიერთმა ქართულმა ხელნაწერმა შემოინახა VIII საუკუნის ტიპიც. კონსტანტინოპოლური ლიტურგიკული პრაქტიკის მზარდი გავლენის მიუხედავად, XI საუკუნემდე ქართული ღვთისმსახურების საფუძველს ძველი იერუსალიმური ტექსტები წარმოადგენდა, რასაც მოწმობს XI საუკუნის ორი ლექციონარი, რომელთაგან ერთი – Q-1376, 1049 წლით თარიღდება და „იერუსალი-



მური განჩინების“ ანუ საღვთისმსახურო კანონის ერთადერთ თარიღიან ნუსხას წარმოადგენს.

იადგარი (ჰიმნოგრაფიული კრებული) – იერუსალიმური ლიტურგიის წარმოშობის დასაწყის ეტაპზე გალობისათვის, ძირითადად, ფსალმუნთა მუხლები გამოიყენებოდა, შედარებით მოგვიანებით კი ღვთისმსახურებაში შეიქმნა სპეციალური საგალობლები როგორც საუფლო დღესასწაულებისათვის, ისე კონკრეტული წმინდანების სახელებზე. უძველესი ჰიმნოგრაფიული კრებულები ქართულ ენაზე უძველესი იადგარის სახელით არის ცნობილი, რომელსაც ანალოგი ქრისტიანული აღმოსავლეთის არც ერთ ენაზე არ მოეპოვება. იადგარმა, ლექციონარის მსგავსად, განვითარების დიდი გზა განვლო. უძველესი იადგარის ნუსხები, ძირითადად, სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტრის საცავშია დაცული. IX საუკუნის მეორე ნახევარში იწყება „უძველესი იადგარისაგან“ ტექსტოლოგიურად განსხვავებული და განახლებული კრებულის – „ახალი იადგარის“ ჩამოყალიბება. ახალი იადგარის ყველაზე მნიშვნელოვან ნუსხას X საუკუნის მიწურულის ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, ჰიმნოგრაფისა და კალიგრაფის, მიქაელ მოღრეკილის დიდი იადგარი წარმოადგენს (S-425).

XI საუკუნიდან, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კონსტანტინოპოლურ ლიტურგიკულ პრაქტიკაზე გადავიდა, „იადგარი“, როგორც ლიტურგიკული სახელმძღვანელო, აღარ გამოიყენებოდა. „ახალი იადგარის“ ჰიმნოგრაფიული მასალის საგრძნობი ნაწილი გადავიდა თვეებში (ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც კალენდარული თანამიმდევრობით არის დალაგებული მთელი წლის ყოველდღიური საგალობლები), მარხვანში (დიდმარხვის ანუ ადღომის წინა მარხვის პერიოდის, დიდი შაბათის ჩათვლით, საგალობლების შემცველი კრებული), ზატიკა (აღვსებისა და ადღომის პერიოდის საგალობელთა კრებული) და პარაკლიტონში (კვირის დღეებისათვის განკუთვნილ საგალობელთა კრებული).

მრავალთავი – ლექციონარის ჰომილეტიკურ დანართად ითვლება კრებული „მრავალთავი“, რომელიც შეიცავს საუფლო და დიდი დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ისეთი წმინდა მამებისა ჰომილიებს, როგორებიც იყვნენ: იოანე ოქროპირი, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, სევერიანე გაბალონელი, კირილე ალექსანდრიელი და სხვ. ამ ტიპის წიგნები ქართულ ენაზე თარგმნილი იყო უკვე IV-V საუკუნეებში. მრავალთავის უძველესი ნიმუში – ხანშეტი მრავალთავი – პალიმფსესტის სახითაა წარმოდგენილი; ხელნაწერი VII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. დღეისათვის შეორჩენილია „მრავალთავის“ შემცველი ხელნაწერი: სინის (864 წ.), უდაბნოს (IX-X სს.), ათონის (X ს.), ტბეთის (X ს.), კლარჯეთისა (X ს.) და პარხლისა (X ს.).

ღვთისმსახურების კონსტანტინოპოლური წესი ღვთისმსახურების კონსტანტინოპოლურ წესზე გადასვლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ათონის მთაზე ივირონის მონასტრის დაარსებამ (980-983 წწ.). კონსტანტინოპოლური ლიტურგიის ისეთი მნიშვნელოვანი წიგნების თარგმნა, როგორებიცაა სვინაქსარი, თვენი, მარხვანი, ზატიკი, სრული წლის სამოციქულო (შეიცავს საკითხავებს მოციქულთა საქმეებიდან, ეპისტოლეებიდან და ზოგჯერ გამოცხადების წიგნს, რომლებიც იკითხება საღვთო ლიტურგიის დროს და სხვა მსახურებისას) და სახარება (მოიცავს სახარების იმ ცალკეულ მუხლებს, რომლებიც განკუთვნილია კითხვისთვის მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა მსახურების დროს), პარაკლიტონი და სხვ., დაკავშირებულია მთაწმინდელ მამებთან – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელლებთან.

კონსტანტინოპოლური ღვთისმსახურების გავლენა ჩანს უკვე სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში მოღვაწე X საუკუნის ცნობილი ქართველი სასულიერო პირის, იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ და რედაქტირებულ ლიტურგიკულ კრებულებში. სწორედ „ბერძნული“, ანუ კონსტანტინოპოლური წყარო გამოიყენა იერუსალიმურთან და

საბაწმინდურ წყაროებთან ერთად იოანე-ზოსიმემ, როდესაც შეადგინა ცნობილი „წმინდანთა ხსენებების კალენდარი“ (Sin.georg.O. 34), რომლის ანალოგიც არ მოიძებნება ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის საეკლესიო პრაქტიკაში.

X საუკუნის მიწურულს ან XI საუკუნის დასაწყისში უნდა შექმნილიყო კონსტანტინოპოლური ლიტურგიის ამსახველი ყოველი თვის საგალობელთა კრებულ თვენისა და პარაკლიტონის ხელნაწერები, რომლებიც ერთგვარი გარდამავალი საფეხურია გიორგი მთაწმინდლის მიერ წმინდად კონსტანტინოპოლური რედაქციის ხელნაწერების შექმნის გზაზე და უნიკალურ კრებულებს წარმოადგენს ადრეული კონსტანტინოპოლური პრაქტიკის შესწავლისათვის.

კონსტანტინოპოლური საღვთისმსახურო პრაქტიკის ამსახველი კრებულებია:

სვინაქსარი – სრული ლიტურგიკული წლის, მოძრავი და უძრავი დღესასწაულების, წმინდანთა ხსენებებისა და მსახურებების შემცველი კრებული პირველად ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა. ამ თარგმანმა მხოლოდ ერთი და ისიც ნაკლები ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე (A-648). 1042-1044 წლებში კი გიორგი მთაწმინდელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა „დიდი სვინაქსარი“, რომლის მსგავსიც, მთარგმნელის თქმით, არ მოიძებნება არსად, სოფიაწმიდისა და სტუდიის მონასტრების გარდა. კრებული სულ მალე გავრცელდა ქართულ სინამდვილეში და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ღვთისმსახურების ჩატარების მთავარ წიგნად რჩებოდა.

მარხვანი – მარხვის პერიოდის საგალობელთა შემცველი დამოუკიდებელი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. ქართული წერილობითი ტრადიცია მის შექმნას ექვთიმე მთაწმინდელს მიაწერს, თუმცა ადრეული ქართული ხელნაწერები (Sin. georg. O. 5 და Sin. georg. O. 75), რომლებიც იერუსალიმის გარემოშია შექმნილი, ამას არ ადასტურებენ. მოგვიანებით საქართველოში გავრცელდა „მარხვანის“ გიორგი მთაწმი-

ნდლისეული რედაქცია. საერთოდ, გიორგი მთაწმინდლის სახელთან არის დაკავშირებული კონსტანტინოპოლური პრაქტიკის საღვთისმსახურო წიგნების მთელი კორპუსის შექმნა. მან თარგმნა თორმეტივე თვის საგალობლები, შეავსო ისინი ძველი თარგმანებით და შექმნა უნიკალური კრებულები, რომელთა დარიც მასალის რაოდენობისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით რთული მოსაძებნია.

გიორგი მთაწმინდლის სახელთან არის დაკავშირებული ადღომიდან სულთმოფენობამდე და ყოველთა წმინდანთა კვირემდე შემცველ საგალობელთა და ლოცვათა კრებულის – ზატიკის თარგმნაც, რომელიც შეიცავს საგალობლებსა და საკითხავებს ადღომიდან სულიწმიდის მოფენამდე.

საბაწმინდური ტიპიკონი – XII საუკუნის პირველ მეოთხედში გიორგი მთაწმინდლის სვინაქსარის პარალელურად საქართველოში გავრცელება იწყოს ტიპიკონის ახალმა რედაქციამ, ე. წ. საბაწმინდურმა ტიპიკონმა, რომელიც შიომღვიმის ლავრაში შემოიტანეს სვიმეონწმინდის მონასტრიდან (ანტიოქია) მეფე დავით აღმაშენებლის თანამედროვე, მასთან დაახლოებულმა სასულიერო პირებმა, არსენ იყალთოელმა და იოვანემ. 1123-1124 წლებით დათარიღებული დოკუმენტი – დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი – მონასტრის ახალ საღვთისმსახურს წესზე გადასვლის ფაქტს ადასტურებს. საბაწმინდურმა ტიპიკონმა XIII საუკუნიდან თანდათან იწყოს გავრცელება და დამკვიდრება ეკლესიებსა და მონასტრებში არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არსებულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში.

XII-XIII საუკუნეები ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საკუთრივ ეროვნული ჰიმნოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით. გამოიკვეთა ქართველ წმინდანთა და დღესასწაულთა განგებების ახალი საგალობლებით შევსების ტენდენცია. შედარებით გვიან შეიქმნა ახალი ტიპის კრებულები, რომლებშიც ამჟღავნად საგალობლებთან ერთად საკითხავებიც მოექცა; ასეთია „სადღესასწაულოები“, რომელთა უადრესი რედაქციები XII საუკუნიდან ჩნდება და შევსებული და შეცვლილი რედაქციით დღემდე გამოიყენება საღვთისმსახურთა პრაქტიკაში.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XVI საუკუნის დამდეგამდე საეკლესიო მწერლობის დაკნინებისა და დაცემის ხანად არის მიჩნეული. ეს არის პერიოდი ჯერ მონღოლთა, შემდგომ ოსმალთა შემოსევებისა, როცა ქართველთა ენერჯია მთლიანად მიმართული იყო ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისაკენ. მოგვიანებით (XVI საუკუნის დასასრული) ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გააქტიურებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართულ მწერ-

ლობაში, მათ შორის საეკლესიო მწერლობაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში. განიდა აუცილებლობა ქართველ მოღვაწეთა და წმინდანთა დამსახურების ახლებურად შეფასებისა და მათი საეკლესიო პრაქტიკაში დამკვიდრებისა. წარმოიშვა ქართველ წმინდანთა და მოღვაწეთა ცხოვრება-წამებანის შემცველი კრებულები, რომლებსაც ახლდა მათ სახელზე დაწერილი საგალობლები. მაგალითად, ერთ-ერთი პირველი ამგვარი კრებული მიეძღვნა სირიელ მამებს, მათ ცხოვრებას. კრებულში შეტანილი ჰიმნოგრაფიული მასალის ნაწილი სპეციალურად ამ კრებულისათვის დაიწერა. შემდგომ ეტაპზე შეიქმნა ბევრად უფრო გავრცელებული კრებულები, რომლებმაც მოიცვა თითქმის ყველა ქართველი წმინდანი. ამ კრებულებმა ხელი შეუწყო ორიგინალური ჰიმნოგრაფიის განვითარებას, სასულიერო პოეზია თანდათან წამყვან დარგად იქცა.

გულანები – XVI საუკუნეში დაიწყო და XVII საუკუნეში ჩამოყალიბებული სახე მიიღო ორიგინალური კომპოზიციის საღვთისმსახურ დანიშნულების კრებულმა, რომელსაც „გულანი“ უწოდეს. გულანი დიდი ფორმატის და მოცულობის კრებულია, რომელშიც თავმოყრილია ყველა საღვთისმსახურ წიგნი – სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლეები, თვენი, მარხვანი, ზატიკნი, პარაკლიტონი, საწინასწარმეტყველო, ფსალმუნი, ჟამნი, სვინაქსარი, ტიპიკონი, წმინდათა ცხოვრებები და ჰომილეტიკური თხზულებები, რომლებსაც დიდ დღესასწაულებზე კითხულობდნენ. გულანები შედგენილობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ განსხვავებებს მეტწილად განაპირობებს ის ფაქტი, რომ გულანის შემდგენლები სარგებლობდნენ სხვადასხვა რედაქციის ძველი დედნებით, რომელთაგან ზოგი გიორგი მთაწმინდლის რედაქციისა იყო, ზოგი კი – შემდეგდროინდელი, გიორგი მთაწმინდლის რედაქციის რევიზიის შედეგად ჩამოყალიბებული ან სლავურ-რუსული ლიტურგიკული წიგნების მიხედვით შესწორებული.



ჭილ-ეტრატის იადგარი

313 ფ.; ჭილი, ეტრატი; 112×100 მმ.; ნუსხური, ასომთავრული, (არაფორმალური ხელწერა); ყავისფერი მელანი, სათაურები და საგალობელთა დასაწყისები წითელი მელნით. H-2123; X ს.

„ჭილ-ეტრატის იადგრად“ წოდებული ხელნაწერი შედგება ეტრატისა და ჰაპირუსის (ჭილის) მეშვეობით შექმნილი სამი ცალ-ცალკე შეკრული ტომისგან; თარიღდება X საუკუნის დასაწყისით. ეს არის უძველესი ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელიც შეიცავს ორიგინალურ და ნათარგმნ საეკლესიო საგალობლებს. მისი რეპერტუარი V საუკუნის იერუსალიმური წარმოშობისაა, მაგრამ მორგებულია წმინდა საბას მონასტრის V-VIII საუკუნეების ლიტურგიულ წეს-ჩვეულებებს. იერუსალიმიდან სავარაუდო ლიტურგიული წარმომავლობა ჭილ-ეტრატის იადგარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ კრებულში არის ჩართული რამდენიმე ქართულ-ბერძნული (V საუკუნე) და ქართულ-არამეული (იგულისხმება ქრისტიანულ პალესტინური არამეული) პალიმფსესტური ფურცლები (V-VII საუკუნეები).

ხელნაწერი ისტორიული პალესტინიდან ჯერ რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში, მოხვდა, რადგან XIX საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის საბაწმინდის მონასტრიდან ის წამოიღო ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ. უსპენსკიმ ხელნაწერი ეთიოპურად მიიჩნია. ტომების ყუაზე იკითხება სათაური: “Codex aethiopicus, Pars I, II, III, A. Porfirius”. ალექსანდრე ცაგარლის მითითებით, რომელმაც დაადგინა, რომ ხელნაწერი ქართული საგალობლების კრებულია, უსპენსკიმ I ტომის დამცავ ფორცელზე დაწერა: „ეს არის ჰაპირუსზე დაწერილი სამი ქართული საეკლესიო წიგნი, მაგრამ არც სახარება და არც სამოციქულო თუ ფსალმუნი. ე. პორფირი“ (რუსულად). ხელნაწერი საქართველოს დაუბრუნდა 1923 წელს.



დიდი იადგარი

272 ფ.; ეტრატი; 375×295 მმ.; ნუსხური, მთავრული; ყავისფერი მელანი, საზედაო ასოები – წითელი, ყვითელი და მწვანე მელნით. S-425; X ს.

ადრეული იერუსალიმური ღვთისმსახურების ჰიმნოგრაფიული კრებულის – იადგარის ყველაზე სრული, X საუკუნის ნუსხა. დიდ იადგარს ხშირად მისი შემდგენლის, გადამწერისა და ჰიმნოგრაფის, მიქაელ მოდრეკილის იადგარის სახელითაც მოიხსენიებენ. ეს უნიკალური ნეუმებიანი (სანოტო ნიმუშებიანი) იადგარი ტაო-კლარჯეთში არის გადაწერილი მიქაელ მოდრეკილის, ეფთვიმესა და ანონიმი გადამწერის მიერ 978-988 წლებში. ხელნაწერი თარიღდება ანდერძ-მინაწერში მოხსენებული დავით კუროპალატის (978-1001 წწ.), გურგენ მეფისა (978/994-1008 წწ.) და სუმბატ არტანუჯელის (941/966-988 წწ.) ზეობის წლებით. კრებულში თავმოყრილია იერუსალიმური პერიოდის ბერძნული საეკლესიო საგალობლების მრავალრიცხოვანი ნიმუშების ქართული თარგმანები. მოდრეკილის იადგარში გვხვდება



მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები ისეთი ქართველი ჰიმნოგრაფების შესახებ, როგორებიც არიან იოანე მინჩხი, კურდანა, სტეფანე სანონოასძე ჭყონდიდელი, იოანე მტბევარი, ეზრა – მთელი თაობა ქართველი ჰიმნოგრაფებისა, რომელთა ორიგინალური თუ თარგმნილი საგალობლები X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის საფუძველს წარმოადგენს. მიქაელ მოდრეკილის დამსახურებაა, რომ დიდ იადგარში თითოეულ განგებას (საგალობელთა კომპლექტს) დაემატა მეორე გალობა „მოიხილესა“. მოდრეკილის იადგარის რეპერტუარში გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი ჰიმნებისა: ორიგინალური ქართული, ავტორწარწერიანი; მეორე – ბერძნული, ბერძენ ავტორებზე მითითებით და მესამე – ანონიმური. ხელნაწერს ახლავს გადამწერთა მრავალრიცხოვანი ანდერძ-მინაწერები, ასევე, განმარტებითი წარწერები სომხურ ენაზე, რაც ტაო-კლარჯეთის მულტიკულტურულ გარემოს უსვამს ხაზს.

დიდი იადგარის გაფორმებას წარმოადგენს მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებული დახვეწილი თავსამკაულები და ფერადი მელნით მოხატული საზედაო გრაფემები. იადგარში დაცულია მხოლოდ ერთი მინიატურა ბასილი კესარიელისა და იოანე მტბევარის გამოსახულებით (60r).



კალის ლექციონარი

222 ფ., ეტრატი; 345×295 მმ., 340×285 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. Q-1653; X ს.

იერუსალიმური ტრადიციის ღვთისმსახურების კრებულის – ლექციონარის – ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი. კრებული არ არის სრულად შემონახული, ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ საკითხავები დიდმარხვის პირველი კვირის პარასკევიდან 12 ივნისის ჩათვლით. ლექციონარის ეს ხელნაწერი გადამწერილი უნდა იყოს X საუკუნის შუა ხანებში, პალესტინის რეგიონში მდებარე ერთ-ერთ ეს მონასტერში, სადაც ქართველი მწიგნობარი ბერები იწერდნენ ღვთისმსახურების


რებისა და სასულიერო განათლების უმნიშვნელოვანეს კრებულებს. ხელნაწერის გადამწერები – გიორგი მჩხრეკალი და მიქაელი – არიან ის პირები, რომლებმაც შექმნეს ასევე იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკის მეორე მნიშვნელოვანი წიგნი, ლექციონარის დამხმარე საგალობელთა კრებული, რომელიც წვირმის იადგარის სახელწოდებით არის ცნობილი. ეს ხელნაწერი ამჟამად დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. კალის ლექციონარი, გარდა ტექსტის სიძველისა, გამოირჩევა მხატვრული გაფორმების თავისებურებებითაც. სხვა უძველესი ლექციონარებისაგან განსხვავებით, მასში გვხვდება ყავისფერი და წითელი მელნით შესრულებული მინიატურები: არწივი და პატარა ფრინველი; მოჩხუბარი ფრინველების ორი წყვილი; მამლები და ფასუნჯები; ერთმანეთს შეჭიდებული ცხენი და მგელი; ფურცლების ნაწილს ქვემო არშიაზე აქვს მარტივი დეკორი.



თვენი

285 ფ.; ეტრატი; 255x170 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები წითელი მელნით. H-2337; 1049 წ.

თვენის პირველი რედაქცია შეიცავს ივლის-აგვისტოს საგალობლებს. გადაწერილია 1049 წელს იერუსალიმში, გოლგოთის მონასტერში, ცნობილი ქართველი მოღვაწის, იოანე გოლგოთელის დაკვეთით. ხელნაწერს ერთვის ილარიონ ოპიზარის, საქართველოს მეფე დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) მოძღვრის მინაწერი, რომლის თანახმადაც, მან „სპართა ტყვეობისგან“ გამოისყიდა ეს წიგნი. ეს კი, თავის მხრივ, უკავშირდება 1305 წელს დავით VIII-ის ეგვიპტის სულთანთან მოლაპარაკების გზით მუსლიმთა მიერ დაკავებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნების ფაქტს.



მცირე სვინაქსარი

72 ფ.; ეტრატი; 266x216 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი და წითელი მელანი. A-648; 1030 წ.

ადრეული კონსტანტინოპოლური დვთისმსახურების უმნიშვნელოვანესი კრებულის, სვინაქსარის ექვთვიმე მთაწმინდლისეული თარგმანის შემცველი ერთადერთი ხელნაწერია. გადაწერილია კონსტანტინოპოლში, პიდურის მონასტერში, 1030 წელს, ვალამერტის ეპისკოპოსის, ზაქარია დაკვეთით, მისი სულიერი შვილის, ბასილი ეტრატას მიერ.

ზაქარია ვალამერტელი ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან არის ცნობილი. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მწირი ცნობები შემოგვინახა XI საუკუნის დასაწყისის ამ საინტერესო საზოგადო მოღვაწის შესახებ. სავარაუდოდ, დავით კუროპალატის აღზრდილი ზაქარია წარმოშობით ტაოს დიდებულთა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიზანტიის კეისარ ბასილი II-სა (958/976-1025 წწ.) და გიორგი I-ს (+1027 წ.) შორის წარმოებულ მოლაპარაკებებში. სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტელის (1002-1080 წწ.) ცნობით, კეისარმა დასაჯა ზაქარია ვალამერტელი, ენა ამოკვეთა და გადაასახლა კონსტანტინოპოლში. ზაქარია მამადმთავარი იყო ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, რომელიც ხელს უწყობდა ექვთვიმე მთაწმინდლის თარგმანების გავრცელებასა და პოპულარიზაციას.

ზაქარია ვალამერტელის დაკვეთით გადაწერილი მცირე სვინაქსარი მდიდრულად ყოფილა ილუსტრირებული. დღეს ხელნაწერის ერთ მესამედსაც კი არ მოუღრევია ჩვენამდე. შემონახულ 72 ფურცელზე წარმოდგენილია განსაკუთრებული ოსტატობით შესრულებული 74 მინიატურა. მინიატურებს ახლავს თანადროული განმარტებითი წარწერები, რომელთა დიდი ნაწილი ბერძნულ ენაზე არის შესრულებული. მინიატურათა შესრულების მაღალი მხატვრული დონე მკვლევარებს ავარაუდებინებს, რომ სვინაქსარის მოხატულობა შეიქმნა იმპერიის დედაქალაქის – კონსტანტინოპოლის ბერძენ ოსტატთა მიერ ქართველების მონაწილეობით.



ხელნაწერს ახლავს მომგებლის, ზაქარია ვალამერტელის ბერძნულ ენაზე შესრულებული ანდერძი (72v). სვინაქსარის დასაწყისში სვიმეონ მესვეტისა და წმინდა მამაის მინიატურათა არმიებზე გვიანდელი ნუსხურით შესრულებული მინაწერიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი XV საუკუნეში შამახში „თათართა ტყვეობიდან“ დაუსწნია შაჰბიჰვილ მხითარს და გადაუცია ყარალაშვილი შალიკასთვის. ანდერძ-მინაწერები, ასევე, გვამცნობენ, რომ სხვადასხვა დროს ხელნაწერი ეკუთვნოდა ვინმე სფირიდონს (1r), გრიგოლ იაგუნდის ძეს (3v), მოგვიანებით კი – სამთავროს მონასტერს (1r).

დიდი სვინაქსარი

369 ფ.; ეტრატი; 270x190 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, წითელი, ლურჯი და მწვანე მელანი კი გამოყენებულია ლეკორში. A-97; XI ს.

გიორგი მთაწმინდლის მიერ თარგმნილი „დიდი სვინაქსარის“ ერთ-ერთი ადრეული ნუსხა. დიდი სვინაქსარი გიორგი მთაწმინდელმა 1042-44 წლებში თარგმნა ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში. გიორგი მთაწმინდლის თარგმანი მალევე გავრცელდა საქართველოში, წინამდებარე ნუსხა გადაწერილია ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, სავარაუდოდ, ტაოს რეგიონში, რასაც ადასტურებს სვინაქსარის არშიებზე გამაძწერის ხელით მიწერილი ქართველ წმინდანთა მოსახსენებლები, მათ შორის არჩილ მოწამის, აბიბოს ნეკრესელის, კონსტანტი-კახის, შუმანიკის და სხვ. ხელნაწერის მორთულობას წარმოადგენს ღია წითელი მელნით შესრულებული დახვეწილი წნული თავსაგაულები. მოგვიანებით სვინაქსარი ინახებოდა მიძნაძორის მონასტერში (ისტორიული ტაო).

Handwritten text in Georgian script on the left page of an open manuscript. The text is arranged in several columns and includes large initial letters. There are some faint markings and a small number '100' at the bottom left of the page.

Handwritten text in Georgian script on the right page of an open manuscript. The text is arranged in several columns and includes large initial letters. There is a vertical marginal note on the right side of the page.



დიდი სვინაქსარი

453 ფ.; ეტრათი; 220×117 მმ.; ყავისფერი და წითელი მელანი, საზედაო ასოები – ყვითელი, წითელი და მწვანე მელნით. H-2211; 1044-1065 წწ.

გიორგი მთაწმინდლის „დიდი სვინაქსარი“. ხელნაწერი გადაწერილია ანტიოქიაში, რომანწმინდას მონასტერში, შატბერდის სკოლის ცნობილი კალიგრაფებისა და მეცნატების, ჯიბისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლის, ივანე ჯიბისძის მიერ მისი ბიძის, დავით ჯიბისძის, დაკვეთით. სვინაქსარი გადაწერილი უნდა იყოს გიორგი მთაწმინდლის სიცოცხლეში, 1044-1065 წლებში.

ჯიბისძეთა სვინაქსართან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას შენარჩუნებული

აქვს გიორგი მთაწმინდლის თარგმანის პირვანდელი სახე, რადგან არ შეიცავს სვინაქსარის XI საუკუნის დანარჩენ ნუსხებში შეტანილ ინტერპოლაციებს. გადაწერილი ანდერძის თანახმად, სვინაქსარი დაიწერა სპეციალურად დავით ჯიბისძის მიერ ანტიოქიაში ამუშავებულ ქართულ ეკლესიაში დასაღებად. ამავე ანდერძში ივანე ჯიბისძე ითხოვს, რომ ანტიოქიაში ქართველთა ეკლესიის გაუდაბურების შემთხვევაში სვინაქსარი შატბერდში გადაიტანონ.




ლეციონარი

43 ფ.; ეტრათი; 225×193 მმ.; ასომთავრული, ნუსხური; შავი მელანი, სათურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. Q-1376; 1049 წ.

ხელნაწერი, სავარაუდოდ, გადაიწერა სამხრეთ საქართველოში, ტაო-კლარჯეთში, მიქაელ ინჩუხის მიერ. ლეციონარი ჩვენამდე მოღწეული იერუსალიმური პრაქტიკის შემცველი ამ წიგნებიდან ერთადერთ დათარიღებულ ნუსხას წარმოადგენს. მიქაელ ინჩუხის ანდერძის მიხედვით, მან ის 1049 გადაწერა. ანდერძი გადაწერის თარიღთან ერთად მნიშვნელოვან მოვლენას – ლიპარიტ IV ბაღვაშის (XI საუკუნის 30-60-იანი წწ.) „თურქთა ტყვეობიდან“ გათავისუფლებას ასახელებს. ლიპარიტ ბაღვაში, XI საუკუნის

მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა, კლდეკარის ერისთავი, ბაგრატ IV-ის მცირეწლოვნების პერიოდში საქართველოს ფაქტობრივი გამგებელი იყო. მოგვიანებით ლიპარიტ ბაღვაში ბრძოლას იწყებს ბაგრატის წინააღმდეგ, რამაც მას მხარს უჭერს ბიზანტია. 1048 წელს ბიზანტიელებთან ერთად ლიპარიტი იბრძვის თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ და ტყვედ ვარდება. ინჩუხისული ლეციონარის გამოვლენამდე მისი ტყვეობიდან გათავისუფლების თარიღად 1051 წელი ითვლებოდა.




03960

175 ფ.; 225×193 მმ.; ნუსხური, ასომთავრული;
შავი და წითელი მელანი.
H-2339; XI ს.

ხელნაწერი შეიცავს თვენი გიორგი მთაწმინდლის სულ რედაქციას და XI საუკუნით თარიღდება. ხელნაწერში დაცული წარწერის მიხედვით (172r-v), ის 1649 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში განაახლა, ხელახლა აკინდა და ყდაში ჩასვა გრიგოლ დიაკონმა. კიდევ ერთი წარწერა (173v-174v) მოგვითხრობს ჯვრის მონასტრის წინამძღვარ ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლაყასშვილზე (დაახლოებით 1585-1658 წწ.), რომელიც იყო ჯვრის მონასტრის აღდგენის ინიციატორი. აღსანიშნავია, რომ 1642 წლით დათარიღებული ქართულ-ბერძნული სამშენებლო წარწერა, რომელიც

მონასტრის შემოსასვლელი კარიბჭის ზემოთ არის განთავსებული, ასევე შეიცავს ცნობებს აღდგენითი სამუშაოებისა და მათი კეთილისმყოფელების – ნიკიფორე ჩოლაყასშვილისა და ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის შესახებ.

1820 წელს ქართველმა დიპლომატმა და ბიბლიოფილმა გიორგი ავალიშვილმა ხელნაწერი ჯვრის მონასტრიდან რვა ქართულ ხელნაწერთან ერთად რუსეთში წაიღო (1v). მოგვიანებით ისინი შევიდა რუსეთის აზიის მუზეუმის (ამჟ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის) ფონდებში. თვენი საქართველოს დაუბრუნდა 1923 წელს.



გოლგოთის სვინაქსარი

340 ფ.; ეტრატი; 249×192 მმ.; ნუსხური, ასომთავრული;
ყავისფერი მელანი, წითელი მელანი (სათაურებისა და საზედაო ასოებისათვის).
H-1661; 1156 წ.

გიორგი მთაწმინდლის დიდი სვინაქსარის შემცველი „გოლგოთის სვინაქსარის“ სახელით ცნობილი ხელნაწერი 1156 წელს გადაიწერა იერუსალიმში, ჯვრის ქართველთა მონასტერში, გიორგი დოდოს მიერ და გოლგოთის საკუთრებას წარმოადგენდა, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდება. ხელნაწერი ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ იმით, რომ დიდი სვინაქსარის ერთ-ერთ ადრეულ ხელნაწერს წარმოადგენს, არამედ მნიშვნელოვანია მის არშიეებზე შემორჩენილი მრავალრიცხოვანი ანდერძ-მი-

წარწერები, რომლებიც წარმოგვიდგენენ ქართველთა უფლებებს გოლგოთაზე, მათ მონაწილეობასა და ვალდებულებებს ღვთისმსახურებისას. გოლგოთის სვინაქსარში დაცული ტამპლიერ რაინდთა მოსახსენებლები პირველწყაროა იერუსალიმის ქართული საძმოსა და ჯვაროსნების ურთიერთობების შესასწავლად. სვინაქსარის ერთადერთ გაფორმებას წარმოადგენს ტექსტის დასაწყისში ჩართული გოლგოთის ჯვრის გამოსახულება (3r).

ხელნაწერი ჯვრის მონასტერში ინახებოდა XVI საუკუნის 70-იან წლებში, სადაც ის სხვა არაერთ ხელნაწერთან ერთად განაახლა შიდა ქართლში მდებარე ურბნისის ეპარქიის მღვდელმთავარმა ვლასი ურბნელმა (სააკაძემ) (1566-1570 წწ.). XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი საქართველოში ჩამოიტანა ბერმა ლავრენტი ოკრიბელმა (გოგელაძე).



Handwritten text in Georgian script, likely a commentary or continuation of the text on the adjacent page, located below the cross diagram.




Handwritten text in Georgian script, beginning with a large initial letter 'U' (Utsi). The text is written in a cursive hand and appears to be a liturgical or scholarly passage.

Handwritten text in Georgian script, beginning with a large initial letter 'C' (Chk). The text continues the narrative or commentary from the previous section.

Handwritten text in Georgian script, beginning with a large initial letter 'D' (Dz). The text continues the narrative or commentary.

Handwritten text in Georgian script, beginning with a large initial letter 'G' (Gv). The text continues the narrative or commentary.



03260

322 ფ.; ეტრატი; 215x275 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათურები და საზედაო ასოები წითელი მელნით. S-4999; X ს., XII ს.

გიორგი მთაწმინდლის თვენი შემცველი ხელნაწერი გადაწერილია ტაო-კლარჯეთში, ხანცთის მონასტერში XII საუკუნეში. შეიცავს დეკემბრის თვის საგალობლებს. გადაწერილია სტეფანე დიაკონის მიერ. დამკვეთია ართვინის მახლობლად მდებარე სვეტის უდაბნოს, ანუ მონასტრის მორავი ანტონი. კრე-

ბული სვეტის მონასტრის საკუთრება იყო. ხელნაწერი მთლიანად პალიმფესტს წარმოადგენს – ხანცთელ გადაწერს წიგნის შექმნისათვის გამოუყენებია იმ პერიოდის საეკლესიო პრაქტიკიდან გამოსული იერუსალიმური ტრადიციის საგალობელთა კრებული – იადგარი. ქვედა ფენა თარიღდება X საუკუნით.

გატიკი

7 ფ. ეტრატი+3ფ. ქაღალდი; 220x140 მმ.; ნუსხური, ასომთავრული, მხედრული; ყავისფერი და წითელი მელანი. A-734; XII ს.

ხელნაწერი ტექსტის გარეშეა, ის მხოლოდ შვიდ მინიატურას შეიცავს. მინიატურათა შინაარსი, ძირითადად, მისდევს ლიტურგიულ საკითხავებს სახარებიდან, რომლებიც ხაზს უსვამს ქრისტეს მიწიერ და აღდგომის შემდგომ ცხოვრებას.

ზატყის მინიატურები აღდგომის შემდგომ ამალღებამდე კვირების შესაბამის, შემდეგ სცენებს წარმოგვიდგენენ:

1. თომას უწრმუნობა;
2. მენელსაცხებლე დედანი და იოსებ არიმათიელი;
3. განრღვეულის განკურნება;
4. ქრისტე და სამარიტელი დედაკაცი ქასთან;
5. ბრმის განკურნება;
6. ამალღება;
7. სულიწმიდის მოფენა.

ზატყის მინიატურები XII საუკუნის პირველი ნახევრითა დათარიღებული. საერთო ხასიათით ისინი მსგავსებას ავლენენ გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ნართექსის მხატვრობასთან (მსოფლიოს საეკლესიო კრებების სცენები). მთელ გვერდზე ოქროს ფონზე გამლლი კომპოზიციები საოცარი სიმწყობრითა და სიმეტრიულობით გამოირჩევა. ხელნაწერის მხატვრობა მიჰყვება XI საუკუნის ბოლოსთვის ბიზანტიასა და მის სამეზობლოში გავრცელებულ იკონოგრაფიულ რედაქციებს. ლაკონიური არქიტექტურული თუ პეიზაჟური ფონები ემსახურება სიუჟეტის განვითარებასა და მთავარი და მეორეხარისხოვანი ფიგურების წარმოჩენას. მოქნილი, დენადი, ზოგჯერ ვირტუოზული კონტურის ხაზი შემოსწერს თითქოსდა მონუმენტურ, პროპორციულად აგებულ ფიგურებს, ჟესტები და მოძრაობები თავშეკავებულია. განსაკუთრებულია ფორმათა დამუშავების „ჩაჩრდილვა-გამონათების“ დელიკატური სისტემა. ლურჯი ტონების დომინირება განსაკუთრებულ დიდებულებას ანიჭებს



ზატყის მინიატურებს. მრავალმრიანი ფერწერული ტექნიკის გამოყენების მიუხედავად, მინიატურების ფერადოვანი ფენა თითქოს გამჭვირვალეა. შესრულების მანერით, დახვეწილობით ზატყის მინიატურები კონსტანტინოპოლის მოწინავე სკრიპტორიუმების საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება.

ზუსტი თარიღისა და გადაწერის ადგილის არცოდნის მიუხედავად, მინიატურების ქართული წარმომავლობა ეჭვგარეშედ არის მიჩნეული. ზატყის მინიატურის ბოლო გვერდის უკანა მხარეს რამდენიმე მინაწერია. ნუსხური წარწერა ეკუთვნის ვახახიშვილ გიორგის, რომელმაც ზატყი თათართაგან გამოისყიდა. იქვე 1685 წლის მხედრულით შესრულებული ანდერძი ამილახორის ძეს, ნიკოლოზს (ეპისკოპოსს) მოიხსენებს.



იოანე ოქროპირის ჟამისწირვა

გრაგნილი; ეტრატი; სამი კეფი; დახვეულია და ერთი თავით დამაგრებულია კონუსისთავიან ხის ჯოხზე; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი და წითელი მელანი (სათურებისა და საზედაო ასოებისათვის); გრაგნილის მომხატველი და გადამწერი ერთი პირი – გაბრიელია.
A-922; XIII-XIV სს.

გრაგნილი; ეტრატი; 6 კეფი დახვეულია კონუსისთავიან ხის ჯოხზე; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი და წითელი მელანი; გრაგნილის გადამწერია გიორგი მაგალობელი.
H-510; XV ს.

XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული ცალკეული ეკლესია-მონასტრის საჭიროებისათვის ჟამისწირვის ტექსტი ხშირად იწერებოდა გრაგნილის ფორმის ხელნაწერზე. აქ წარმოდგენილია ორი გრაგნილი, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის საღვთო ლიტურგიას. ეს ორი გრაგნილი გამოირჩევა დახვეწილი დეკორით. გრაგნილების დასაწყისი შემკულია მინიატურებით იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის გამოსახულებებით, შესაბამისი მთავრული წარწერებით.



ლარგვისის გატიკი

175 ფ.; ეტრავი; 260×260 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, მოხატულობაში გამოყენებულია წითელი, ლურჯი, ყავისფერი, ოქროსფერი მელანი. A-25; XV ს.

ზატყის გადამწერია ვინმე ბარნაბა. ხელნაწერის შესრულების დროდ მიჩნეულია XV საუკუნე. წიგნი ქსნის ერისთავთა ყურადღებისა და პატრონობის ობიექტი იყო, კოლოფონებში არაერთხელაა მოხსენებული ერისთავთ-ერისთავი შალვა და ამ ფეოდალური სახლის სხვა წევრები.

ხელნაწერი მოხატულია, მინიატურები თან ახლავს საკვირაო ღვთისმსახურების დროს შესასრულებელ საგალობლებს. საკითხავები იგება იოანე მახარებლის სახარების საფუძველზე. პარალელურად მას ემატება საკითხავები მოციქულთა საქმესა და სხვა სახარებებიდან.

ლარგვისის ზატყში გვხვდება შემდეგი მინიატურები:

1. თომას ურწმუნოება (18v);
2. მენელსაცხებლე დედანი და იოსებ არიმათიელი (37v);
3. განრღვეულის განკურნება (59v);
4. იესო ქრისტე და სამარიტელი დედაკაცი (86v);
5. ბრმის განკურნება (120v);
6. მაცხოვრის ამადლება (134v);
7. კრება ნიკიას (146v).

იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ლარგვისის ზატყის მინიატურები უნიკალურია; ჩნდება მრავალი ისეთი დეტალი, რომლებიც ამ ტიპის ხელნაწერთა გაფორმებაში იშვიათად გვხვდება. მაგალითად, გუმბათოვანი არქიტექტურის ფონზე საყდარზე მჯდომი მაცხოვარი, მისი გაწვდილი ხელი და თომას ურწმუნოების სცენა, ან სილოამის ქის გამოსახვა ბრმის განკურნების ორკომპოზიციან ეპიზოდში. სრულიად უჩვეულოა ნიკეის კრების ამსახველი მინიატურა, წმინდა მამების მეტყველი სახეებით, მაგიდაზე გაშლილი ლიტურგიული კოდექსებითა და სახასიათო სამოსით. ეს სცენა თემატურად არ უკავშირდებოდა მა-





ცხოვრის სასწაულებს და ადრეული ხანის ზატყში ეს კომპოზიცია საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

მინიატურათა საერთო ფერადოვნებას განსაზღვრავს ყრუ მოლურჯო-მომწვანო ფონი და მასზე დადებული ლურჯის, წითლის, ვარდისფრის, ოქროსფრის, სინგურის სხვადასხვა გრადაციის ტონალობებითა და გამოთეთრების საშუალებით შესრულებული რამდენაღმე მძიმე და წონადი ფიგურები მკვეთრ აქცენტებად აღიქმებიან. ზატყში, მინიატურათა გარდა, მხატვრულ აქცენტებად გამოიყოფა წითელი მეღნიტ შესრულებული სათურები, საზედაო ასოები და წნული ორნამენტით გაფორმებული ერთადერთი თავსამაული ხელნაწერის დასაწყისში.

ლარგვისის ზატყის მინიატურების მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები აჩვენენ ლოკალურ ტრადიციებზე დაფუძნებული მინიატურული მხატვრობის განვითარების უწყვეტ გზას (ხაზის წამყვანი მნიშვნელობის აქცენტებით) და თანადროულ ქართულ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირში მოიხზება.







ყანჩაეთის ჟამნ-გულანი

577 ფ.; ქალაქი; 243x185 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყვავისფერი და წითელი მელანი, მოხატულობაში გამოყენებულია ლურჯი და ყვითელი მელანი. H-1452; 1674 წ.

ყანჩაეთის ჟამნ-გულანი 1674 წელს გადაუწერიათ და მის მომგებელს, ევდემოზ რატიშვილს, საგვარეულო საძვლეს, სოფელ კაბენის (ქვემო ქართლი) ღვთისმშობლის გეტისმანიის ეკლესიისათვის შეუწირავს. კაბენი ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კულტურის საკმაოდ განვითარებული ცენტრი იყო. როგორც ხელნაწერიდან ჩანს, ხელნაწერის მომგებელი, XVII საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო ფიგურა ევდემოზ რატიშვილი, სხვადასხვა დროს ფლობდა საეპისკოპოსო კათედრებს: „პირველად ვიყავ ურბნელი, მერმე მანგლელი და მერმე მთავარეფისკოპოზი ქართლისა“ (339v). ხელნაწერში იგი რამდენჯერმეა მოხსენებული: „ქრისტე, ადიდე გლონის თავის ძე, ქსნის ერისთავთ-ერისთავის სახლის ძე, ურბნელ მთავარეპისკოპოზი ევდემოზ (220r), „მამკობი ამისა მანგლელი ევდემონ“ (35r). კაბენის ეკლესიიდან დაკარგული ხელნაწერი არაგვის ერისთავს, გრიგოლ ხარჭამნელს დაუხსნია და ევდემონისათვის

დაუბრუნებია, რომელსაც თავიდან შეწირავს ხელნაწერი კაბენის ეკლესიისათვის, ხოლო ხარჭამნელისთვის ადთქმა დაუდია, რომ ყოველ ხარებას კაბენის წინამძღვარი მათ ოჯახს მოიხსენიებდა.

ჟამნ-გულანი ლიტურგიკული კრებულია და გულანის მოკლე რედაქციას წარმოადგენს, რომელიც ჟამნისა და სვინაქსარის შემოკლებულ ვერსიებს შეიცავს. ხელნაწერს რამდენიმე გადამწერი ჰყავს: ზაქარია (23v), ონოფრე მთიული (202r, 211r) და მღვდელი საბაძ (516v). ხელნაწერი ილუსტრირებულია. პირველი ილუსტრაციაზე ჩვილედი ღვთისმშობლის წინაშე ვედრების სცენაში წარმოდგენილია ევდემოზ რატიშვილი კოდექსით ხელში. ქტიტორული გამოსახულების ჩარჩოში წარმოდგენილ წარწერაში კვლავ ევდემოზია მოხსენებული: „ბერ ცოდვილი მანგლელი ევდემოზ, მამკობელი წიგნისა ამისა“.

ხელნაწერი შედგენილობის მიხედვით ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში ჩართულია ერთ რვეულში თავმოყრილი, შესაქმის ბიბლიური სცენები:

1. ცისა და ზღვის შექმნა (6r);
2. დღისა და ღამის შექმნა (7r);
3. მცენარეული სამყაროს შექმნა (8r);
4. ადამის მიერ მცენარეებისა და ცხოველების სახელდება (9v);
5. ევას შექმნა ადამის ნეკნიდან (10r);



6. შეცოდება (11r);
7. ანგელოზთა კრება და ეშმაკთა მახვილით განადგურება (12r). ხელნაწერის ტექსტის ამ ნაწილის შინაარსთან მინიატურები არ არის დაკავშირებული.

„სამყაროს შექმნის“ ბიბლიური სცენები ქართული მინიატურული მხატვრობისათვის საკმაოდ უჩვეულო თემაა და, უმთავრესად, დასავლეთ ევროპული ხელოვნებისთვისაა სახასიათო. „სამყაროს შექმნის“ თითქოსდა ეკლექტური ფიგურები ქართულისაგან განსხვავებულ მხატვრულ ტენდენციებს მისდევს და, სავარაუდოდ, იმ დროისათვის მისიონერთა მიერ შემოტანილი ევროპული მხატვრობის ტრადიციების გავლენით უნდა იყოს შექმნილი. ხელნაწერის მეორე

ნაწილი კი ჟამნს, დასდებლებს, საგალობლებს, სვინაქსარსა და კინკლოსს მოიცავს. ტრადიციულად, აქაც ძველი ადთქმისეული სიუჟეტები, სახარებისეული სცენები, დაუჯდომელის თემები, წმინდანთა ცალკეული გამოსახულებები და წმინდანთა ცხოვრების ამსახველი სიუჟეტებია წარმოდგენილი. მინიატურები რამდენიმე ოსტატის ხელს ავლენენ.

ხელნაწერში თავდაპირველად 60 მინიატურა ყოფილა, თუმცა დღეს მხოლოდ 48 ილუსტრაციაა დარჩენილი. სავარაუდოდ, გვიანი ხანის რესტავრაციის შედეგად მინიატურების თანამიმდევრობა ხელნაწერში არეულია, ისევე როგორც შეცვლილია ხელნაწერის ყდა. ექვთიმე თაყაიშვილმა ხელნაწერი 1912 წელს სოფელ კაბენის მონასტრიდან ჩამოიტანა.




ანჩისხატის გულანი

430 ფ.; 350x240 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, მოხატულობაში გამოყენებულია წითელი, მწვანე, ღვინისფერი, ყავისფერი მელანი. A-30; XVII ს.

ანჩისხატის გულანი ცნობილია, ასევე, სვეტიცხოვლის გულანის სახელწოდებით, ვინაიდან ეს წიგნი 1681 წელს სპეციალურად სვეტიცხოვლისათვის გადაიწერა იოთამ ამილახვრისშვილის ძის, კათალიკოზ ნიკოლოზის დაკვეთით ხუთი სხვადასხვა გამამწერის მიერ. ხელნაწერი ნაკლულია, კრებული დღეს სამ ნაწილად, ანუ სამ ხელნაწერად არის გაყოფილი: A-30 – შეიცავს თვეების სექტემბერ-თებერვლის მასალას, A-31 – თვეების მარტი-აგვისტოს მასალას, A-32 – მარხვანს და ზატიკის დასაწყისს. მდიდრულად ილუსტრირებულია ფერადი მელნით შესრულებული წმი-



დანთა გამოსახულებებითა და საუფლო დღესასწაულთა მინიატურებით, რომელთა ავტორები სამეფო კარის დეკანოზი მიქელა და საბა მღვდელი არიან. ორივე მხატვრის შემოქმედება პოსტპალეოლოგიური წყაროთი საზრდოობს და ილუსტრაციებში მცირედ, მაგრამ მაინც შეინიშნება დასავლეთ ევროპული მხატვრული ტრადიციის გავლენა. ხელნაწერში, ძირითადად, თვეთა დასურათებული. თემატური შედგენილობა უცვლელია: ქრისტოლოგიური ციცი, მაცხოვრის ცხოვრების ციცი, ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები და წმინდანები. თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელთა დასურათებული ვერსიაც. ანჩისხატის გულანის დასურათებაში გამყდავანებულია მხოლოდ ქართული მწიგნობრული ტრადიციისათვის დამახასიათებელი ამ ტიპის ხელნაწერი წიგნის დასურათების სახასიათო დეტალები.






კრებულები

(ეგზეგეტიკა, ასკეტიკა-მისტიკა, კანონიკა, ღობეტიკა, ჰომილეტიკა)



Text in Georgian script, likely a liturgical or theological treatise, with some decorative elements.




თავი V

სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი – ეგზეგეტიკა – მთელი თავისი სისრულითა და მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი ძველ ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში. ქართველ მწიგნობართა მიერ ნათარგმნია ქრისტიანული მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეგზეგეტიკური თხზულება, ძველი თუ ახალი აღთქმის წიგნების უმნიშვნელოვანესი განმარტებანი.

ქრისტიანული ლიტერატურული ძეგლების ადრეული (V-X საუკუნეები) ეპოქის ეგზეგეტიკური თხზულებათა თარგმანები, უმეტესწილად, ბერძნულიდანაა შესრულებული, თუმცა დასტურდება ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებიდან – სომხურიდან, არაბულიდან, სირიულიდან მომდინარე თარგმანებიც. ამ პერიოდის ეგზეგეტიკური თხზულებათა ქართული თარგმანების დიდი ნაწილი ანონიმურია, შეინიშნება გამოკვეთილი ინტერესი ძველი აღთქმის წიგნების, განსაკუთრებით, ჰექსემერონული ტექსტების – „შესაქმის“ მიმართ. ქართული მწერლობის განვითარების უადრეს პერიოდში, V საუკუნის I ნახევარშია ბერძნულიდან ნათარგმნი სევერიანე გაბალონელის „ექუსთა დღეთათჳს“. ადრეულ პერიოდს განეკუთვნება, ასევე, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთათჳს“. წინათონურ ეპოქაში ნათარგმნი ეგზეგეტიკური თხზულებების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია X საუკუნის 70-იან წლებში ტაო-კლარჯეთში გადაწერილ ხელნაწერში, რომელიც „შატბერდის კრებულის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ექვთიმე მთაწმინდლის მიერ ნათარგმნი ეგზეგეტიკური თხზულებებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ახალი აღთქმის წიგნების განმარტებანი, რომლებიც არ ყოფილა მანამდე ნათარგმნი ქართულად. ესენია: იოანე ოქროპირის „მათეს სახარების განმარტება“ და „იოანეს სახარების განმარტება“, გრიგოლ ნოსელის „მამათ ჩუენოს“ განმარტება, ანდრია კესარიელის „გამოცხადების“ განმარტება, „სამოციქულოს“ განმარტების კომპილაციური ტექსტები. ძველი აღთქმის წიგნების განმარტებებიდან გამორჩეულია ბასილი დიდის ფსალმუნთა კომენტარების თარგმანი.



ბიბლიის ეგზეგეტიკის მთარგმნელობით ტრადიციაში გიორგი მთაწმინდელი თავისი ჰექსემერონული ტექსტების თარგმანებით არის ცნობილი. მან ხელახლა თარგმნა წინათონურ ეპოქაში ერთხელ უკვე ნათარგმნი განმარტებანი, რომლებიც „შესაქმეს“ უკავშირდება: ბასილი დიდის „ექუსთა დღეთათჳს“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“. საერთოდაც, გიორგი მთაწმინდლის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული კაპადოკიელი მამის, წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებების ქართულად თარგმანსთან. გიორგის ნათარგმნი აქვს ამ ავტორის შემდეგი თხზულებები: „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ და „ქება ქებათას“ განმარტება. ამავე ეპოქას განეკუთვნება იოანე ოქროპირის ჰექსემერონული ტექსტის – „დაბადების“ – განმარტების თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანიც.

შავი მთის ცნობილმა მწიგნობარმა, ეფრემ მცირემ, უდიდესი წვლილი შეიტანა ეგზეგეტური კრებულების ქართულად თარგმნაში. მის მიერ ნათარგმნია „ფსალმუნთა“ განმარტება – კომპილაციური ხასიათის ტექსტი, რომელშიც გაერთიანებულია ათანასე და კირილე ალექსანდრიელის, ასევე, სხვა ავტორთა განმარტებები „ფსალმუნთა“ წიგნზე. კომპილაციურია ეფრემის მიერ ნათარგმნი „სამოციქულოს“ განმარტებაც. მას სათარგმნელად აურჩევია კირილე ალექსანდრიელის მიერ იოანე ოქროპირის ვრცელი კომენტარების საფუძველზე შედგენილი მოკლე განმარტება, რომელიც კირილეს მიერ იყო შევსებული სხვა ბიზანტიელ ავტორთა განმარტებებით.

ამავე პერიოდში ითარგმნა თეოფილაქტე ბუღარელის სამი ეგზეგეტური თხზულება: „თარგმანებაჲ მარკოზის სახარებისაჲ“, „თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ“ და „თარგმანებაჲ ლუკას სახარებისაჲ“. გელათის სკოლაში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ძეგლია კატენებიანი ბიბლია – XII საუკუნის ბოლოს ნათარგმნი ბიბლიის ტექსტი არსებებზე წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორის განმარტებებით.

წმინდა წერილის კომენტარების თარგმნასთან ერთად ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნია წმინდა მამათა თხზულებების კომენტარებიც, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბასილი მინიმუსის კომენტარებისა და არეოპაგიტული კორპუსის კომენტარების ეფრემ მცირისეულ თარგმანებს.

თემატურად მრავალფეროვან და ლოგიკური სიმწყობრით გამორჩეულ ეგზეგეტურ ტექსტებზე მუშაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ მწიგნობართა ინტელექტუალურ განვითარებაში, აზროვნების მეცნიერული სტილის ჩამოყალიბებაში. ეგზეგეტური ჟანრის ნაშრომთა თარგმნამ, ბიბლიისა თუ წმინდა მამათა ტექსტების ახსნა-განმარტებებში წვდომამ და გააზრებამ ხელი შეუწყო XI-XII საუკუნეებში ქართველთა მწიგნობრულ წრეებში ახალი სტილის სამეცნიერო აზროვნების ჩამოყალიბებას და გარკვეულწილად განსაზღვრა მისი სახე.

სასულიერო მწერლობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორებიცაა ასკეტიკა და მისტიკა, უმეტესწილად, ათონური თარგმანების სახით არის წარმოდგენილი ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში. ექვთიმე მთაწმინდელმა, რომელიც განსაკუთრებით ზრუნავდა საკუთარი მონასტრის სამოს ზნეობრივ აღზრდასა და სულიერ დახვეწაზე, განავრცო და განავითარა სამონასტრო ცხოვრებისათვის განსაკუთრებულად საჭირო ეს დარგები. მის მიერ ნათარგმნია ისააკ ასურის „სწავლანი“, რომლის ადრეული თარგმანი სირიულიდან იყო შესრულებული, ფსევდომაკარის „სწავლანი“, გრიგოლ დიდის „დიალოგონი“ და სხვ. ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა ასევე იოანე სინელის „კლემაქსი“, რომელიც მანამდე არაბულიდან იყო ნათარგმნი და რომელიც ექვთიმეს შემდეგაც კიდევ არაერთხელ ითარგმნა და გადამუშავდა. ექვთიმეს შემდგომი ეპოქის თარგმანებიდან აღსანიშნავია „კლემაქსის“ პეტრე გელათელისეული ელინოფილური თარგმანი. ამ სფეროში გიორგი მთაწმინდელმაც შეიტანა თავისი წვლილი. მისი თარგმანებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეოდორე

სტუდიელის ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის კრებული, რომელიც ქართულ წყაროებში მოხსენებულია, როგორც „სტოდიერი“. ასკეტიკური ჟანრის კრებულები ნათარგმნი აქვს ეფრემ მცირესაც. ესენია პალადი ჰელენოპოლელის „ღავსაიკონი“, ბასილი დიდის „ასკეტიკონი“, ეფრემ ასურის „სწავლანი“, რომელიც ქართულ ხელნაწერებში ორ ტომად არის წარმოდგენილი სახელწოდებით – „ეფრემი პირველი“ და „ეფრემი მეორე“. ეფრემ მცირის შენიშვნით, ეს თხზულება ორ ტომად ყოფილა ბერძნულ ხელნაწერებშიც, რომლებიც დაცული იყო სვიმეონწმინდასა და თუალის სამონასტრო ბიბლიოთეკებში. ამავე ჟანრს განეკუთვნება XI საუკუნის ბოლოს თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ ნათარგმნი „მამათა სწავლანი“.

ქართული კანონიკური მწერლობის მნიშვნელოვან ძეგლად მიჩნეულია ექვთიმე მთაწმინდლის მიერ ნათარგმნი კომპილაციური ხასიათის კრებული „მცირე სჯულისკანონი“. კანონიკურმა კრებულებმა შემდგომი განვითარება უკვე ქართული მწერლობის ელინოფილურ ეპოქაში ჰპოვა. XI საუკუნის მიწურულს არსენ იყალთოელმა ბერძნულიდან თარგმნა ამ ჟანრის ვრცელი კრებული – დიდი სჯულისკანონი – ბიზანტიური იურისპრუდენციის ძეგლი, რომელიც 14-ტიტლოვანი ნომოკანონის კრებულმა უდიდესი როლი შეასრულა საეკლესიო სამართლის ქართული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში და საფუძველად დაედო უმნიშვნელოვანეს კანონიკური ხასიათის კრებულს – 1105 წელს შედგენილ ქართული სამართლის ძეგლს, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერას“.

ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დოგმატური ხასიათის კრებულებს. ამ ტიპისაა ექვთიმე მთაწმინდლის მიერ ნათარგმნი კომპილაციური კრებული „წინამძღვარი“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, თეორიულ-დოგმატური მოძღვრების სფეროში. „წინამძღვარმა“, ფაქტობრივად, შეამზადა ქართველი მკითხველი დოგმატიკის მნიშვნელოვანი

სახელმძღვანელოს, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისათვის“, რომელიც XI საუკუნის ბოლო მეოთხედში თარგმნა ეფრემ მცირემ.

საზოგადოდ, ეფრემ მცირის მთავარ დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიურ-დოგმატური კრებულების თარგმნას, რის შედეგადაც შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში დამკვიდრა სრულიად ახლებური ხედვა: „გარეშეთა“ ნააზრვის („საერო სიბრძნის“) გამოყენება ქრისტიანული ღვთისმეტყველების სამსახურში. რწმენისა და ცოდნის სინთეზზე დაფუძნებული ეს კონცეფცია სათავეს ადრექრისტიანულ ეპოქაში კლიმენტი ალექსანდრიელიდან, ასევე, კაპადოკიელ მამათა ნაშრომებიდან იღებს, თუმცა ქართულ სააზროვნო ტრადიციაში მხოლოდ XI საუკუნიდან მკვიდრდება. ეს ხდება უმთავრესად ეფრემ მცირის ორი თარგმანის მეშვეობით. ესენია: იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ ორი (პირველი და მესამე) ნაწილი – „დიალექტიკა“ და „გა-



რდამოცემა“, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უმთავრეს სახელმძღვანელოს წარმოადგენდა ორთოდოქსულ ღვთისმეტყველებაში, და, ასევე, ადრექრისტიანული ეპოქის ყველაზე მისტიკური წიგნი – არეოპაგიტული კორპუსი კომენტარებითურთ.

იოანე დამასკელის ნაშრომის ქართულ ენაზე გაცნობა ქართველებს ინტელექტუალური განვითარების დიდ შესაძლებლობას აძლევდა; ამ თხზულების საშუალებით ქრისტიანები, ფაქტობრივად, ეუფლებოდნენ ანტიკურ ფილოსოფიაში პლატონისა და არისტოტელეს მიერ შემუშავებულ, ხოლო მოგვიანებით ნეოპლატონური ფილოსოფიური ტრადიციის მიერ ათვისებულ სილოგისტური აზროვნების წესებს, რათა მათგან, ანუ „გარეშეთაგან“ ნასწავლი ლოგიკური მსჯელობის ხერხების მოშველიებით, ერთი მხრივ, ჩამოეყალიბებინათ ქრისტიანული დოქტრინები და, მეორე მხრივ, დისკუსიების დროს დაეცვათ ისინი მოწინააღმდეგეთაგან.

ეფრემის მიერ ნათარგმნი არეოპაგიტული კორპუსიც ადრექრისტიანული მწერლობის იმ თხზულებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელშიც „გარეშეთა“ აზროვნებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ეს მონოგრაფიული ტიპის საღვთისმეტყველო თხზულებაა, რომელშიც ქრისტიანული მოძღვრება ანტიკური ფილოსოფიის სამოსშია გახვეული, კერძოდ, ნეოპლატონური ტერმინოლოგიით არის გადმოცემული. ეს კრებული ადრევე ითარგმნა ლათინურსა და ქრისტიანული ახლო აღმოსავლეთის ენებზე და უდიდესი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეებზე; არეოპაგიტული კორპუსი ქრისტიან მწიგნობართა თხზულებებში ყველაზე ხშირად ციტირებული ნაშრომია.

XI საუკუნის ბოლოს ცნობილი ქართველი მწიგნობარი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, არსენ ვაჩხეძე, ქმნის ვრცელ დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის კრებულს, „დოგმატიკონს“. არსენს განათლება კონსტანტინოპოლში უნდა ჰქონდეს მიღებული, სადაც მას დაუწვია კიდევ „დოგმა-

ტიკონის“ შედგენაზე მუშაობა. „დოგმატიკონის“ რეპერტუარი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია, შეიცავს 70-ზე მეტ დოგმატიკურ, სქოლასტიკურ თუ პოლემიკურ თხზულებას, რომლებიც მაღალი მთარგმნელობითი ტექნიკით არის გადმოტანილი ქართულად. ამ კრებულით არსენმა ქართველ მკითხველებს წარმოუდგინა ბიზანტიური სამყაროს უმდიდრესი თეოლოგიური და ფილოსოფიური ნააზრევი. მკვლევართა აზრით, არსენი თავად არჩევდა თხზულებებს თავისი კრებული-სათვის. კრებული მოიცავს ავტორებს III საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნის ჩათვლით. ესენია: ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“, იოანე დამასკელისა და კირილე ალექსანდრიელის ანტი-ნესტორიანული ტრაქტატები, თეოდორე აბუკურას დოგმატურ-პოლემიკური თხზულებები, ნიკიტა სტითატის ხუთი პოლემიკური სიტყვა სომეხთა წინააღმდეგ, ანონიმი ავტორის ანტი-ებრაული და ანტი-მუსლიმური ნაშრომები და სხვ. ეს კრებული წარმოდგენილია 20-ზე მეტი ხელნაწერით, რაც

მის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მიუთითებს. ხელნაწერთა შედგენილობა (თხზულებათა რაოდენობა და მათი თანამიმდევრობა) არაერთგვაროვანი, საკმაოდ ჭრელია. „დოგმატიკონში“ მკაფიოდ არის ასახული იმდროინდელი ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესები, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი განწყობა, სარწმუნოებრივი პოზიციები და ინტელექტუალური მოთხოვნები.

ძველ ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ჰომილეტიკური კრებულები – სასულიერო შინაარსის მოძღვრება-ქადაგებათა კომპენდიუმები – ქართული მწერლობის განვითარების ადრეული პერიოდიდანვე ჩნდება. „ზეპირით პირისპირ თქუმა“ – ასე განმარტავს ეფრემ მცირე ბიზანტიური მწერლობის ამ ჟანრს. ძველი მწერლობის ჟანრებს შორის ჰომილეტიკა ყველაზე მეტად არის დაკავშირებული მჭევრმეტყველებასთან. ამ დარგის წარმომადგენლები დიდ მოაზროვნეებთან, თეოლოგიებთან ერთად რიტორიკაში საკმაოდ კარგად გაწაფული მწიგნობრები იყვნენ, რომელთა მთავარი მიზანი, განსაკუთრებით ქრისტიანობის ჩასახვის ადრეულ ხანაში, ადამიანთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა იყო. ჰომილეტიკური ჟანრის თემატიკა იმთავითვე გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. ბიბლიის განმარტება, ზნეობრივი სწავლება, ქრისტიანული დოგმების დამკვიდრება მრევლში, კამათი სხვადასხვა ერეტიკულ მოძღვრებასთან – ის თემებია, რომლებიც გამოკვეთენ ჰომილეტიკური თხზულებების ეგზეგეტურ, დოგმატურ თუ პოლემიკურ ხასიათს.

ყველაზე ადრეული ქართული ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური საკითხავების კრებული „მრავალთავია“, რომელშიც დაცულია ადრეობიზანტიური მწერლობის წარმომადგენელთა საკითხავები – ქადაგებები, რომლებიც საუფლო და წმინდანთა დღესასწაულებზე იკითხებოდა. დღეისათვის დადგენილია, რომ ეს უძველესი კრებული წარმოდგენდა იერუსალიმური ლექციონარის დანამატს, ანუ ქართული ეკლესიის განვითარების ადრეულ (იერუსალიმურ) ეტაპზე ღვთისმსახურებაში იყო გამოყენებული.

ჰომილეტიკური ჟანრის შემდგომი განვითარების ნიმუშებია კაპადოკიელი მამების (IV საუკუნე) ჰომილეტიკურ საკითხავთა კრებულები, რომელთა შორის გამორჩეულია ბასილი დიდის „მორალური ჰომილიების“ ექვთიმე მთაწმინდლისეული თარგმანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ექვთიმე მთაწმინდლის, დავით ტბელისა და ეფრემ მცირის თარგმანები, ასევე გრიგოლ ნოსელის ჰომილიათა ქართული თარგმანები, რომელთა უმეტესობა გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის და რომლებიც, უმთავრესად, შერეულ კრებულებშია წარმოდგენილი. ამ ავტორთა ჰომილეტიკური კრებულების ქართული ვერსიები თავიანთი არქიტექტონიკით და ზოგჯერ მარგინალური ატრიბუტიკითაც (მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვიანი კრებული) საკმაოდ ახლოს დგას შესაბამის ბერძნულ კრებულებთან.

ქართულად თითქმის სრულად არის ნათარგმნი იოანე ოქროპირის (IV საუკუნე) ჰომილეტიკური მემკვიდრეობა, რომლის ნაწილი სხვადასხვა კრებულშია წარმოდგენილი, დიდი ნაწილი კი გაერთიანებულია ერთ კრებულში – „მარგალიტი“. კვლევის შედეგად დღეისათვის გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ამ კრებულის ქართული თარგმანი ექვთიმე მთაწმინდელს უნდა ეკუთვნოდეს. მისი ზუსტი ბერძნული ანალოგი დღეისათვის მიკვლეული არ არის. ქართულად ასევე ნათარგმნია ეფრემ ასურის, კირილე ალექსანდრიელის, სოფრონ იერუსალიმელისა და სხვა ქრისტიან ავტორთა ჰომილიები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის შერეულ კრებულებშია დაცული.

X-XI საუკუნეების ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და მქადაგებელი, იოანე ბოლნელი, ქართული ორიგინალური ჰომილიების ავტორია. ჩვენამდე მოღწეული მისი ჰომილიები, ძირითადად, სახარების ამა თუ იმ ეპიზოდის განმარტებაა, ამასთან, მორალურ-ეთიკური ხასიათის შეგონებებსაც შეიცავს. იოანე ბოლნელის ქადაგებანი ქართული მჭევრმეტყველებისა და მხატვრული აზროვნების თვალსაჩინო ნიმუშებია.

იოანე ოქროპირის ცხოვრება

258 ფ.; ეტრატი; 160x130 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. H-2124; 968 წ.

ხელნაწერი შეიცავს ჰაგიოგრაფიულ ნაშრომს „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, რომელიც მიეწერება გიორგი ალექსანდრიელს. ნაწარმოები ბერძნულიდან ქართულად X საუკუნეში ითარგმნა. ხელნაწერი დათარიღებულია 968 წლით. გადაწერილია ივანე საფარელის მიერ პალესტინაში, წმ. ხარიტონის (პალავრა) მონასტერში და დაფინანსებულია მიქაელ ფანასკერტელის მიერ. ამ უკანასკნელმა ხელნაწერი შესწირა სინის მთას. ხელნაწერი მთელ გვერდზე პრიმიტიულად გამოსახული იოანე ოქროპირის მინიატურით არის ილუსტრირებული.

XIX საუკუნის შუა წლებში რუსმა ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ წაიღო ხელნაწერი სინიდან რუსეთში, სადაც ის ინახებოდა სანკტ-პეტერბურგის იმპერიულ საჯარო ბიბლიოთეკაში. 1923 წელს ხელნაწერი დაუბრუნდა საქართველოს.





შატბერდის კრებული

288 ფ.; ეტრატი; 280x220 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები წითელი მელნით. S-1141; X ს.


ტაო-კლარჯეთში გადაწერილი კრებული, რომელიც შეიცავს სხვადასხვა შინაარსის, უმეტესწილად კი ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებებს. ხელნაწერის შემქმნელისა და რედაქტორის, იოანე-ბერას ანდერძი გვამცნობს, რომ კრებული გადაიწერა შატბერდის მონასტერში იოანე-ბერას, მისი ძმის დავითის, ბიძის – მიქაელ მოდრეკილისა და რამდენიმე სხვა პირის მიერ. ანდერძში მოხსენებული ისტორიული პირების – ბაგრატ II ქართველთა მეფისა (958-994 წწ.) და ბიზანტიის იმპერატორის, იოანე I ციმისკესის (969-979 წწ.) ხსენების საფუძველზე ხელნაწერი თარიღდება X საუკუნის 70-იანი წლებით.

ხელნაწერში შესული თხზულებების ჩამონათვალიც კი ცხადყოფს, რომ ჩვენ წინაშეა წიგნი, რომელსაც შემეცნებითი და სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულება ჰქონდა, ამიტომ შატბერდის კრებულს ხშირად „სასწავლო წიგნსაც“ უწოდებენ. კრებულში შესულია III-IV საუკუნეების ქრისტიან ავტორთა თხზულებები, კერძოდ, იპოლიტე რომაელის „განმარტება დავითისი და გოლიათისი“, „თარგმანება ქება-ქებათასა“ და სხვ., ეპიფანე კვირელის „თუალთა“, რომელიც

მელიც ორიგინალის ენაზე (ბერძნული) ფრაგმენტულად არის შემონახული. შატბერდის კრებულმა შემოგვინახა II-III საუკუნეების ალექსანდრიულ სკოლაში შედგენილი ენციკლოპედიური ხასიათის კრებული „ფიზიოლოგი“, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“ და სხვ. შატბერდის კრებულში შესული თხზულებები თარგმნილია ბერძნული, სომხური და არაბული ენებიდან.

შატბერდის კრებულში არის დაცული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ოთხი რედაქციიდან ერთ-ერთი უძველესი, რომლის შესახებაც გადამწერი შემდეგს აღნიშნავს: „წიგნი ქართლის მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინვისაჲ ძალთა ზეცისა მგალობელთა ჟუნდთა ყუავილად უბიწოდ სარწმუნოვებაჲ შეუძრავი კედელი ქრისტესსა ესე ჩუენისა ცოდვისა ჳსნაჲ და მარგებელ სულისაჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვჰოვეთ“.

ხელნაწერში ქართული ანდერძ-მინაწერების გვერდით ხელნაწერის შექმნის თანადროული ბერძნული და სომხური მინაწერებიც გვხვდება, რაც იმ მულტიკულტურულ გარემოზე მიუთითებს, რომელიც იმ პერიოდის ტაო-კლარჯეთში სუფევდა. განსაკუთრებით საინტერესოა ხელნაწერის არშიაზე შესრულებული სომხური ანბანი განმარტებით, რომ სწორედ ეს ანბანია „მესრუბის“ (სომხური ანბანის ავტორად მიჩნეული მესროპ-მამტოცი) შემოქმედების ნაყოფი.



ბასილი დიდი, „სწავლანი“

419 ფ.; ეტრატი; 265x200 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, წითელი მელანი – სათაურებისა და საზედაო ასოებისათვის. H-2251; X ს-ის ბოლო.

ხელნაწერში წარმოდგენილია ბასილი დიდის „სწავლანი“, რომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა X საუკუნის ბოლოს. როგორც ანდერძებიდან ირკვევა, ხელნაწერი ექვთიმეს სიცოცხლეშივე გადაწერა საქართველოდან ივირონში ჩასულმა მწიგნობარმა იორდანემ (46რ). იორდანე ივირონის მონასტერში სწორედ ამ მისიით გაგზავნა ტაო-კლარჯეთის მმართველმა, დავით III კუროპალატმა (930-1001 წწ.).

მოგვიანებით ხელნაწერი ინახებოდა საქართველოს სამეფო ოჯახის წარმომადგენლის, საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის, იოანე ბატონიშვილის (ბაგრატიონი) (1766-1830) კოლექციაში, საიდანაც იგი მოხვდა საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში (ახლანდელი – რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა) სანკტ-პეტერბურგში. ხელნაწერი საქართველოს დაუბრუნდა 1923 წელს.



**მაქსიმე აღმსარებელი,
„ღმრთისმშობლის ცხოვრება“**

332 ფ.; ეტრატი; 165x114 მმ.; ნუსხური, ასომთავრული;
ყავისფერი მელანი, მოხატულობისთვის გამოყენებულია
ოქრომელანი, ღვინისფერი, ლურჯი და მწვანე მელანი.
A-40; X ს-ის ბოლო.

ხელნაწერი შეიცავს „ღმრთისმშობლის ცხოვრებას“, რომლის ავტორად მაქსიმე აღმსარებელია დასახელებული (ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, ეს ნაშრომი ფსევდომაქსიმესეულად არის მიჩნეული). ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, ტექსტის მთარგმნელია ექვთიმე მთაწმინდელი, გადამწერი – ბერი ბენედიქტე, გადაწერის ადგილი უცნობია.

ხელნაწერს დასაწყისში ერთვის ლუკა და იოანე მახარებლების მინიატურა, რომელიც, სავარაუდოდ, სახარებიდან უნდა იყოს ამოღებული. შემონახულია გვიანდელი მკაზმველის – იოსებ ხუტუნასძის ანდერძი და მისი ოჯახის წევრების მოსახსენებლები.



შერეული კრებული

224 ფ.; ეტრატე; 260x190 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, მოხატულობისთვის გამოყენებულია წითელი, მწვანე და ლურჯი მელანი. A-397; X-XI სს.

X-XI საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ხელნაწერი შეიცავს იოანე ღვთისმეტყველის „ცხოვრების“, მისივე „გამოცხადებისა“ და „გამოცხადების“ ანდრია კესარია-კაბადუკიელი „თარგმანების“ ანუ განმარტების ტექსტებს. ქართული თარგმანები X საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებულია ექვთიმე მთაწმინდლის მიერ. კრებულში ასევე შედის სვიმეონ მესვეტის, სვიმეონ სალოსისა და დანიელ მესვეტის ცხოვრებათა აღწერილი ქართული თარგმანები.

ხელნაწერი გადაწერილია დოსითეს მიერ, კრებულის გაფორმების მხატვრული თავისებურებები, თავსამკაულებში გამოყენებული მწვანე მელანი, ორნამენტირებული საზედაო გრაფემები გვაპარაუდებინებს, რომ ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ტაოს რეგიონში. კრებულში მრავლად გვხვდება გადამწერის მიერ არაფორმა-



ლური ხელით მიწერილი სულთა მოსახსენებლები, მათ შორის ტაოდან ბიზანტიის იმპერიაში გადასახლებული აბუქაბ ზოლავარისა, აბუქაბინთა დინასტიის ცნობილი წარმომადგენლისა, რომელიც 1031 წელს ედესის ღუკად დაინიშნა.



ჰომილეტიკური კრებული

ნაწილი I – 115 ფ.; ქაღალდი; 355x235 მმ.; ნუსხური, ასომთავრული (რამდენიმე ხელწერა); შავი მელანი, სათაურები და ზოგიერთი საზედაო ასო – წითელი მელნით. S-1276; XI ს., XIV ს.

ეს კრებული შედგება ერთად შეკრული ორი ხელნაწერისგან. პირველი წარმოადგენს იოანე დამასკელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირისა და სხვათა ჰომილეტიკური თხზულებების კრებულს. ეს ნაწარმოებები ბერძნულიდან ქართულად XI საუკუნის ბოლოს თარგმნა ეფრემ მცირემ. მეორე შედარებით გვიანდელი ხელნაწერია, რომელიც შეიცავს ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ხასიათის თხზულებათა თარგმანებს.

კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული მონაცემების ანალიზის, ასევე, ხელნაწერის შედგენილობისა და კოლოფონების შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრებულის პირველი ნაწილის ფურცლები – 1r-24r, 72r-99r – თავად ეფრემ მცირის მიერ უნდა იყოს დაწერილი. ხელნაწერი შეიცავს ფილოლოგიური და ისტორიული ხასიათის რამდენიმე მნიშვნელოვან შენიშვნას, ასევე, მარგინალურ ნიშანებს, რომლებიც ხსნიან ტექსტებში გამოყენებულ ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს.

გვიანდელი მინაწერები გვიჩვენებს, რომ ხელნაწერი XIV საუკუნისათვის უკვე საქართველოშია.





**მამათა სწავლანი
და თხრობანი**

454 ფ.; ქაღალდი; 240x160 მმ.; ნუსხური, არაკალიგრაფიული ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. A-1105; XI ს.

ხელნაწერი შეიცავს ქრისტიან მამათა გამონათქვამებს (აპოფთეგმებს), რომლებიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა თეოფილე ზუცესმონაზონმა XI საუკუნის ბოლო მეოთხედში. 163v-ზე მოთავსებული ანდერძის მიხედვით, ხელნაწერი გადაწერილია თავად თეოფილეს მიერ. ცხადი ხდება, რომ ის მთარგმნელობით სამუშაოსთან ერთად ხელნაწერების გადაწერასაც ეწეოდა. ამ ხელნაწერის გარდა, დღეისათვის ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში, თეოფილეს კიდევ ოთხი ავტოგრაფული ხელნაწერია შემონახული. XX საუკუნის დასაწყისში ხელნაწერი ივირონის მონასტრიდან საქართველოში სასულიერო პირმა, ილია ფანცულაიამ ჩამოიტანა.



**გრიგოლ ღვთისმეტყველის
თხზულებათა კრებული**

269 ფ.; ქაღალდი; 425x310 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი მელანი, სათურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. A-109; XIII ს.

IV საუკუნის კაპადოციელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტი ლიტურგიული ქადაგების კრებული ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ. ხელნაწერის არშიებზე მოთავსებულია X საუკუნის ბიზანტიელი მწიგნობრის, ბასილი მინიმუსის კომენტარები გრიგოლ ღვთისმეტყველის ქადაგებებზე, რომლებიც, ასევე, ეფრემ მცირემ თარგმნა. გა-

რდა ამისა, ხელნაწერში დასტურდება გრიგოლ ზუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება“, გრიგოლ ღვთისმეტყველის იამბური ლექსების კომპილაციური ვერსია და ფსევდო-ნონეს მითოლოგიური კომენტარები გრიგოლ ღვთისმეტყველის ოთხ ქადაგებაზე. პალეოგრაფიული მონაცემებით ხელნაწერი XIII საუკუნით თარიღდება.

ბასილი მინიმუსის კომენტარების გარდა, ხელნაწერის არშიებზე ვხვდებით სხვა განმარტებითი ხასიათის შენიშვნებსაც, რომლებიც თავად ეფრემ მცირის შედგენილი უნდა იყოს. მათი უმეტესობა ფილოლოგიური ხასიათისაა და წარმოადგენს ძირითადი ტექსტის სამეცნიერო სქოლიოებს. ხელნაწერის არშიებზე წითელი მელნით გამოსახულია მზისთვალისა და ვარსკვლავის ნიშნები. ისინი გრიგოლის



ტექსტების იმ მონაკვეთების გასწვრივა დასმული, რომლებშიც ავტორი საღვთისმეტყველო საკითხებს განიხილავს. ამ ნიშნების დანიშნულებაა დაეხმაროს მკითხველს, გაერკვეს გრიგოლ ღვთისმეტყველის სამაოდ რთულ და ვრცელ ტექსტებში.

კრებულის ყველა ეს დამატება და დეტალი კრებულში შეტანილია გრიგოლ ღვთისმეტყველის ბერძნული ხელნაწერების დრმა ცოდნით, ეფრემის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით. იამბური ლექსები, რომლებიც წინ უსწრებს გრიგოლის ზოგიერთ ქადაგებას, კრებულში შემდგომ პერიოდში უნდა იყოს ჩამატებული.

კრებულში დასტურდება ცამეტი მინიატურა, რომლებშიც გრიგოლ ღვთისმეტყველის ქადაგებების სხვადასხვა სცენაა ასახული. გამოსახულებებს მთელი გვერდი უკავია. მონუმენტური ფიგურები ავლენს მჭიდრო კავშირს XI-XIII საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობასთან. მათ შორის მხატვრობით გამოირჩევა ლომზე ამხედრებული წმინდა მამას გამოსახულება.

XVIII საუკუნეში კრებული ეკუთვნოდა საქართველოს სამეფო ოჯახის წევრს, მწერალს, მეცნიერსა და ბიბლიოფილს, დავით ბატონიშვილს (1767-1819 წწ). მოგვიანებით ის გადაეცა გარეჯის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერს.

არეოპაგიტული კორპუსი

224 ფ.; ქაღალდი; 385×265 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათურები და საზედაო ასოები – წითელი მელნით. A-110; XII ს.

ხელნაწერი შეიცავს ადრექრისტიანული პერიოდის თხზულებას – არეოპაგიტულ კორპუსს, რომელიც XI საუკუნის ბოლო ათწლეულში ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ.

კრებული შედგენილია XII საუკუნის ორი არასრული ხელნაწერისაგან. დაკარგული ნაწილები, მაგალითად, დასაწყისი და დასასრული, აღდგენილია მე-18 საუკუნეში. არეოპაგიტული კორპუსი მოიცავს ოთხ წიგნს – „სადმრთოთა სახელთათვის“, „ზეცათა მღვდელთმთავრობისათვის“, „საეკლესიოდასა მღვდელთმთავრობისათვის“, „სადუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის“, და ათ ეპისტოლეს. მათ უძღვის წინათქმა – „წინაბჭე სიტყვა – თხრობად დიდისა დიონისისთვის და წიგნთა მათთვის მის მიერ აღწერილთა“, რომელშიც არეოპაგის კრებაზე დიონისეს გაქრისტიანების ამბავია გადმოცემული.

ხელნაწერის არმეებზე წარმოდგენილია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარები. კომენტართა ავტორად დასახელებულია ორი პიროვნება – მაქსიმე და გერმანე. თანამედროვე მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ არეოპაგიტული კორპუსის კომენტარების მთავარი ავტორი არის იოანე სკვითოპოლელი. მაქსიმე აღმსარებელი და გერმანე I კონსტანტინოპოლელი ადიარებულნი არიან იოანე სკვითოპოლელის კომენტარების ზოგიერთი დამატების ავტორებად.

ხელნაწერში არეოპაგიტული კორპუსის ხუთივე ნაწილს წინ უძღვის საძიებლები, რომლებიც შეიცავს თავების სათურებს, მათ შორის, ზოგ შემთხვევაში, განხილული თემების შეჯამებასაც. დასტურდება ასევე ლექსები – იამბიკები. ისინი მოთავსებულია ცალკეული ნაწილის დასაწყისში, საძიებლების შემდეგ. იამბიკები ბერძნულიდან ნათარგმნია ეფრემ მცირის მიერ, რაზეც ლექსებზე დართული ეფრემის მინაწერები მიუთითებს.

გვიან შუა საუკუნეებში ხელნაწერი ინახებოდა გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში.



იოანე სინელი, „კლემასი“

223 ფ.; ქაღალდი; 365×290 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; ყავისფერი და წითელი მელანი. H-1669; XII ს.

ხელნაწერში წარმოდგენილია იოანე სინელის „კლემასის“ ქართული თარგმანი. ნაწარმოები XII საუკუნეში ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ელინოფილმა მწიგნობარმა პეტრე გელათელმა. არმეებზე არსებული მინაწერების მიხედვით, ხელნაწერი გადაწერა მწიგნობარმა ნიკრამ. მას 1160 წელს გარეჯის მონასტერში გადაწერილი აქვს საეკლესიო თხზულებათა კრებული (დღეს დაცულია ვენაში). შესაბამისად, „კლემასის“ შემცველი ხელნაწერიც ნიკრას მიერ გადაწერილი უნდა იყოს იმავე პერიოდსა და, სავარაუდოდ, იმავე სამონასტრო ცენტრში. ხელნაწერში პეტრე გელათელის თარგმანი ნაკლულია: გვერდებზე 1r-15v შეტანილია ამ ნაწარმოების აღრინდელი, ექვთიმე მთაწმინდლისეული თარგმანი. ამ ნაწილის ხელწერა განსხვავდება იმ ხელწერისგან, რომლითაც არის გადაწერილი მთლიანი ტექსტი – პეტრე გელათელის თარგმანი. როგორც ჩანს, ხელნაწერს დასასრულიც აკლდა, რადგან ხელნაწერის ბოლო ფურცლები იმავე ხელით არის დაწერილი, რითაც დასაწყისი. დასაწყისისგან განსხვავებით, ბოლო ფურცლებზე წარმოდგენილია „კლემასის“ გელათისეული რედაქცია. ხელნაწერის არმეებზე მოთავსებულია თხზულების ასზე მეტი დანომრილი კომენტარი, რომლებიც ბერძნულიდან არის თარგმნილი. არმეებზე გვხვდება მცირე ზომის დაუნომრავი განმარტებებიც, რომლებიც შესაძლოა, ქართველ მწიგნობრებს ეკუთვნოდეს.

ხელნაწერი მეტად საინტერესოდ არის გაფორმებული. საზედაო ასოები, რომლებიც წითელი ან ყავისფერი ფერის მელნითაა შესრულებული, ყვავილოვანი და გეომეტრიული ორნამენტებითაა მორთული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წვრილად ნაწერი სხვადასხვა გეომეტრიული ფორ-



მის სქოლიოები, რომლებიც კალმით შესრულებული ფერმრთალი კონტურით არის შემოსაზღვრული. ესენია: ჯვრის ფორმის გუმბათიანი სახლები, თევზები, ლარნაკები, გველშაპები, ადამიანები, ფრინველები, ირემი და სხვ. ხელნაწერში არის წითელი მელნით შესრულებული კიბის ორი გამოსახულება. ერთი მათგანი, ოცდაათსაფეხურიანი, „კლემასის“ ტექსტის ბოლოს, თავების ჩამონათვალის გასწვრივ არის მოთავსებული (202v). კიბის თავზე გამოსახულია პრიმიტიული მანერით შესრულებული ადამიანის თავი. აქვე არის წარწერა: მამა დანიელი ავიდა კიბეზე.








ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული

02+110 ფ.; ეტრატი; 270x180 მმ.; ნუსხური, ასომთავრული; შავი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები წითელი მელნით. A-146; XIV, X-XI სს.

კრებულში შესულია ასკეტიკური ხასიათის სულთა მარგებელი თხზულებები: დოროთე დაზელის (505-565/620 წწ.) „სწავლანი სამონაზვნონი“, ეპისტოლეები, „კითხვა-მიგება“, ფსევდო-მაქსიმე აღმსარებლის „სწავლანი სულიერნი“. თხზულებების ქართული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს ექვთიმე მთაწმიდლის მიერ. ამავე ხელნაწერში შესულია IV საუკუნის ეგვიპტელი მეუდაბნოე დედის, ტაბენესის მამათა მონასტრის წინამძღვარ ნისიმეს, ლათინური ვერსიით ისიდორას, „ცხოვრება“. აღსანიშნავია, რომ თხზულების ქართული თარგმანი ახლოს დგას სინის მთაზე გავრცელებულ არაბულ ვერსიასთან.

ხელნაწერი გაფორმებულია დეკორირებული წვლი ორნამენტებით შესრულებული საზედაო ასოებითა და თავსაყაულებით. ახლავს, ასევე, ნაივური სტილის მინიატურები: დოროთე დაზელი, ექვთიმე იერუსალიმელი, მაქსიმე აღმსარებელი, ნისიმე მონაზონი და მძოვრები და სხვ. ხელნაწერი გადაწერილია XIV საუკუნეში მაქსიმე გადამწერის მიერ. მთლიანად პალიმფსესტურია, ქვედა ფენაზე იკითხება X-XI საუკუნეების ნუსხურით შესრულებული ფსალმუნის ტექსტი.

საქართველო ხელნაწერები




თავი VI

როდესაც ვსაუბრობთ საერო ხელნაწერებზე, ვგულისხმობთ იმ შინაარსის წიგნებს, რომლებიც აერთიანებენ შუა საუკუნეების საეკლესიო-სამონასტრო სივრცის ინტერესს მიღმა არსებულ ტექსტებს. მათ განეკუთვნება კონკრეტულ ავტორთა მხატვრული ფანტაზიით შექმნილი თხზულებები, რომლებშიც ასახულია მეფე-დიდებულთა სარაინდო და რომანული ცხოვრების ისტორიები და, ასევე, მეფეთა სახობლო ნაწარმოებები. ქართულ სინამდვილეში ამ შინაარსის ლიტერატურის არსებობა უკვე XI-XII საუკუნეებიდან დასტურდება. ამ მხრივ მეტად საინტერესო წყაროს წარმოადგენს XII საუკუნის ეპიკური ნაწარმოები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც დასახელებულია იმ ეპოქაში ცნობილი რომანები: ქართველი ავტორის, მოსე ხონელის მიერ შეთხზული საგმირო-საფალავნო თხზულება „ამირანდარეჯანიანი“, XI საუკუნის სპარსელი პოეტის, ფაზრ-ალ-დინ ასად გორგანის სამიჯნურო რომანის, „ვის ო რამინის“ ქართული თარგმანი „ვისრამიანი“, ქართველ ავტორთა თხზულებები – სარგის თმოგველის „დილარგეთიანი“ და იოანე შავთელის მეფეთა სახობლო „აბდულმესია“. ამ თხზულებებს ასახელებენ ქართული ისტორიული ქრონიკების ავტორებიც. მიუხედავად ამ სახის ცნობებისა, სარაინდო-სამიჯნურო, სახობლო თუ, ზოგადად, ფილოსოფიური და არათეოლოგიური შინაარსის ხელნაწერებმა მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების მიწურულიდან (XIV-XV საუკუნეებიდან) და ახალი დროიდან (XVI-XVIII საუკუნეები) მოაღწიეს ჩვენამდე. ესეც საგვებით გასაგები ფაქტია, ვინაიდან არასაეკლესიო დანიშნულების წიგნები უმეტესად პირადი კოლექციების საკუთრება უნდა ყოფილიყო. იმ რთულ ვითარებაში კი, რომელშიც ქართული სახელმწიფო არსებობდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, პირადი კოლექციების დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ზოგადად, ქართული კულტურა და კონკრეტულად წერილობითი ტრადიცია განსაკუთრებით 1220-1328 წლებში მონღოლთა გამანადგურებელი თავდასხმებისა და ბატონობის პერიოდში დაზარალდა. ასეთ ვითარებაში, როდესაც ქართველთა უპირველეს ამოცანას



ასტროლოგიური ტრაქტატი
1188-1210
მელანი, სადებავი,
ოქროს ფურცელი ქაღალდზე



მონღოლთა დევნიდან კვეყნისა და მოსახლეობის დაცვა წარმოადგენდა, ბუნებრივია, პირადი ბიბლიოთეკების შენარჩუნების არავითარი პირობები არ არსებობდა. ამდენად, ვასაკვირიც არაა, რომ საერო მხატვრული ლიტერატურის შემცველი ხელნაწერების შექმნისათვის ქართულმა სივრცემ მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში მოიცალა. სწორედ ამ პერიოდში გადაიწერა „ვეფხისტყაოსნისა“ და აღმოსავლური ეპოსის – „ვისრამიანის“, ფირდუსის „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანების მდიდრულად შემკული ხელნაწერები.

გარდა მხატვრული ლიტერატურული ძეგლებისა, ამავე პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო ე. წ. სამეცნიერო-შემეცნებითი შინაარსის ხელნაწერი წიგნების შექმნას. ითარგმნა და გადაიწერა ისტორიოგრაფიული, გეოგრაფიული და სამოგზაურო, სამედიცინო, ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული, ასტროლოგიურ-ასტრონომიული შინაარსის ხელნაწერები, მათემატიკის, ქიმიისა და არტილერიის სახელმძღვანელოები, სახელმწიფო სამართლის ძეგლთა კრებულები. მართალია, სამედიცინო და ასტროლოგიური შინაარსის ტექსტები ადრეულ კრებულებშიც გვხვდება, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში შექმნილმა ამ ქართულმა ხელნაწერებმა გააერთიანა როგორც აღმოსავლური, სპარსულ-არაბული, ისე ევროპული, ლათინურენოვანი სამყაროდან მიღებული ცოდნა. ლათინურ ტექსტებს კი ქართული სივრცე გაეცნო როგორც უშუალოდ კათოლიკე მისიონერთა მიერ საქართველოში ჩამოტანილი წიგნების, ისე ევროპული ლიტერატურის რუსული თარგმანების მეშვეობით.



შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“

260 ფ.; სპარსული ქაღალდი; 370x240 მმ.; სათაურებისა და სტროფთა დასაწყისები შავი და ოქროს მელანი. H-2074; 1590-1600 წწ.

ეს ხელნაწერი ცნობილია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ავალიშვილისეული ნუსხა; იგი შეიცავს პოემის ვრცელ რედაქციას. გასული საუკუნის დასაწყისში გამოითქვა მოსაზრება, რომ ხელნაწერი გადაწერილი იყო ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, იოანე ავალიშვილის მიერ. გადაწერის თარიღად 1590-1600 წწ. დასახელდა, რაც დადასტურდა 2005 წელს, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ გამამწერი იოანე იდენტიფიცირდა, როგორც თეიმურაზ კახთ-ბატონის მიერ 1612 წელს მუდღლის, ანას გარდაცვალების გამო ალავერდის ტაძრისადმი მიცემული წყალობის წიგნის დამწერი.

ხელნაწერი იშვიათი კალიგრაფიული მხედრულითაა გადაწერილი, ხოლო ფურცლის არშიები გამორჩეული მხატვრული დეკორით არის გაფორმებული, რომელიც არ მეორდება. ხელნაწერის მხატვრულ გაფორმებაში თვალნათლად ვლინდება ირანული მინიატურული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები. იმ დროისთვის გავრცელებული ირანული სქემები გადმოცემულია ზუსტი ანალოგიით; მუქ ლურჯ, მუქ მწვანე, მეწამულ, ფირუზისფერ, ყვითელ და მარმარილოს ფონზე ოქრომელნით ნახატი რთული ორნამენტული კომპოზიციები და ცალკეული ფიგურატიული



გამოსახულებები ფერადხაზოვან ჩარჩოში ჩასმულ ტექსტებს შემოწერს. ამ არშიების თავისებურება იმაში ვლინდებოდა, რომ ისინი დამოუკიდებლად მზადდებოდა და ტექსტს შემდეგ ეკვროდა. არშიების ამ მხატვრობის შესრულებაში რამდენიმე მხატვრის ხელი ჩანს.

ფერადოვანი არშიების რეპერტუარი საკმაოდ ფართოა: ძირითადი თემა ბადია, სადაც უამრავი რეალური თუ ფანტასტიკური ცხოველი და ფრინველი ბინადრობს. მეხვედრებს, ლხინის სცენებს, მუსიკოსებს თუ ბადში მოსავლის აღების სცენებს ნადირობისა და ყოფითი თემები ენაცვლება. საინტერესოა ისიც, რომ ამ სცენებში ტექსტისვე ხელით, მხედრულით ჩაწერილი სახელები ჩანს: თინათინ, ტარიელ და სხვ. ხელნაწერის ამგვარი ბორღიურები გვხვდება XVI საუკუნის სპარსული წიგნის მხატვრობაშიც. ხელნაწერში მხოლოდ სამი მინიატურაა ჩართული: 1. როსტევან მეფის მიერ ავთანდილისა და სოგრატის ხმობა და თინათინის გამეფება; 2. ჭაშნაგირის მოკვლა; 3. ფრიდონის მიერ ავთანდილის დატირება. რა პრინციპით შეარჩევს მინიატურები ხელნაწერისათვის, გაუგებარია. მინიატურებიც წმინდა ირანული შემოქმედების ნიმუშებია.

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“

267 ფ.; ქალაქი; 270×190 მმ.; მხედრული; შავი მელანი, წითელი მელანი, სათურებისა და სტროფთა დასაწყისები წითელი მელნით. H-599; 1646 წ.

ეს ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე მოღწეულ სრულ ტექსტებს შორის უძველესია. ცნობილია, როგორც თავაქალაშვილისეული ნუსხა. გადაწერილია 1646 წელს ოდიშის სამთავროში (სამეგრელო). მისი გადაწერია იმერეთის მეფის მდივან-მწიგნობარი მამუკა თავაქალაშვილი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ გადაწერა ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის (1591-1657 წწ.) კარზე ტყვედ ყოფნის დროს ოდიშის მთავრის დაკვეთითა და ფინანსური უზრუნველყოფით. ხელნაწერი შემკულია 39 მინიატურით. გამოყენებულია წითელი, ლურჯი, მწვანე პასტელური საღებავები და ოქრომელანი. ორ რეგისტრად განაწილებულ პირველ მინიატურაზე ზედა რეგისტრში გამოსახულია სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი ოჯახითურთ, ქვედა რეგისტრში კი – შოთა რუსთაველი და მის წინ მჯდომი გადაწერი მამუკა თავაქალაშვილი. დანარჩენი მინიატურები ტექსტის სხვადასხვა ეპიზოდის ილუსტრაციას ემსახურება. მხატვრობა შესრულებულია გვიანი შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის სტილში.









**შოთა რუსთაველი
„ვეფხისტყაოსანი“**

263 ფ.; თხელი აღმოსავლური ქაღალდი; 445x300 მმ.;
მხედრული; შავი მელანი, სათურებისა და სტროფების
დასაწყისები წითელი მელნით.
H-54; 1680 წ.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ერთ-ერთი გამორჩეული ხელნაწერი ცნობილია, როგორც ბეგთაბეგისეული ნუსხა. ქართლის მეფე გიორგი XI-ის დაკვეთით წიგნი 1680 წელს გადაწერა მეფის მდივანმა, ცნობილმა კალიგრაფმა და, ამასთანავე, პოეტმა ბეგთაბეგ ავთანდილის ძე მარტიროზაშვილმა. ხელნაწერი მეფის პირადი ბიბლიოთეკისათვის გადაიწერა და, შესაბამისად, საგანგებოდ შეიმკო კიდეც. ტექსტის ბოლოს გადამწერი ურთავს ვრცელ ანდერძს, რომელშიც დაწვრილებით აღწერს გიორგი XI-ის, როგორც ეროვნული მოღვაწისა და ქვეყნის მფარველის, თვისებებს და აღნიშნავს, რომ მეფემ დიდძალი განძი გაიღო აღნიშნული წიგნის გადაწერისათვის. ხელნაწერში ჩართულია, ასევე, ბეგთაბეგის მიერ გიორგი XI-ის ლექსად თქმული ხოტბა. მოგვიანებით, 1893 წელს წიგნისთვის დართული მიწაწერიდან ვიგებთ, რომ საქართველოდან მოსკოვში წაღებული ეს ნუსხა 1891 წელს შეიძინა და კვლავ ქვეყანაში დააბრუნა ერეკლე II-ის სახლთუხუცესმა და ამილახვარმა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა. წიგნი ჩოლოყაშვილთა საგვარეულო საკუთრებას წარმოადგენდა. 1909 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ეს ხელნაწერი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდისათვის ჩოლოყაშვილთა ოჯახისგან შეისყიდა.


„ვეფხისტყაოსანი“ გადაწერილია წერის მაღალი ტექნიკის გამოყენებით, საწერი გვერდი ისეა ორგანიზებული, რომ მოჩარჩოვებული ტექსტი განთავსდეს ფურცლის შუაში. ტექსტის გამოკვეთას ხელს უწყობს ოქრომელნით შესრულებული დეკორირებული არშიების კონტრასტული შეფერილობა. ყოველი გვერდის მხატვრული იერი იქმნება მცენარეული და ცხოველთა გამოსახულებებიანი დეკორით. არც ერთი გვერდის კომპოზიცია არ მეორდება. ხელნაწერის შემამკობელი უცნობია.

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“

289 ფ.; ქალაქი; 330x220 მმ.; მხედრული; შავი მელანი, სათურები და სტროფების დასაწყისები წითელი მელნით. S-5006; XVIII ს.

ცნობილია, როგორც წერეთლისეული ნუსხა. გადაწერს ჰომეროს ცენტრალური ამბავი გადაწერილი აქვს ვახტანგ VI-ის მიერ დადგენილი და გამოცემული ტექსტიდან. ჰომეროს ძირითად ტექსტს ერთვის გაგრძელებები. დაშლილი და ყდამოცვეთილი წიგნი განაახლეს იმერეთის მეფე სოლომონ I-ის (1735-1784) ინიციატივით. ხელნაწერი სოლომონ მეფის ასულის, დარეჯანის სამზითვო წიგნი იყო და ინახებოდა მისი ვაჟის, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1819 წლის იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის, ივანე აბაშიძის ოჯახში. რუსეთის მიერ აჯანყების ჩახშობისა და მისი მეთაურების – ივანე აბაშიძისა და ქაიხოსრო ფრიელის ოსმალეთში გადახვეწის შემდგომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სამზითვო წიგნი, ინახებოდა გურიელის ქალიშვილის, პელაგიასა და მისი მეუღლის, ნესტორ წერეთლის ოჯახში. სწორედ წერეთლებმა წაიღეს „ვეფხისტყაოსანი“ ყდის რესტავრაციის მიზნით თბილისში, მაგრამ წიგნი დარჩათ ეტლში. მკვლევრმა „ვეფხისტყაოსანი“ მიუტანა ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელს, ცნობილ მეცენატს, დავით სარაჯიშვილს, რომლის მეშვეობითაც ექვთიმე თაყაიშვილმა ხელნაწერი შეიტანა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ხელნაწერი შექმნილია 87 მინიატურით, რომლებიც შესრულებულია ორი მხატვრის მიერ. ერთი მათგანი განიცდის ირანული ისპაჰანური სამინიატურო სკოლის გავლენას. ხელნაწერის რთული თავგადასავალი მის მხატვრულ გაფორმებასაც შეეხო. XIX საუკუნის დასასრულს, ძველი მფლობელების მიერ წიგნის ბიბლიოთეკიდან დროებითი გატანის დროს, წიგნიდან ამოჭრეს და გაყიდეს ათი მხატვრული კომპოზიცია. მინიატურები პარიზში ნახა ცნობილმა ბრიტანელმა დიპლომატმა ოლივერ უორდროპმა, რომელმაც აცნობა ადნიშნული ფაქტი ექვთიმე თაყაიშვილს. ათივე მინიატურა დაუბრუნდა ხელნაწერს. ამჟამად ხელნაწერის მხატვრული გაფორმება სრულადაა დაცული.







იოსებზილიხანიანი


120 ფ.; ქაღალდი; 215x155 მმ.; მხედრული; შავი მელანი, წითელი მელანი; სათაურები და სტროფების დასაწყისები წითელი მელნით. S-1283; XVII ს.

„იოსებზილიხანიანის“ ქართული ტექსტი XI საუკუნის ცნობილი სპარსი პოეტის, აბდ-ალ-რაჰმან ჯამის პოემის „იუსუფ ო ზელიხას“ თარგმანს წარმოადგენს. ანონიმი მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი XVII საუკუნით თარიღდება. ხელნაწერში მინიატურები სხვა, დღეისათვის უცნობი ნუსხიდანაა გადმოტანილი. მინიატურის კიდეები ჩამოუჭრიათ და ისე ჩაუკრავთ ამ ხელნაწერში. გასული საუკუნის 60-იან წლებში ქაღალდზე დაკრული მინიატურების უკანა მხარეს გამოვლინდა თხზულების ტექსტი, რომელიც „იოსებზილიხანიანის“ ამავე რედაქციის განსხვავებულ ვერსიას წარმოადგებდა. ახლად გამოვლენილი ტექსტი XVI საუკუნის ბოლოთი და XVII საუკუნის დასაწყისით დათარიღეს. სავარაუდოდ, ამავე პერიოდისაა მინიატურებიც.

ხელნაწერში თორმეტი მინიატურაა ჩართული, რომლებიც თანამიმდევრულად მიჰყვება შინაარსს

და პოემის ძირითად, საკვანძო ეპიზოდებს ასახავს. მხატვარი, რომელიც, სავარაუდოდ, ქართველი უნდა იყოს, განიცდის იმ დროისათვის ძალუმაღ შემოჭრილი ირანული მხატვრული ტრადიციების გავლენას. ფაქტურა, სამოსი, პეიზაჟისა და ინტერიერის დამუშავება ამის ნათელი დასტურია. დაგრძელებული, დახვეწილი ფიგურები საოცარი სინატიფით გამოირჩევიან. მოქნილი და დენადი ხაზი განსაკუთრებული სინარნარით ხასიათდება. თავისებური კოლორიტი – ინტენსიური ნარინჯისფერი, იასამნისფერის სხვადასხვა ტონალობა, ცისფერი, დამჯდარი მომწვანო ფერი და სხვ. ერთგვარად განსხვავდება თანადროული ირანული მინიატურების თამამი ფერადოვანი პალიტრისაგან და ქართულ მინიატურებს განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს. „იოსებზილიხანიანის“ მინიატურები, ერთი მეხედვით, შირაზული სკოლის მხატვრულ ტრადიციასაც ავლენს, თუმცა მათში უფრო ძლიერად ისფაჰანური სკოლის საწყისი ეტაპის თავისებურებები ირეკლება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული თვალსაზრისით, „იოსებზილიხანიანის“ მინიატურები ირანული გავლენის მქონე ქართული საერო მინიატურებიდან საუკეთესოა.







როსტომიანი

487 ფ.; ქაღალდი; 395×255 მმ.; მხედრული; შავი მელანი, სათაურებისა და სტროფების დასაწყისები წითელი მელნით. S-1580; XVII ს.

ხელნაწერი შეიცავს X-XI საუკუნეების დიდი სპარსელი პოეტის, ფირდოუსის „შაჰნამეს“ ქართულ პოეტურ ვერსიას. გალექსილია ხოსრო თურმანიძის მიერ. გადაწერილია XVII ს-ში მხედრულით, კალიგრაფიული ხელით, აქვს თავკაზმულობა, ქაღალდის ზოგი ფურცელი ჭვირნიშნინია. შემკულია მინიატურებით.



**„ქართლის ცხოვრება“
(მარია დედოფლისეული)**

470 ფ.; ქაღალდი; 325×230 მმ.; მხედრული; შავი მელანი, სათაურები და საზედაო ასოები წითელი მელნით. S-30; 1633-1646 წწ.

ხელნაწერი შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით გაერთიანებული უძველესი ისტორიული ქრონიკების ყველაზე ადრეულ ვერსიას. კრებული აერთიანებს ეფრემ ასურის ავტორობით ცნობილ „ცისა და ქუეყნის დაბადების“ აპოკრიფსა და VIII-XIV საუკუნეების ქართველ ავტორთა – ლეონტი მროველის, ჯუანშერის, დავითის ისტორიკოსის, სუმბატ დავითის ძის, თამარის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის – ისტორიულ ქრონიკებს. კრებული გადაწერილია ქართლის დედოფლის, მარიამის დაკვეთით 1633-1646 წლებში. ხელნაწერს ჰყავს რამდენიმე გადაწერი. წიგნი ბატონიშვილობის პერიოდში ხელთ ჰქონია მემდგომში ქართლის გამგებელსა და მეფეს, ვახტანგ VI-ს.



წიგნი ვახტანგ VI-ის საკუთრება იყო. ერეკლე II-ის მეუღლის, დარეჯან დედოფლის პეტერბურგში გადასახლების შემდგომ წიგნი მოსკოვში გადაეცა ერეკლე II-ის შვილიშვილის, თეკლა ბატონიშვილის ვაჟს, ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანს.



სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“

03+242 ფ.; ქაღალდი; 220x165 მმ.; მხედრული; შავი მელანი, თავკიდური ასოები – წითელი მელნით. S-4748; 1730 წ.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სრული ვერსია, გადაწერილია ანჩისხატის კალიგრაფული სკოლის წარმომადგენლის, დეკანოზ ალექსი მესხიშვილის მიერ. ხელნაწერი შემკულია წითლით შესრულებული დეკორირებული საზედაო ასოებით. დასტურდება სულხან-საბა ორბელიანისა და ჯვრის გამოსახულებები.



სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“

305 ფ.; ქაღალდი; 385x300 მმ.; მხედრული; შავი მელანი. H-1658; 1715-1716 წწ.

პირველი ვრცელი ლექსიკოგრაფიული შრომა, რომელშიც მოცემულია არა მხოლოდ ქართულ ენაში არსებულ სიტყვათა განმარტებები, არამედ ჩამოთვლილი და ახსნილია განსამარტავი საგნისა თუ მოვლენის სახეობრივი სხვაობები, უცხო ენიდან შემოსულ სიტყვათა განმარტებები, მათი სხვაენოვანი (ლათინური, ბერძნული, სომხური) შესატყვისები. ლექსიკონში, ასევე, ჩართულია ნახაზები და სქემები. ქართული ლექსიკონის ეს ხელნაწერი სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფია. გადაწერილია კონსტანტინოპოლში 1715-1716 წწ-ში, ავტორის ევროპაში – საფრანგეთის სამეფო კარსა და რომის პაპთან დიპლომატიური მისიის დასრულების შემდგომ. ხელნა-

წერი თავნაკლულია, დაკარგულია ქართული ანბანის თავისებურების, ახალგაზრდებისათვის ლექსიკონის მნიშვნელობისა და განსამარტავ სიტყვებთან დართულ პირობით ნიშანთა განმარტებები. დასასრულს იკითხება სულხან-საბა ორბელიანის ანდერძი, რომელშიც საუბარია ლექსიკონის შექმნის მიზნებსა და პირობებზე, ასევე, ევროპაში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებზე. სულხან-საბას ლექსიკონი, რომელიც ცნობილია, როგორც „სიტყვის კონა“, რჩება ფუნდამენტურ ნაშრომად ქართულ ლექსიკოგრაფიაში, რომელიც დღესაც აქტუალურია ქართული ენის სტანდარტიზაციასა და შენარჩუნებაში შეტანილი წვლილისთვის.





„ვისრამიანი“

274 ფ.; ქაღალდი; 290x200 მმ.; მხედრული; შავი და წითელი მელანი. S-3702; 1729 წ.

ფაზრ ად-დინ-ე ას'ად გორგანის (ქართულ თარგმანში ფაზფურ ჯორჯანელი) თხზულება „ვისრამიანი“ (ვის ო რამინ) XI საუკუნის შუა ხანებში შექმნილი სპარსული პოეზიის კლასიკური პერიოდის სამიჯნურო ხასიათის ძეგლის ქართული თარგმანია და სპარსულ კულტურულ გარემოში განვითარებულ ისტორიას აღწერს. მნიშვნელოვანია, რომ სპარსული ორიგინალი ლექსადაა დაწერილი, ხოლო ქართული თარგმანი პროზაულია. მიჩნეულია, რომ ქართველმა მთარგმნელმა სპარსული ორიგინალის ზუსტად გადმოღებისას შეძლო მისი ამადლება მშობლიური ლიტერატურის უბრწყინვალეს ძეგლამდე. ხელნაწერი 1729 წლითაა დათარიღებული, სავარაუდოდ, იმავე ხანისაა მასში ჩართული ილუსტრაციებიც. ტექსტი გაფორმებულია 45 მინიატურით, აქედან ბოლო 20 დაუსრულებელია.

მნიშვნელოვანია, რომ „ვისრამიანის“ მინიატურები ინტენსიურად ასურათებს სასახლის კარის ცხოვრებას. ესენია: შეხვედრები სამეფო კარზე, ნადიმები და ნადირობის სცენები თუ სამიჯნურო ეპიზოდები. მხატვარი ლაკონურად, საკმაოდ თავშეკავებული



ფერადოვანი პალიტრით, რომელიც აქა-იქ მჟღერი ტონებითაა აქცენტირებული, ცდილობს მხატვრული სახეების შექმნას. ის პირობითი-დეკორაციული სქემის ფარგლებში ახერხებს მარტივი კომპოზიციების გამლას; სცენები არ არის გადატვირთული ფიგურებითა და დეტალებით; ფიგურები ერგვაროვანი ხასიათითა და მსგავსი ზომებით ხასიათდებიან. ნახატი თავისუფალია, ხაზი თამამი, რაც მეტ დინამიკასა და გამომსახველობას ანიჭებს სცენებს. თვალმისაცემია, რომ მხატვარი, სავარაუდოდ, იცნობს წინა პერიოდის ირანული გავლენით შესრულებულ ქართულ საერო მინიატურულ მხატვრობას და ცალკეულ დეტალებს სესხულობს იქიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანის“ პირველი მინიატურა, სადაც წარმოდგენილი არიან შემკვეთი იბდალ მალიქ ვეზირი და ფაზფურ ჯორჯანელი, მოგვაგონებს სცენას თავაქალაშვილისეული „ვეფხისტყაოსნიდან“ (H-599) ლევან დადიანის, მამუკა თავაქალაშვილისა და შოთა რუსთაველის ფიგურებით.

ზოგადად, „ვისრამიანის“ მინიატურები საკმაოდ გამომსახველია. ჩანს, რომ მხატვარი კარგად იცნობდა ტექსტს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიუჟეტები მისი ცოცხალი დაკვირვების შედეგადაა შექმნილი. მიჩნეულია, რომ მინიატურებს შენარჩუნებული აქვს ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებზე დაფუძნებული მხატვრული თავისებურებები.





ზიჯი ანუ ვარსკვლავთა კატალოგი

313 ფ.; ქაღალდი; 305x210 მმ.; მხედრული; შავი და წითელი მელანი. S-161; 1735-1737 წწ.

ასტრონომიული შინაარსის ხელნაწერი. შეიცავს XV საუკუნის ასტრონომიული ცოდნის ყველაზე სრულყოფილ წიგნს – ზიჯის, ანუ ვარსკვლავთა კატალოგს, რომელიც შეადგინა თემურიდების დინასტიის მმართველმა, მათემატიკოსმა, ისტორიკოსმა და ასტრონომმა, თემურლენგის შვილიშვილმა მუჰამად თარაღაი ულუდ ბეგმა (1394-1447 წწ.). კატალოგი ეყრდნობა ულუდ ბეგის მიერ სამარყანდში დაარსებულ

ობსერვატორიაში ჩატარებულ დაკვირვებებს, ალექსანდრიელი ასტრონომის, პტოლემეს „ალმაგესტსა“ და XII საუკუნის ირანელი ასტრონომის, აბდურაჰმან ალ სუფის შრომებს. ზიჯი აერთიანებს ცნობებს 1018 ვარსკვლავისა და 38 თანავარსკვლავედის შესახებ, მოცემულია ვარსკვლავთა კოორდინატები და სიდიდეები. ზიჯის სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ვახტანგ VI-ის მიერ. ქართული თარგმანი შედგება ულუდ ბეგის შესავლისა და ხუთი კარისგან; დართული აქვს ცხრილები და ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ასტრონომიულ ტერმინთა დიდი და მცირე ლექსიკონები, მთარგმნელის ანდერძი. ეს ხელნაწერი XVII-XVIII საუკუნეებში საბუნებისმეტყველო ცოდნის დაუფლების პროგრამის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია.



ვახუშტი ბაგრატიონი, მსოფლიო გეოგრაფია

175 ფ.; ქაღალდი; 210x165 მმ.; მხედრული; შავი მელანი, განსხვავებული ზომის რუკები. A-717; 1735 წ.

ხელნაწერი წარმოგვიდგენს მსოფლიოს მოკლე გეოგრაფიას 27 რუკის თანხლებით, რომლებზეც ასახულია მსოფლიოს იმ დროს ცნობილი ყველა ქვეყანა. ნაშრომი რუსულიდან ითარგმნა მოსკოვში, ქართლის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრთა რუსეთში იძულებითი დასახლების პირობებში. მთარგმნელი არის თავისი ეპოქის ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757), ვახტანგ VI-ის ძე. ხელნაწერი ავტოგრაფულია. თარგმანის არმეობზე დართულია უცხო ტერმინთა ვახუშტისეული განმარტებები და შენიშვნები. გეოგ-

რაფიას წინ უძღვის შესავალი, რომელშიც განმარტებულია წიგნის დანიშნულება და თარგმნის მიზნები. წიგნი დაყოფილია თავებად და ქვეთავებად. ქვეყნების გეოგრაფიულ აღწერამდე მოცემულია ოთხი მატერიკის – ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის შესახებ ცნობები. ქვეყნების აღწერას ახლავს ნახევარსფეროების, ევროპის, ესპანეთისა და პორტუგალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, შვეიცარიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ჰოლმბერგის, ნორვეგიის, შვედეთისა და დანიის, პოლონეთისა და პრუსიის, უნგრეთისა და საბერძნეთის, აზიის, თურქეთის აზიური ნაწილის, სპარსეთისა და ბალხი-ბუხარის, ინდოეთისა და „მოღოლთა სამფლობლოს“, დიდი მონღოლეთისა და ჩინეთის სამეფოს, აფრიკის, ჩრდ. ამერიკის ანუ ახალი ქვეყნის, სამხრეთ ამერიკის, რუსეთის რუკები.

დავით გურამიშვილი, დავითიანო


155 ფ.; ქალაქი; 325×195 მმ.; მხედრული; ყავისფერი მელანი.
S-1598; 1787 წ.

ეს ხელნაწერი არის ცნობილი ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის (1705–1792) ავტოგრაფი, დაწერილი 1787 წელს, როდესაც ის ცხოვრობდა უკრაინაში, სადაც გაატარა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი. ხელნაწერი, ცნობილი როგორც „დავითიანი“, არის ავტობიოგრაფიული პოეზიის წიგნი, რომელიც მოგვითხრობს ავტორის უცხოეთში მსახურების წლების შესახებ. „დავითიანს“ ერთვის სარწყავისა და წისქვილის გეგმა ავტორისეული განმარტებით წისქვილის მონახვისა და მალოროსიაში (ამჟამად უკრაინა) წყლების ღინების თავისებურებათა შესახებ. დავით გურამიშვილის განმარტებით, წისქვილის ეს გეგმა მის მიერ არის შედგენილი. ხელნაწერში დასტურდება დავითის ავტოპორტრეტიც. მისივე მინაწერით, მან ეს წიგნი გადასცა რუსეთში მყოფ ერეკლე II-ის ძეს, მირიან ბატონიშვილს, რომელმაც წიგნი საქართველოში ჩამოიტანა. ხელნაწერი დაწერილია უკრაინაში.



გიორგი ავალიშვილი, მგზავრობად თბილისით იერუსალიმისადმი

201 ფ.; ქაღალდი; 300x240 მმ.;
მხედრული; შავი მელანი.
S-450; XIX ს.



ქართველი მწერლის, პოლიტიკური მოღვაწისა და მოგზაურის, გიორგი ავალიშვილის (1769-1850 წწ.) მიერ წმინდა მიწაზე მოგზაურობისა და იქ არსებულ სიძველეთა აღწერილობა. ხელნაწერის მიხედვით, მოგზაურობის მარშრუტი შემდგომი იყო: თბილისი – დასავლეთ საქართველო – ყირიმი – კონსტანტინოპოლი – ალექსანდრია – კაირო – იერუსალიმი – კვიპროსი – თარსუსი – კაისერი – არზრუმი – ყარსი – შულავერი – თბილისი. გიორგი ავალიშვილის ეს შრომა, გარდა წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისა, ქართული გეოგრაფიული აზროვნების მნიშვნელოვანი ძეგლია. ხელნაწერი ავტოგრაფულია. ტექსტთან ერთად მასში წარმოდგენილია რუკა (30r), სურათები (42r, 44v, 50r, 85r, 93r) და გეგმები (56r, 143r). განხილულია ეგვიპტისა და თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, არაბთა და თურქთა ყოფა, ასევე, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ასახულია ეგვიპტეში მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობა. ნაშრომს უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც განმარტებულია მოგზაურობაში გამგზავრების მიზნები და პირობები. ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია მასში დასახელებული ქალაქების, დაბებისა და სოფლების, მდინარეების, ზღვებისა და სხვა გეოგრაფიულ ადგილთა საძიებელი.

ავგაროზი

ქაღალდი; 350x230 მმ.;
ბოდჩის ზომა 60x70 მმ.
Q-283; XIX ს.



სენთა და ბოროტ ძალთაგან დამცავი თილისმა გადაწერილია ერთმანეთთან დაკავშირებული მრგვალად გამოჭრილი ქაღალდის 24 ნაჭურზე. პირველ ორ მრგვალ ფურცელზე გამოსახულია იესო ქრისტე. ამ ტიპის ხელნაწერებს ეწოდებოდა „ავგაროზები“. სახელწოდება მომდინარეობს ადრექრისტიანულ სირიულ მწერლობაში გავრცელებული თქმულებიდან ედესის მეფე ავგაროზის შესახებ, რომელიც იესო ქრისტეს რწმენისა და წერილის საფუძველზე განიკურნა კეთრისგან. ლეგენდის საფუძველზე, XI საუკუნეში ბიზანტიურ მწერლობაში ჩამოყალიბდა აპოკრიფი „ავგაროზის ეპისტოლე“ (Epistula Abgari), რომელიც თავდაპირველად შევიდა საღვთიმსახურო კრებულებისა და სახარებების შემადგენლობაში. XIV-XIX საუკუნეებში ტექსტი გაერთიანდა სამკურნალო ლოცვების წიგნებში, მოგვიანებით კი, გავრცელდა დამოუკიდებლად ამულეტის ფუნქციით. „ავგაროზი“ სენთა და ბოროტ ძალთაგან დამცავი სხვადასხვა შინაარსის ტექსტის ზოგად სახელწოდებად იქცა.




ხელნაწერი მოთავსებულია მოქარგულ აბრეშუმგამოკრულ ბოდჩაში, რომელიც ქართული ნაქარგობის საინტერესო ნიმუშია.

Handwritten text in Georgian script, likely from a manuscript, showing several lines of text in a traditional script.




Handwritten text in Georgian script, showing several lines of text in a traditional script.

დოკუმენტები



Handwritten text in Georgian script, showing several lines of text in a traditional script.




თაზო VII

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ისტორიული საბუთების მდიდარი კოლექცია. მათი უაღრესი ნიმუშები მოღწეულია XI საუკუნიდან, თუმცა წერილობითი საბუთების პრაქტიკაში გამოყენების ტრადიცია საქართველოში, თუ უფრო ადრე არა, VI საუკუნიდან მაინც არის დამოწმებული. განსაკუთრებულია ისტორიული საბუთების, როგორც საისტორიო წყაროს, სანდოობის ხარისხი, რამდენადაც ისინი დოკუმენტური სიზუსტით ასახავენ თანადროულ ფაქტებსა თუ მოვლენებს.

სახელმწიფოებრივი წესრიგის ხანგრძლივმა გამოცდილებამ საქართველოში წარმოშვა საქმისწარმოების შესაბამისი სისტემა, რომელიც აისახა ჩვენს დრომდე მოღწეულ ისტორიულ საბუთთა ნაირგვარობაში. საბუთები უპირველესად იქმნებოდა სამეფო კარზე, სადაც მოქმედებდა სამეფო მწიგნობართა საგანგებო უწყება. აქ ფორმდებოდა სამეფო ბრძანებები და განკარგულებები, სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის, სამეფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მოხელეების უფლება-მოვალეობათა დამარეგულირებელი საბუთები, მეფის სასამართლოზე გარჩეული საქმეები. გარდა სამეფო კარისა, საბუთები იწერებოდა ასევე საკათალიკოსო რეზიდენციებსა და ადმინისტრაციული ოლქების დიდმოხელეთა კანცელარიებში.

საბუთებს ადგენდნენ იურიდიული განსწავლულობის პირები, მწიგნობრები და მწერლები, რომლებიც უპირატესად სახულიერო წოდებას მიეკუთვნებოდნენ. საქართველოს ერთიანი მონარქიის ფარგლებში გაერთიანებამდე მწიგნობართა ინსტიტუტი მოქმედებდა აფხაზთა სამეფოში, ტაო-კლარჯეთისა და ქართლის სამთავროებში. X საუკუნეში დავით კურაპალატის კარზე არსებობდა „მწერალთა ზედა მთავრის“ თანამდებობა, რომელიც XI საუკუნეში მწიგნობართუხუცესმა ჩაანაცვლა. მწიგნობართუხუცესი ხელმძღვანელობდა მეფის სამდივნოს, სადაც მწიგნობრები ყოველდღიურად იღებდნენ განსაზღვრული რაოდენობის ეტრატის ფურცლებს, რათა ჩაეწერათ მეფის ბრძანებები და განკარგულებები. მწიგნობრები შესაბამისი ფორმულარითა და ტერმინოლოგიით ადგენდნენ



სხვადასხვა დანიშნულების საბუთებს, რომელთა ერთი ეგზემპლარი რჩებოდა სამეფო არქივში, მეორეს აძლევდნენ ადრესატს.

გამორჩეული იყო მწიგნობართა მხედრული ხელწერა, რომელსაც ისინი საგანგებოდ ეუფლებოდნენ. საბუთები იწერებოდა სპეციალურად შერჩეული სივანისა და სივრძის ეტრატზე ან ქაღალდზე, რომლებსაც ხელთვეებითა და ბეჭდებით ამტკიცებდნენ უფლებამოსილი პირები. საბოლოოდ, საბუთებს გრაგნილისებურად ახვევდნენ და საგანგებო სათავსოში ამ სახით ინახავდნენ.

ისტორიულ საბუთებს შორის გვხვდება საეკლესიო შეწირულებისა და საერო ფეოდალთათვის ბოძებული წყალობის სიგელები, მოსახლეობისა და სამხედრო ვალდებულთა სტატისტიკური აღწერის დავთრები, საგადასახადო ნუსხები, კერძო პირთა ანდერძები, ყიდვა-გაყიდვის გარიგებები, სესხის, გირაოს ხელშეკრულებები და მრავალი სხვა.


ისტორიული საბუთები პირველწყარა ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის, მეფეთა ძალაუფლების ფენომენის, სოციალური სტრუქტურის, სამხედრო ორგანიზაციის, არისტოკრატიულ საგვარეულოთა ისტორიების, გენეალოგიისა და ქრონოლოგიის საკითხების გასაშუქებლად. განუზომელია მათი მნიშვნელობა ისტორიული ონომასტიკონისა და მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის შესასწავლად.



ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის სიგელი

ეტრატი; 1210x200 მმ.; მხედრული; შავი მელანი; მოხატულობაში გამოყენებულია მწვანე, ლურჯი, წითელი მელანი. Qd-7118; 1460 წ.


ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.; კახეთის მეფე 1466-1476 წწ.) მიერ ერისთავ შალვა ლარგველის შუამდგომლობით მღვდელ გიორგი ჟურულისათვის მიცემული სასისხლო სიგელი. სიგელი მოხატულია, პირველ კეფზე საყდარზე დაბრძანებული მაცხოვარი მაკურთხეველი მარჯვნივ, მეორე კეფზე კი ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი VIII-ის გამოსახულებაა. საბუთის დამწერია კარის მწიგნობარი და ჯვარისმტვირთელი გაბრიელ ჯორაშვილი.



კახთა მეფე ალექსანდრე II-ის ლოკუმენტი

ქაღალდი; 2850x250 მმ.; მრგვალი მდივანმწიგნობრული მხედრული; შავი და ოქრო მელანი.
Hd-1377; 1597 წ.


1587 წელს გაცემული დოკუმენტი გარეჯას მეტოქე აკურის მონასტერში ქეთევანის წინამძღვრად დანიშვნის შესახებ. დოკუმენტის პირველი კავი შემუვლია აღმოსავლური (უნვანის ტიპის) თავსართით.



კათალიკოს ბასილ VI-ის წყალობის სიგელი

ქაღალდი; 95x165 მმ.; მხედრული; შავი მელანი. Qd-1604; 1524 წ.


1524 წლის დოკუმენტი წარმოადგენს მანგლისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრისათვის მიცემული მამულის წყალობის სიგელს. დოკუმენტს ახლავს კათალიკოსის ხელრთვა.



მეფე არჩილ II-ის (1647-1713 წწ.) შეწირულობის ნიშნი

ქაღალდი; 2080x280 მმ.; მხედრული; შავი მელანი. მოხატულობაში გამოყენებულია მწვანე, ლურჯი, ოქროსფერო, წითელი მელანი. Ad-1837; 1670 წ.

სვეტიცხოვლისათვის მტკვრის პირას მიცემული ალისა და მიწის შეწირულობის სააღაპე წიგნი. გაცემულია 1670 წლის 15 ივლისს. მხატვრობა პირველ კეფზე მცენარეული ორნამენტითაა შესრულებული. საფეხურიანი პოსტამენტის ორივე მხარეს გამოსახულნი არიან ქტიტორები – დომენტი კათალიკოზი და კახთა მეფე არჩილი.




შაჰნავაზ-ხანის ლოკუმენტი

ქაღალდი; 435x235 მმ.; მრგვალი მდივანმწიგნობრული მხედრული; შავი მელანი; მოხატულობაში გამოყენებულია წითელი, შავი და ოქროსფერი მელანი.
Hd-9457; 1712 წ.

ვახტანგ VI-ის ძის, ქართლის ტახტზე მმართველობის პერიოდში შაჰნავაზ-ხანის


სახელით ცნობილი ბაქარ ბატონიშვილისა და მისი ძმის, ბატონიშვილ გიორგის მიერ კარის დეკანოზ იესე ტლაშაძისათვის მიცემული სათარხნო წიგნი. გაცემულია 1712 წლის 6 აპრილს. დამწერი – კარის მდივანმწიგნობრის შვილი დავითი. საბუთის დასაწყისში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ახალგაზრდა გვირგვინოსანი მეფე, ვახტანგ VI-ის ძე, ბაქარი (1700-1750 წწ), მის გვერდით კი – სამეფო სამოსში ჩაცმული ყრმა, ბაქარის ძმა, გიორგი ბატონიშვილი.



ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ლოკუმენტი

აღმოსავლური ქაღალდი; 780x330 მმ.; მრგვალი მდივანმწიგნობრული მხედრული; შავი და ოქროს მელანი.
Qd-9357; 1715 წ.

1715 წლის 21 მარტს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ ოსიურელ ბეჟან გოგიბაშვილისათვის მიცემული სითარხნის (გადასახადებისაგან გათავისუფლების) წყალობის სიგელი. დამწერი: კარის დეკანოზი ეგნატის ძე მღვდელი იესე. ლოკუმენტი დაწერილია ისპაჰანში.







ივერეთის მეფე სოლომონ II-ის დოკუმენტი

ქაღალდი; 560x440 მმ.; სტილიზებული მხედრული; შავი მელანი; მოხატულობაში გამოყენებულია ყავისფერი, შავი, მწვანე, ღვინისფერი მელანი. Hd-1529; 1804 წ.

ჯრუჭის მონასტრისათვის 1804 წლის 27 მაისს მიცემული შეწირულობის სიგელი. საბუთის თავში მრავალფიგურიანი კომპოზიციაა უკიდურეს მარცხენა მხარეს წმ. გიორგის გამოსახულებით, წმინდანის წინ კი – სოლომონ II-ის ფიგურა. დოკუმენტის დამწერია დავით მხატვარი.



ხელნაწერი წიგნის ყდა



თაზო VIII

ხელნაწერი წიგნის კულტურულ-ისტორიული ღირებულების შეფასებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება წიგნის ყდას, ვინაიდან იგი ყველაზე ნაკლებ უძლებს დროს და საჭიროებს განახლებას. შესაბამისად, ადრეულ ხელნაწერებზე დართული გვიანდელი განახლებული ყდები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან როგორც ხელნაწერი მემკვიდრეობის მატერიალური თუ მხატვრულ-დეკორატიული ელემენტების ცვლილებისა და განვითარების, ისე ხელნაწერ წიგნთა მიმოქცევის შესახებ. რვეულებად აკინძული ყდაში ჩასმული ხელნაწერი წიგნი საქართველოში V საუკუნიდან ჩნდება. ამაზე მეტყველებს V-VIII საუკუნეებით დათარიღებული ხანმეტი პალიმფსესტები. მაგალითად, პალიმფსესტურ ხელნაწერში (ხეც A-89), რომელიც ხანმეტ სახარებას შეიცავს, ქვედა ფენაში შემორჩენილია რვეულებრივი აღრიცხვის კვალი.

დღეს ძალზე რთულია ამ უძველესი ყდების წარმოების ტექნოლოგიური პროცესებისა თუ მხატვრული თავისებურებების შესახებ საუბარი, ვინაიდან ადრეულმა, ისიც მხოლოდ IX-X სს-ის ყდებმა ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ერთეულის სახით მოაღწია, რომელთაგან ორი დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერ წიგნებზე – ადიშის სახარებასა და ადიშის იადგარზე, ხოლო დანარჩენი სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერებზე.

ხელნაწერების ხშირი გამოყენების გამო სავსებით ბუნებრივია, რომ ტყავის მასალით შექმნილი თავდაპირველი ყდები ცვდებოდა და საჭირო იყო ხელნაწერი წიგნის ხელახლა აკინძვა და ყდაში ჩასმა. იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით სარგებლობდნენ ამა თუ იმ წიგნით, ყდის ხელახალი წარმოების პროცესი ზოგჯერ ორჯერ ან სამჯერაც კი მეორდებოდა. შესაბამისად, იცვლებოდა და ეპოქის მოთხოვნებს პასუხობდა ყდის დეკორატიულ სისტემაში გამოყენებული ფორმები თუ კომპოზიციები.

IX-XVII საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ხელოსნურ ჯგუფებად გაერთიანებული მწიგნობარი ბერების გვერდით იღვწოდნენ „მმო-



სველები“, „მკაზველები“ და „შემკვრელები“. IX-XVI საუკუნეებში გადაწერილი წიგნების ხელახალი შეკვრისას ყდებზე გვხვდება ხელნაწერის ყდაში ჩასმის ადრეული ნიშნები, რაც აჩვენებს, რომ მიუხედავად წიგნის ყდების ევოლუციისა, მათი შექმნის ტექნიკა და იარაღები უცვლელი რჩება.

XVIII საუკუნიდან მკინძავთა ნაწილი ეკლესია-მონასტრებში დარჩა, ნაწილმა კი ვახტანგ VI-ის მიერ სიონისა და ანჩისხატის სამწიგნობრო ცენტრების მახლობლად საგანგებოდ აგებულ „სტამბის სახლების“ სახელსწრთო გადაინაცვლა. პირველ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ყდები აკინძვის პროცესისა და ყდის ზედაპირის გაფორმების თვალსაზრისით არ განსხვავდება იმავე პერიოდის ხელნაწერთა ყდებისაგან.

ჩვენამდე მოღწეული თითოეული ყდის, ყოველი დეტალისა თუ ორნამენტული ფრაგმენტის, ნუსხათა ანდერძ-მინაწერებში დაცული მნიშვნელოვანი ცნობების გათვალისწინებით შესაძლებელი

ბელი ხდება ყდის ისტორიის ქრონოლოგიური ეტაპების დადგენა: ადრეული ეტაპი (IX-XVI საუკუნეები), გარდამავალი (XVII საუკუნე) და გვიანდელი (XVIII-XIX საუკუნეები). თითოეულ ეტაპს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები.

ტყავის ყდის გვერდით ხელნაწერი წიგნის შექმნაში საერო არისტოკრატიისა და მაღალი იერარქიის მქონე სასულიერო პირების ჩართვის შემდგომ იქმნება ვერცხლის ჭედური ყდები. ამ ტიპის ყდები უკვე XI საუკუნიდან გვხვდება. ქართული ჭედური ყდის უნიკალური ნიმუშები შექმნეს XII საუკუნეში მოღვაწე ცნობილმა ოქრომჭედლებმა, ბეშქენ და ბექა ოპიზრებმა, რომლებიც გამოირჩევიან შესრულების მაღალი ტექნიკითა და მხატვრული კომპოზიციების შექმნის ოსტატობით. მოგვიანებით, XVIII-XIX საუკუნეებში, ქართული ფეოდალური არისტოკრატიის პირად საკუთრებაში არსებულ წიგნებზე გვხვდება ევროპული და აღმოსავლური წიგნისათვის დამახასიათებელი ყდების ნიმუშები.



ბერთის სახარება

ხელნაწერი თარიღდება XII საუკუნით, თანადროული ყდა; ყდის ოსტატი: ბეშქენ ოპიზარი. Q-906

მოოქრული ვერცხლის მოჭედილი ყდა; ზომა: 245x171 მმ. ყდა მოჭედილია ნახევრადვირფასი თვლებით. ყდაზე გამოსახულ კომპოზიციებს აქვს ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერები. ყდის ზედა ფრთის ცენტრში გამოსახულია ჯვარცმა ღვთისმშობლის, იოანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე. სცენას გარს უვლის ასომთავ-

რული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია იოვანე არხაიძე, მამა გიორგი და დეკანოზი მიქელ კვიციანიძე. ყდის ქვედა ფრთის ზედაპირზე არის „დეისუსის“ სცენა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის თანხლებით. აქ წარწერებში ხელნაწერის მომგებლები არიან მოხსენებული: ოქროპირი და მისი ვაჟი დემეტრე.



წყაროსთავის სახარება

ხელნაწერი თარიღდება 1195 წლით, ვერცხლის მოჭედილი ყდა – XII ს. ყდის ოსტატი: ბექა ოპიზარი. Q-907

ვერცხლის მოოქრული ყდა; ზომა: 250×162 მმ. ყდის ზედა ფრთის ცენტრში გამოსახულია ჯვარცმა ღვთისმშობლის, იოანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე; ქვედა ფრთაზე – ვედრების კომპოზიცია, ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის თანხლებით; ორნამენტულ გაფორმებასთან ერთად ერთ-ერთი მხატვრული ელემენტია მწყობრი ასომთავრული წარწერები. ყდა შემკულია ძვირფასი თვლებით; ყავისფერი ტყავის ყუა გაფორმებულია მცირე ზომის ვერცხლის დეკორატიული ფირფიტებით.



დემურბუღასის სახარება

ხელნაწერი თარიღდება XII საუკუნით; ყდა თანადროული, აღდგენილია ორგზის: XV-XVI და XVII-XVIII სს-ში. Q-241

შავი ფერის ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ზომა: 215×158 მმ. ყდის ზედა ფრთაზე გამოსახულია წნული ორნამენტისაგან შემდგარი არშია და აყვავებული ჯვარი. ყდა ადრეული ნიშნებით ხასიათდება. ყდის ოსტატია იასონი. ყდაზე შემორჩენილია როგორც ადრეული (XII ს., XV-XVI საუკუნეები), ისე გვიანდელი ფენები (XVII-XVIII საუკუნეები).



კალუსტინის სახარება

ხელნაწერი თარიღდება XI ს-ით, ზოლო ყდა – XIII-XIV სს-ით. H-1741

მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ხის ყდა; ზომა: 214×130 მმ. ყდის ქვედა ფრთაზე შემორჩენილია ვერცხლის მოჭედილობის ფრაგმენტები. სავარაუდოდ, გამოსახული იყო ვედრების კომპოზიცია. გამოყენებულია „გრეკაჟის“ ტექნიკა, რომელზედაც შეიმჩნევა წიგნის მეორადი აკინძვის კვალი.





სახარება

ხელნაწერი თარიღდება XII-XIII საუკუნეებით; ყდა: XIV-XV საუკუნეებით, რესტავრირებულია XVII-XVIII სს. A-516

ვერცხლით მოჭედილი ყდა. ზომა: 238×170 მმ. ზედა ფრთა გადატეხილია, ცენტრში სიუჟეტური გამოსახულება მთლიანად დაკარგულია, სავარაუდოდ, გამოსახული იყო აღდგომის კომპოზიცია. ქვედა ფრთაზე გვხვდება ჯვარცმა მარიამ ღვთისმშობლის,

იოანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე, ქართული და ბერძნული წარწერებით; ჭედურობის ქვეშ გვხვდება ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა. ხელნაწერს ერთვის გვიანდელი რესტავრატორის ანდერძი (9r-v).

ტბეთის სახარება

ხელნაწერი თარიღდება XII საუკუნით; ჭედური ყდის მომგებელი: იოვანე მტბევეარი საფარელი; ყდის ოსტატი: სავარაუდოდ, ბექა ოპიზარი. XVIII ს. 70-იანი წწ. Q-929

მოოქრული ვერცხლის ჭედური ყდის ფრაგმენტები დაკრულია გვიანი პერიოდის ღია ყავისფერ ოქროტვიფრულ ყდაზე; ზომა: 280×200 მმ. ყდის ზედა ფრთაზე დაკრულ მოჭედილობაზე გამოსახულია ჯვარცმა მარიამ ღვთისმშობლის, იოანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე; ქვედა ფრთაზე გვხვდება მედალიონში ჩასმული ქრისტეს გამოსახულება ბერძნული განმარტებითი წარწერით, მავედრებელი პეტრესა და პავლეს გამოსახულებები მთლიანი ტორსით. მაცხოვარი პეტრეს აწვდის გასაღებების ასხმას, პავლეს კი – წიგნს. წმინდანებს აქვთ განმარტებითი წარწერები. წარწერაში მოხსენებული იოვანე მტბევეარი მომგებელია ჭედური ყდისა, ხოლო მომჭედველი კი, სავარაუდოდ, უნდა იყოს ბექა ოპიზარი. XVIII საუკუნეში ყდის რესტავრაცია განხორციელდა ოტია დადიანის ასულის, სოლომონ I მეუღლის, მარიამ დედოფლის ინიციატივით (80v).





სახარება

ხელნაწერი თარიღდება XII-XIII სს., ყდა XIV-XV სს., განახლებულია მეტალის დეტალებით XVII-XVIII სს-ში.
A-499

ტყავისა და მეტალის კომბინირებული ყდა, ზომა: 205x160 მმ. ტყავის ყდის ზედა და ქვედა ფრთებზე დაკრულია ყალიბში ჩამოსხმული მარიამ ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის მოოქრული ვერცხლის ხატები. ჯაჭვებზე ჩამოკიდებულია ორი ხელის მტევანი და ერთი სანაწილე. დეკორატიული ფირფიტები ქვედა ფრთაზე ქმნიან საკმაოდ მოზრდილ ჯვარს, რომელიც XIV-XV საუკუნეების ყდის გაფორმების დეტალია. ფრაგმენტული სახით შემორჩენილია წმ. გიორგის XVII-XVIII საუკუნეების ხატი. თავისუფალ ადგილს ავსებს რელიეფურ სამსჯალებთან ერთად წაისრული ფორმის დეკორატიული ფირფიტები.



ბიჭვინთის სახარება

ხელნაწერი თარიღდება XII საუკუნით; ვერცხლის მოჭედილი ყდის ფრაგმენტები – XVI. 90-იანი წწ.
H-2120

ხელნაწერი ჩადებულია მუყაოს კოლენკორის ღია ფერის ყუთში, რომლის ზედა და ქვედა მხარეს დაკრულია მოოქრული ვერცხლის ჭედური ყდის ორი ფირფიტა; ზომა: 320x220 მმ. ვერცხლის მოჭედილი ყდის ფირფიტებზე გამოსახულია ახალი აღთქმის სიუჟეტები, რომელთაც ერთვის ასომთავრული განმარტებითი წარწერები და წვრილი, გაკრული მხედრულით შესრულებული ისტორიული შინაარსის წარწერები. ამ წარწერებში იხსენებიან XV საუკუნის 90-იან წლებში მოღვაწე ისტორიული პირები, კერძოდ, დადიანთა, გურიელთა და შარვაშიძეთა ფეოდალური გვარების წარმომადგენლები. ამ მონაცემების თანახმად, მოჭედილი ყდის ფრაგმენტები XV საუკუნის 90-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.



საქულის კანონი

ხელნაწერი თარიღდება 1031 წლით, ყდა XVI ს., რესტავრირებულია XVIII ს-ში. A-96

მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, ზომა: 210×165 მმ. ყდის ზედაპირს მთლიანად ავსებს საბორდიურე ტვიფრები, ზედა ფრთა მსგავსია ქვედა ფრთისა. შესაკრავები დაკარგულია; ყუაზე რელიეფურია შეკერვის სამი ადგილი, რომელზედაც გადაკრულია განსხვავებული ფერისა და ხარისხის ტყავი; გაფორმებულია XVIII ს-ის ტვიფრებით.

ხელნაწერი ეკუთვნოდა ცნობილ ქართველ სასულიერო მოღვაწეს, მწერალსა და დიპლომატს, სულხან-საბა ორბელიანს.



ბრუჭის I სახარება

ხელნაწერი თარიღდება 936 წლით, ყდა XVI ს-ით, მეტალის დეტალებით განახლებულია XVII ს-ში. H-1660

კომბინირებული ყდა (ტყავისა და მეტალის). მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ზომა: 257×200 მმ. ყდის ზედა ფრთაზე გამოსახულია პოსტამენტზე აღმართული ჯვარი, ტვიფრის სახე თითქმის წაშლილია, განირჩევა წნული ორნამენტისაგან შემდგარი საბორდიურე და ოთხკუთხა ფორმის შემავსებელი ტვიფარი. ქვედა ფრთაზე კი შიდა სივრცეს ავსებს რამდენიმე სახის საბორდიურე ტვიფარი. ზედა ფრთაზე კუთხეებში დაკრული უნდა ყოფილიყო საშუალო ზომის ოთხი ლითონის ჯვარი, რომელთაგან შემორჩენილია მხოლოდ ზედა ორი; მათ გასაფორმებლად გამოუყენებიათ თვლები.



სახარება

ხელნაწერი თარიღდება 1563 წლით, ყდა XVI ს., XVII-XVIII სს-ში განახლებული მეტალის დეტალებით. A-501

კომბინირებული ყდა (ტყავისა და მეტალის); მუქ ყავისფერ ტვიფრულ ყდაზე დაკრულია ყალიბში გამოყვანილი მოოქრული ვერცხლის დეტალები; ზომა: 215×155 მმ. ზედა ფრთის ცენტრში ჯვარცმის კომპოზიცია მარია მღვთისმშობლისა და იოვანე მახარებლის თანხლებით. კუთხეებში მახარებელთა სიმბოლური გამოსახულებები სტილიზებულია: ანგელოზი, ხარი, ლომი და არწივი. ყდის ზედაპირების როგორც ზედა, ისე ქვედა ფრთა გაფორმებულია დეკორატიული ფირფიტებითა და რელიეფურთავიანი სამსჭვალეებით. ზედა ფრთაზე შემორჩენილია ერთი ზანზალაკი, ერთი ხელის მტევანი და ერთი გამჭვირვალე ქვა – მთის ბროლი, რომელსაც იჭერს ვერცხლის ბრტყელი მავთულები.





სახარება

ხელნაწერი თარიღდება 1504 წლით, ვერცხლის ბუდე თანადროულია, XVI ს. Q-920

ვერცხლის ფილიგრანული ტექნიკით დამზადებული ხელნაწერის ბუდე, ზომა: 155x115 მმ. ხის დაფები დაყოფილია უჯრებად – სანაწილეებად და გაფორმებულია წმინდანთა გამოსახულებებით (სულ 45 უჯრა). ლუსუმის ცენტრალურ ადგილებს ამშვენებს ექვსქიმიანი ვარსკვლავი – „სოლომონის ბეჭედი“. ფილიგრანის ტექნიკით შესრულებული ვერცხლის ბუდე ნატიფი, დახვეწილი და ჰაეროვანია, შემკულია რთული მცენარეული და ვარდულებისაგან შედგენილი ორნამენტით. ბუდე კუთხეებში იკვრება ვერცხლის კაუჭებით, ეს დეტალები, სავარაუდოდ, მოგვიანებით უნდა იყოს გაკეთებული; შემორჩენილია 4 დაუზიანებელი კაუჭი. ბუდეს აქვს ორი ფილიგრანული ფირფიტისაგან შემდგარი მოძრავი ყუა, რომელიც გადაბმულია ანჯამებით.



ახალი ალექსა

ხელნაწერი თარიღდება XVI საუკუნით; ოქროს მოჭედილი და ძვირფასი თვლებით შემკული ყდა: XVI-XVII სს., XVII-XVIII სს. A-482

ვერცხლის მოოქრული ქედური ყდა შემკულია ძვირფასი თვლებით. ზომა: 126x95 მმ. ზედა ფრთაზე გამოსახულია ქრისტე-პანტოკრატორი, მაკურთხველი მარჯვენითა და მარცხენა ხელში გაშლილი წიგნით, ქვედა ფრთაზე კი – წმინდა გიორგი ჯვრითა და შუბით. ზედა ფრთის კიდეს მიუყვება ძვირფასი თვლებისა და რთული ყვავილოვან-მცენარეული ორნამენტებისაგან შემდგარი არშიების უწყვეტი მწკრივი, მაცხოვრის შარავანდედი გაფორმებულია ძვირფასი თვლებით. წიგნის ყუა, მარჯვენა კიდე და ქვედა ფრთის არშია გაფორმებულია რთული ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით. ოქროს მოჭედილობის ქვეშ ჩანს ხეზე გადაკრული ყავისფერი ტყავი. აქვს თვლებით შემკული სანიშნე. ძვირფასი თვლებიდან გამოყენებულია ზურმუხტი, რუბინი, იოლიტი, მარგალიტი და ფირუზი.



სახარება

ხელნაწერი თარიღდება XVI საუკუნით; მეტალის მოჭედილი ბუდე XVI-XVII სს., განახლებულია XVIII-XIX სს-ში.
Q-921

ვერცხლის მოოქრული ჭედური ბუდე (ლუსკუმა); ზომა: 208×150 მმ. ბუდის ზედა მხარეს გამოსახულია ალდგომის სიუჟეტი, ქვედა მხარეს გვხვდება ჯვარცმის კომპოზიცია, ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის თანხლებით. აქვს ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერები. მახარებელთა გამოსახულებებს აკრავს გრეხილი ჩარჩოები. როგორც ყუა, ისე კიდის ფირფიტები ბუდის ზედა და ქვედა ფრთას უკავშირდება ანჯამებით. ფირფიტებს შემოუნახავს XVI-XVII საუკუნეების მომგებლის, ევდემონ აფაქიძისა და XVIII-XIX საუკუნეების მომგებლის, ჭყონდიდელ-გაენათელის წარწერები. ბუდეს ახლავს ჭედურობის ავტორის – ხუხუ ეჯიბიას წარწერა.



კრებული

ხელნაწერი დათარიღებულია 1669 წლით, ყდა – XVII საუკუნით.
A-179


მუქი შინდისფერი ტყავადაკრული ხის ყდა; ზომა 210×150 მმ. ყდის ზედაპირზე არშიად გამოყენებულია მართკუთხედის ფორმის ორნამენტირებული საბორდიურე ტვიფრები; ყდის ცენტრში გამოსახულია ჯვარი, რომელიც ასევე შედგება პატარა მართკუთხედის მოყვანილობის საბორდიურე ტვიფრებისაგან, რაც დამახასიათებელია ადრეული ყდებისათვის (IX-XVI საუკუნეები). ყუაზე რელიეფურია შუკერვის სამი ადგილი.



ალავერდის სახარება

ხელნაწერი თარიღდება 1054 წლით, ყდა – XVII საუკუნით.
A-484

კომბინირებული ყდა (მეტალისა და ტყავის), ზომა: 240×185 მმ. ზედა ფრთაზე ტყავზე შესრულებული ქრისტეს ფერწერული გამოსახულება შემკულია მოოქრული და თვლებით მოჭედილი ვერცხლის პერანგით. ყდის ზედა ფრთაზე დამაგრებულია წმ. გიორგის XI-XII საუკუნეებში შესრულებული ტიხრული მინანქრის ოქროს მცირე ხატი ბერძნული წარწერით და ოთხი სანაწილე. ზედა ფრთაზე ამოკარულია სამი სტრიქონისაგან შემდგარი ასომთავრული წარწერა. ქვედა ფრთაზე ჩვილედი დვთისმშობლის ფერწერული გამოსახულება თითქმის წაშლილია; აქა-იქ შემორჩენილია ოქროვარაყი. ყველა ნიშნის მიხედვით, მეტალისა და ტყავის კომბინირებული ყდა XVII საუკუნით თარიღდება და მსგავსებას ავლენს ლევან დადიანის სახელოსნოში დამზადებულ მოჭედილ ხატებთან.





კალკოსის სახარება

ხელნაწერი თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით; ტვიფრული ტყავის ყდა ხელნაწერის თანადროულია, განახლებულია მეტალის დეტალებით XVII-XVIII სს-ში.
Q-1602

მეტალისა და ტყავის კომბინირებული ყდა; ზომა: 323x223 მმ. ყდის ზედა ფრთაზე გამოსახულია პოსტამენტზე აღმართული წნული ორნამენტისაგან შედგენილი ჯვარი და ერთმაგი არშია, რომელიც მიღებულია სველ ტყავზე „ჩხვლეტის“ მეთოდით. ქვედა ფრთაზეც იგივე მეთოდია გამოყენებული, განსხვავდება მხოლოდ ნახატი, რომელიც ცენტრშია გამოსახული. ტყავის ყდაზე განახლების მიზნით დაკრულია მეტალის დეტალები: ოთხი ჯვარი, ბუდეში ჩასმული თვალი შემორჩენილია მხოლოდ ერთ ჯვარზე (უფრო ვარდისფერ სარჩულზე დასმული მინა, კაბოშონი), სამი ხელის მტევანი, დეკორატიული ფირფიტები და რელიეფური სამსჭვალეები. ზედა ფრთის ცენტრში, როგორც ჩანს, 95x73 მმ. სიდიდის ხატი უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ქვედა ფრთაზე ცენტრში დაკრულია ამავე ზომის მოოქრული ხატი ბერძნული განმარტებითი წარწერით, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით; ხატს ჩარჩოდ აკრავს მცენარეული ორნამენტი. ქვედა ფრთაზე დაფიქსირებულია დეკორატიული წაისრული ფორმის ფირფიტები და სამსჭვალეები რელიეფური თავებით.



ჟამისწირვა

ხელნაწერი თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით, ყდა – XVIII საუკუნით.
A-123

ყავისფერი ოქროტვიფრული თხელი ხის ყდა; ზომა: 195x145 მმ. არშიად აკრავს სამყურა ფოთლოვანი ორნამენტი. შიდა სივრცეს ავსებს ფოთლოვან-ყვავილოვანი ტვიფრები; ცენტრში წაისრული ფორმის დეკორატიული ტვიფარია, აკრავს ფოთლოვან-ყვავილოვანი ტვიფრული ორნამენტის ორმაგი ჩარჩო; ამავე სახითაა გაფორმებული ქვედა ფრთაც, მხოლოდ განსხვავებული კომბინაციით. ყუა ოქროტვიფრული და რელიეფურია; ხის დაფებს შიდა მხარეს გამოკრული აქვს ყავისფერი თხელი ქსოვილი მოქარული ფერადი ყვავილებით.

მხითარ სებასტიელი. რიტორიკა

ხელნაწერი თარიღდება 1764 წლით, ყდა – XVIII საუკუნით.
H-1068

ღია ყავისფერი ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ზომა: 160x110 მმ. ყდის ზედაპირი გაფორმებულია ფოთლოვანი და მცირე ზომის დეკორატიული ბურთულეებით; ყუაზე რელიეფურია შეკერვის სამი ადგილი; აქვს წვრილი თეთრი და წითელი ძაფებისაგან დაწნული კაპტალი.





სახარება

ხელნაწერი თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით, ყდა – XVIII საუკუნით. H-1192

მოოქრული ფირფიტები გადაკრულია ყავისფერ ტყავის ყდაზე, ზომა: 87×60 მმ. ქედრობა რელიეფურია. როგორც ზედა, ისე ქვედა ფრთის ზედაპირები გაფორმებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი რელიეფური ორნამენტებით, ჩარჩოდ აკრავს ფოთლოვანი ორნამენტის უწყვეტი მწკრივი. წინა მარჯვენა კიდე დაფარულია მეტალით, რომელიც გაფორმებულია რელიეფური ვარდულითა და ლოტოსისებური, მოგრძო ფორმის ფოთლოვანი ორნამენტით, რაც, თავის მხრივ, ყდას მასიურობას ანიჭებს. ყუა დამზადებულია ორი ფირფიტისაგან, რომლებიც გაფორმებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტებით.



სახარება

ხელნაწერი თარიღდება 1714 წლით, ყდა – XVIII საუკუნით. A-1097

მოოქრული ვერცხლის მოჭედილი ყდა; ზომა: 67×52 მმ. ზედა ფრთა გაფორმებულია თვლებით, რომლებიც ყდის ზედაპირზე განლაგებულია ბადჩებად. ქვედა ფრთაზე წარმოდგენილია ჯვარცმის სიუჟეტი, ტრადიციულად ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის თანხლებით. ყუა გაფორმებულია მეტალზე ამოკვეთილი ვარდულებითა და ფოთლოვანი აქცენტებით. შიგნიდან ყდაზე დაკრულია ცისფერი ქსოვილი. ხელნაწერის მომგებელია დომენტი კათალიკოსი (1677-1741 წწ.).

ღვთისმშობლის დაუძლომელი

ხელნაწერი თარიღდება 1747 წლით, ყდა – XIX საუკუნით. Q-369

ტყავადაკრული მუყაოს ოქროტვიფრული ყდა, ზომა 50×35 მმ. ფურცლების ჩამონაჭერი ჭრელადაა შეღებილი. ზედა ფრთაზე მცირე ზომის ოვალურ მედალიონში ჩასმულია ჯვარცმა, ქვედაზე ოვალურ მედალიონში ამოტვიფრულია ორი ადამიანის ფიგურა, ერთ-ერთი შემკულია ნიშბით. კუთხეებში გამოსახულნი არიან ქერუბიმები; მცირე ზომის წიგნი ჩადებულია ფარჩის ქსოვილისგან დამზადებულ ბუდეში.





ბიბლიოგრაფია

- აბულაძე ი. (რედ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), I, შემდგენლები: ლ. ქუთათელაძე, ნ. კასრაძე, თბილისი, 1946.
- აბულაძე ი. (რედ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი Q კოლექცია, I, შემდგენლები: ე. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე, თბილისი, 1957.
- აბულაძე ი. (რედ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), II, შემდგენელი ლ. ქუთათელაძე, თბილისი, 1951.
- აბულაძე თ., ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბილისი, 1990.
- ათანელიძე ლ., „ცნობები მამუკა თავაქალაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4 (1974).
- ალექსიძე ზ. და კუდავა ბ. (რედ.-ები), თარიღიანი ქართული ხელნაწერები IX-XVI სს., შეადგინეს ზ. ალექსიძემ, ქ. ასათიანმა, ბ. კუდავამ, ე. მაჭავარიანმა, თ. ოთხმეზურმა, მ. სურგულაძემ, დ. ჩიტუნაშვილმა და თ. ჯოჯუამ, თარგმნა ნ. ალექსიძემ, თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015.
- ალექსიძე ზ. და ჩიტუნაშვილი დ. (რედ.-ები), ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კატალოგი, ტექსტები, ალბომი, შეადგინეს ლ. ქაჯაიამ, ხ. გაფრინდაშვილმა, ც. გულედიანმა, ნ. მიროტაძემ, დ. ჩიტუნაშვილმა და ი. ხოსიტაშვილმა, თარგმნა თ. ქლენტმა, თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017.
- ბარამიძე ა. (რედ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), V, შემდგენელი ლ. ქუთათელაძე, თბილისი, 1955.
- ბარამიძე ა. (რედ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, შემდგენელი ლ. მეფარიშვილი, თბილისი, 1949.
- ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967.
- ბრეგაძე თ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1988.
- გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა: ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა, თბილისი, 1990.
- გლოველი შ. (რედ.), საქართველოს რეგიონებში დაცული ხელნაწერები (კატალოგი), შემდგენლები: გ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ.

ჩხიკვაძე, თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015.

- დოლაჟიძე მ. და ჩიტუნაშვილი დ. (გამომც.), *გიორგი მთაწმიდელი, დიდი სწავლარი*, თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017.
- ვახუშტი ბაგრატიონი, *საქართველოს გეოგრაფია*, თბილისი, 1997.
- ინგოროყვა პ., *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*, ტ. III: *გიორგი მერჩულე, ნარკვევები საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან*, თბილისი, 1965].
- კარანაძე მ., „ახალი ქრონოლოგიური ცნობა ბაღვაშთა ფეოდალური სახლის შესახებ“, *მრავალთავი* 22 (2007).
- კარანაძე მ., „დემურბულახის ოთხთავის დათარიღებისათვის“, მოხსენება წაკითხულია II საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო – ბიზანტია – ქრისტიანული აღმოსავლეთი“, თბილისი, 18-20 ივნისი, 2019.
- კეკელიძე კ. (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები* (H კოლექცია), III, შემდგენელი ქ. შარაშიძე, თბილისი, 1948.
- კეკელიძე კ. (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის*

ხელნაწერები (H კოლექცია), IV, შემდგენელი ე. მეტრეველი, თბილისი, 1950.

- კეკელიძე კ. (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები* (A კოლექცია), IV, შემდგენელი ქ. შარაშიძე, თბილისი, 1954.
- კიკნაძე ლ., *გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება*, თბილისი, 1993.
- კობიძე დ., *შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები*, თბილისი, 1959.
- კუდავა ბ. (რედ.), *ვეფხისტყაოსანი: ხელნაწერი მემკვიდრეობა*, თბილისი, 2013.
- მაჭავარიანი ელ., „ერთი ქართული ოთხთავის დათარიღების საკითხისათვის“, *ჰალეოგრაფიული ძიებანი*, I, თბილისი, 1965, გვ. 95-108.
- მაჭავარიანი ელ., *წიგნის ხელოვნება ძველ საქართველოში*, თბილისი, 2008.
- მაჭავარიანი ელ., *ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები*, თბილისი, 2012.
- მაჭავარიანი ელ., კარანაძე მ., კეკელია ვ., *ძველი აღქმის მინიატიურები ქართულ ხელნაწერებში*, თბილისი, 2016.
- მაჭავარიანი ელ., *ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება (X-XIX სს.)*, თბილისი, 2022.
- მენაბდე ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II, თბილისი, 1980.

- მეტრეველი ე., „შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI ს. I ნახევარში“, ე. მეტრეველი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, I, თბილისი, 2007.
- მეტრეველი ე., „ეფრემ მცირის ავტოგრაფი“, ე. მეტრეველი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, I, თბილისი, 2007.
- მეტრეველი, „შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში“, ე. მეტრეველი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, I, თბილისი, 2007.
- მეტრეველი ე., „გიორგი ავალიშვილი – ბიბლიოფილი და კოლექციონერი“, ე. მეტრეველი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, I, თბილისი, 2007, გვ. 139-153.
- მეტრეველი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი, 1998.
- მეტრეველი ე. და ქურციკიძე ც. (გამომც.), *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული*, ტ. I-II, თბილისი, 1991-1993.
- მეტრეველი ე. (რედ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, თ. ენუქიძე, ნ. კასრაძე, ლ. ქუთათელიძე, ქრ. შარაშიძე, თბილისი, 1959.
- მეტრეველი ე. (რედ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, შემდგენლები: ა. ბაქრაძე, თ. ბრეგაძე, ე. მეტრეველი, მზ. შანიძე, თბილისი, 1961.

- მეტრეველი ე. (რედ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I1, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, მ. ქავთარია ლ. ქუთათელიძე, თბილისი, 1973.
- მეტრეველი ე. (რედ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I2, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, ც. კახაბრიშვილი, თ. მგალობლიშვილი, მ. ქავთარია, ლ. ქუთათელიძე, ც. ჯღამაია, თბილისი, 1976.
- მეტრეველი ე. (რედ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II1, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, ც. კახაბრიშვილი, მ. ქავთარია, ლ. ქუთათელიძე, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი, თბილისი, 1986.
- მეტრეველი ე. (რედ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II2, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, ც. კახაბრიშვილი, ელ. მეტრეველი, მ. ქავთარია, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი, თბილისი, 2004.
- ოთხმეზური თ. (რედ.), *უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში*, შემდგენლები: ვ. კეკელია, ნ. მიროტაძე, თ. ოთხმეზური, დ. ჩიტუნაშვილი, მე-2 გამოც., თბილისი, 2020.
- ოთხმეზური თ., „იოანე სინელის „კლემასი“ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში“, ნ. მელიქიშვილი (გამომც.), *ენრიკო გაბიძაშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, თბილისი, 2021.

- სურგულაძე მ. (რედ.), *ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა (გამოკვლევა, ტექსტები)*, ავტორები: მ. სურგულაძე (რედ.), ნ. ჩხიკვაძე, ლ. შათირიშვილი, მ. კარანაძე, ნ. ჟღენტაძე, ე. ედიშერაშვილი, თბილისი, 2018.
- ტატიშვილი ლ., *„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი*, თბილისი – კოპენჰაგენი, 2000.
- ქავთარია ნ., ტატიშვილი ქ., დულაშვილი ე., *ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში*, თბილისი, 2022.
- შანიძე ა., მარტიროსოვი ა., ჯიშიაშვილი ა., *ქილ-ეტრატის იადგარი*, თბილისი, 1977.
- შანიძე ა. (გამოც.). *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.)* (ძველი ქართული ენის ძეგლები, 2) თბილისი, 1945.
- შანიძე ა., *„ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“*, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, 3 (1923).
- შანიძე მ., *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები*, თბილისი, 1960.
- შენგელია მ. (გამოც.), *ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი*, თბილისი, 1959.
- შერვაშიძე ლ., *„ვეფხისტყაოსნის“ 1646 წლის ხელნაწერის მინიატიურების ავტორობის შესახებ*, *მოამბე*, 16/6 (1955).
- ჩიტუნაშვილი დ. (გამოც.), *მცირე სუნაქსარი*, თბილისი: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021.
- ჩხიკვაძე ნ. (გამოც.), *„ავგაროზის ეპისტოლის“ ძველი ქართული რედაქციები*, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნესტან ჩხიკვაძემ. თბილისი, 2007.
- ცაიშვილი ს., *„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია: ტ. 1: „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციები*, თბილისი, 1970.
- ცაიშვილი ს., *„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია: ტ. 2: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები*, თბილისი, 1970.
- წაქაძე ნ., *„ნისიმეს ცხოვრების“ სირიული, არაბული და ქართული ვერსიები*, თბილისი, 1983.
- ჭიჭინაძე ი., მოქვის ოთხთავის გაფორმების მხატვრული პრინციპები, თბილისი, 2004.
- ჭიჭინაძე ო., ლარგვისის ზატვიკის მხატვრული გაფორმება, თბილისი, 2018.
- ხევსურიათი ლ., *„ლიტურგიკა“*, მთავარეპისკოპოსის სტეფანე კალაიჯიშვილი (გამოც.), *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან*, III, თბილისი, 2016.
- ხუსკივაძე ი., *ქართული საერო მონიატიურა XVI-XVIII საუკუნეები*, თბილისი, 1978.
- ჯავახიშვილი ივ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947.
- ჯავახიშვილი ივ., *ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია*. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, ნაკვეთი I, თბილისი 1949.
- ჯავახიშვილი ა., *ვახუშტი ბაგრატიონი – გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი*, თბილისი, 1947.
- ჯღამაია ლ., *„ჰიმნოგრაფია“*, მთავარეპისკოპოსის სტეფანე კალაიჯიშვილი (გამოც.), *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან*, III, თბილისი, 2016.
- ALEKSIDZE Z., SHANIDZE MZ., KHEVSURIANI L., KAVTARIA M., *Catalogue of Georgian Manuscripts discovered in 1975 at St. Catherine's Monastery on Mount Sinai, Athens*, 2005.
- DJOBADZE W., *Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes (CSCO 372, subsidia 48)*, Louvain, 1976.
- ESBROECK M., VAN. *“La légende géorgienne de l'Ascète Nisime”*, *Revue des études géorgiennes et caucasiennes*, vol. I, Paris, 1985, pp. 117-125.
- OTKHMEZURI TH. (ed.), *Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium*, English translation by M. ODISHELI and M. VICKERS (*Jerusalem Theologisches Forum 42*), Ashendorf Verlag, 2022.
- OTKHMEZURI TH., *“The Corpus Nazianzenum and the Corpus Dionysiacum in the Georgian Literary Tradition”*, in C. MACÉ (ed.), *Organising a Literary Corpus in the Middle Ages. The Corpus Nazianzenum and the Corpus Dionysiacum*, Turnhout, 2024, pp. 563-579.
- RENOUX CH., *L'hymnaire de Saint-Sabas (Ve-VIIIe siècle): le manuscrit géorgien H-2123. I, Du Samedi de Lazare à la Pentecôte (Patrologia Orientalis, 50. 3, no. 224)*, Turnhout, 2008.
- CHKHIKVADZE N. (ed.), *The Georgian Manuscript Book Abroad*, compiled by M. KARANADZE, V. KEKELIA, L. SHATIRISHVILI, N. CHKHIKVADZE, Tbilisi: K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, 2018.
- CHKHIKVADZE N. (ed.), *Georgian Manuscript 5th-19th Centuries*, Prepared by N. CHKHIKVADZE (ed.), M. KARANADZE, L. SHATIRISHVILI, with the participation of T. ABULADZE, Tbilisi: K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, 2014.
- KAVTARIA N., *“Gelati Gospel (Q-908) Illustrations and 12th-century Georgian and Byzantine Book Art”*, *Proceedings of the 2nd International Symposium of Georgian Culture “The Caucasus: Georgia on the Crossroads. Cultural Exchange Across the Europe and Beyond”*, Tbilisi, 2011, pp. 125-131.
- KAVTARIA N., *“The Atabag Court and Georgian Miniature Painting of the 15th-16th centuries”*, *Le Symposium International Le Livre. La Roumanie. L'Europe*, Bucharest, 2012, pp. 178-190.
- KAVTARIA N., *Mokvi Gospels*, Tbilisi, 2012.
- KHARANAULI A., *“Questions about the Origin of the Translation of the Georgian Bible”*, *The Kartvelologist*, 3 (18/2012). <http://kartvelologi.tsu.ge/public/en/arqive/3/5> (Last accessed on 09/08/2024).
- OTKHMEZURI Th. (ed.), *Georgian Manuscripts Copied Abroad in Libraries and Museums of Georgia, Georgian-English Illustrated Catalogue*, compiled by D. CHITUNASHVILI, V. KEKELIA, N. MIROTADZE, TH. OTKHMEZURI, 2nd ed., Tbilisi, 2020.
- WILKINSON N. J. and EBANOIDZE MZ., *Timothy Gabashvili, Pilgrimage to Mount Athos, Constantinople and Jerusalem 1755-1759*, Routledge, 2013.

- АЛИБЕГАШВИЛИ Г., *Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI – начала XIII веков*, Тбилиси, 1973.
- АМИРАНАШВИЛИ Ш., *Грузинская Миниатюра*, Москва, 1966.
- ДЕВДАРИАНИ Ф., *Миниатюры Анчисхатского гулани: Художественные тенденции грузинской миниатюрной живописи XVII в.*, Тбилиси, 1990.
- КЕКЕЛИДЗЕ К., *Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия)*, Тифлис, 1912.
- ЖОРДАНИЯ Т., *Описание рукописей Тифлиского Церковного Музея Картлино-Кахетинского духовенства*, II, Тифлис, 1902.
- МАРР Н. Я., *Описание грузинских рукописей Синайского монастыря*, Москва – Ленинград, 1940.
- ШЕРВАШИДЗЕ Л., *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре: миниатюры батальной тематики в Джручской псалтыри*, Тбилиси, 1964.
- ШМЕРЛИНГ Р., *Образцы декоративного убранства грузинских рукописей*, Тбилиси, 1940.
- ШМЕРЛИНГ Р., *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв.*, т. I, Тбилиси, 1967, т. II, Тбилиси, 1979.